საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№38 (509)
23 - 29 ოქტომბერი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## თურქეთის სამხედრო ოპერაცია სირიაში შეიძლება მოულოდნელი გაგრძელება ჰპოვოს
8

## მხოლოდ სანახაობა აღარ კმარა, პური უნდა ხალხს, შია!
2



ვისთვის ყვავის და ვისთვის მიიწევს წინ «არნახული ტემპებით» ჩვენი ეკონომიკა — მხოლოდ მთავრობის წევრებისა და პარლამენტის დეპუტატებისთვის?



ლევან ღვინჯილია:
## თუკი ენას დავკარგავთ, რაღა მნიშვნელობა ექნება, ვინ ვიქნებით და რა გვერქმევა?!
4

## რა ჭამა ქართულმა სამართალმა?
5



## მოთმინებითა შენითა...
20



## 15 წლისა, თვითონ ბავშვი, ბავშვს რომ აჩენს, შეზღუდულ შერაცხადობას უდგენენ კი არა, ცოცხალი რომ არის, არ გიკვირთ?!
6



## როგორ აიძულეს საბერძნეთი, ეღიარებინა უკრაინის ე.წ. მართლმადიდებელი ეკლესია



14

## ამიერკავკასიაში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა ყალიბდება, ხვდება კი ამას საქართველოს ხელისუფლება?
7



ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლების წარმომადგენლები ჯიუტად ცდილობენ, სხვა რეალობა დაგვანახვონ. არ აქვს მნიშვნელობა, მოქმედ ხელისუფლებაზე ვიტყვით ამას თუ მის წინამორბედზე, მაგრამ ფაქტია, რომ წლიდან წლამდე მდგომარეობა უარესდება. წლიდან წლამდე მატულობს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დილით ნაგვის ურნაში არიან გადაყუდებული, წლიდან წლამდე უფასურდება ეროვნული ვალუტა და ძვირდება პროდუქტები (პროდუქტების გაძვირებას წლები არ სჭირდება, ეს თვიდან თვემდე ხდება), მატულობს უმუშევრობა.**

# მხოლოდ სანახაობა აღარ კმარა, პური უნდა ხალხს, შია!

## ვისთვის ყვავის და ვისთვის მიიწევს წინ „არნახული ტემპებით“ ჩვენი ეკონომიკა — მხოლოდ მთავრობის წევრებისა და პარლამენტის დეპუტატებისთვის?

**არაერთხელ დაგვიწერია იმის შესახებ, რომ ერი შიმშილობს. ჰო, იმ მდგომარეობას, რომელშიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილია, შიმშილობა ჰქვია და სხვა არაფერი. სოციალურ ქსელში არაერთი ვიდეო ვრცელდება, რომლებითაც ნათელია, რომ პატარა ბავშვების ნატვრა, სათამაშო კი არა, საჭმელია და ყველა ეს შემთხვევა, ცალკე აღებული, ტრაგედიაა. ხელისუფლებას თუ დავუჯერებთ, წინ მივიწევთ; ეკონომიკა, რეგიონში არსებული მძიმე სიტუაციის მიუხედავად, ყვავის და თურმე ვითარდება, მაგრამ, როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, ეს ყველაფერი ვერ აისახება რიგითი ადამიანების ყოფაზე. სამაგიეროდ, ძალიან კარგად აისახება მაღალჩინოსნებზე, რომელთა ქონება, დეკლარაციების მიხედვით, წლიდან წლამდე იმატებს.**

კომპანიები Concern Worldwide და Welthungerhilfe ერთობლივად ამზადებენ კვლევას „შიმშილობის მსოფლიო ინდექსი“. ახლა 2019 წლის კვლევის შედეგები გამოქვეყნდა და გაირკვა, რომ, „შიმშილობის მსოფლიო ინდექსის“ წლევანდელი ანგარიშის თანახმად, კლიმატური ცვლილებები სახიფათო მასშტაბებს აღწევს და ძირს უთხრის მსოფლიოს ყველაზე პრობლემური რეგიონების უზრუნველყოფას სურსათით. ინდექსში ინფორმაცია 117 ქვეყანაზეა მოცემული, ანუ იმ სახელმწიფოებზე, რომლებშიც ეს პრობლემა მწვავედ დგას და, მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში შიმშილობის ინდექსი პროგრესისკენ მიდის, მაგრამ რიგ ქვეყნებში რეგრესის ტენდენციაც შეინიშნება. კვლევის თანახმად, 117 ქვეყნიდან 47-ში შიმშილობის დონე „სერიოზული“ ან „საგანგაშოა“, ხოლო ცენტრალური აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში მდგომარეობა შეფასებულია, როგორც „უკიდურესად საგანგაშო“. იქ შიმშილით ყოველდღიურად ათობით ბავშვი იღუპება.

რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ. „შიმშილობის მსოფლიო ინდექსი 2019“-ში საქართველოს 39-ე ადგილი უკავია. საქართველოზე უკეთესი პოზიციები აქვს, მაგალითად, ყირგიზეთს, ირანს, სომხეთს, აზერბაიჯანს, სერბეთს, რუსეთს. რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, საუკეთესო მაჩვენებლები უკრაინასა და ბელარუსს აქვთ — იმ უკრაინას, რომელშიც ომია, და იმ ბელარუსს, რომელსაც თურმე „დიქტატორი“ მართავს.

ამ სიის გაცნობის შემდეგ ერთი რიტორიკული კითხვა არ გაგიჩნდა, მკითხველო? — თუ ჩვენი ეკონომიკა რეგიონში ყველაზე „მაგარია“, რატომაა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთზე მეტად ვშიმშილობთ? თუ მათი ეკონომიკა ჩვენსას ჩამორჩება, მაგრამ ჩვენზე ნაკლებად შიათ, გამოდის, მათი მთავრობები ეფექტიანად მუშაობენ, ჩვენი კი არ ვარგა. და, თუ მთავრობა არ გვატყუებს, მაშინ ვისთვის ყვავის და ვისთვის მიიწევს წინ „არნახული ტემპით“ ჩვენი ეკონომიკა — მარტო მთავრობის წევრებისა და პარლამენტის დეპუტატებისთვის? მერე ხალხი, რომლის შრომითაც იქმნება მატერიალური სიკეთე? ხალხს რა?

იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში არსებულ უმძიმეს (და არა მძიმე) სოციალურ ფონზე არაერთხელ დაგვიწერია, ხელისუფლების წარმომადგენლები ჯიუტად ცდილობენ, სხვა რეალობა დაგვანახვონ, არ აქვს მნიშვნელობა, მოქმედ ხელისუფლებაზე ვიტყვით ამას თუ მის წინამორბედზე, მაგრამ ფაქტია, რომ წლიდან წლამდე მდგომარეობა უარესდება; წლიდან წლამდე მატულობს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დილით ნაგვის ურნაში არიან გადაყუდებული, წლიდან წლამდე უფასურდება ეროვნული ვალუტა და ძვირდება პროდუქტები (პროდუქტების გაძვირებას წლები არ სჭირდება, ეს თვიდან თვემდე ხდება), მატულობს უმუშევრობა, მაგრამ... ჰოი, საოცრებავ, **ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ ციფრებში ეს ყველაფერი პირიქითაა. პირიქითაა, გარდა ერთისა — საქსტატის მიერ დაწესებული საარსებო მინიმუმი მეტია პენსიაზე. დაახლოებით 600 ათასი პენსიონერი საოცრებას ახდენს და სულდგმულობს იმაზე ნაკლებით, ვიდრე სახელმწიფო სტანდარტით არის დადგენილი. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმუმიც სადავო თემაა, რადგან არაერთ ექსპერტსა და უშუალოდ ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობასაც სჯერა, რომ ადამიანს ბევრად მეტი სჭირდება, ვიდრე სახელმწიფოს აქვს დადგენილი.**

თუ გახსოვთ, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ხუმრობდნენ: ამ ზამთარს ვინც გადავრჩებით, სურათი ერთად გადავიღოთო. და ასე გრძელდებოდა ზამთრიდან ზამთრამდე. შემდეგ ამ ხუმრობამ უკანა პლანზე გადაიწია, რადგან ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, როგორც იქნა, აღარ გვიკვირდა, მაგრამ შიმშილის პრობლემა მაშინაც იყო, ახლაც არის და ისეთი პირი უჩანს, მომავალშიც იქნება. ისე, შევარდნაძის დროს ცოტა მეტი გასაქანი იყო, რადგან კანონს უჭირდა და ადამიანებს, რომლებსაც 7 ლარი ჰქონდათ პენსია, სხვა საშუალებები ჰქონდათ ცხოვრებისთვის. შემდეგ პენსია გაიზარდა, ეს საშუალებები კი შემცირდა და ახლა ასეა — **არც პენსიაა საკმარისი და აღარც „სხვა საშუალებები“აქვთ ადამიანებს. ჰოდა, არ არის გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს მეცნიერებმა საქართველოზე დაკვირვებაც ჩაატარონ, როგორც ცხოვრობს ასიათასობით ადამიანი, ისე, რომ მათი შემოსავალი არსებობისთვის საკმარისი არ არის.**



**თუ ჩვენი ეკონომიკა რეგიონში ყველაზე «მაგარია», რატომაა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთზე მეტად ვშიმშილობთ? თუ მათი ეკონომიკა ჩვენსას ჩამორჩება, მაგრამ ჩვენზე ნაკლებად შიათ, გამოდის, მათი მთავრობები ეფექტიანად მუშაობენ, ჩვენი კი არ ვარგა**

ეს ყველაფერი იმიტომ გავახსენეთ, რომ მთავარი სათქმელი გითხრათ: ხელისუფლება (მოქმედიც და წინაც) ორმაგი სტანდარტით მოქმედებს. როცა ხელს აძლევთ, დასავლურ კვლევებს ცხვირში გვჩრიან და, როგორც არ უნდა მოგვწონდეს, გვიმტკიცებენ: ეს ყველაფერი ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ არის გაკეთებული და მათი უტყუარობა ეჭვს არ იწვევსო. საკმარისია, იმავე ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა სხვა შედეგი გამოაქვეყნონ, რომ... ინფორმაცია, უბრალოდ, ქრება. ჰო, ქრება, რადგან მას მხოლოდ გაკვრით თუ ახსენებენ ოპოზიციური ტელევიზიები (გაკვრით იმიტომ, რომ იმ ტელევიზიებს შიდა პოლიტიკის „დალაგება“ აქვთ დავალებული და ეს უფრო აინტერესებთ), გაკვრით თუ გამოჩნდება სოციალურ ქსელში და დამთავრდა. აბა, რას მივაწეროთ ის, რომ ამ ორი ცნობილი ორგანიზაციის კვლევა რეგიონის პრაქტიკულად ყველა საინფორმაციომ გააშუქა, ამ თემაზე სერიოზული მსჯელობა გაიმართა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში (ძირითადად აფრიკის ამბებზე წუხდნენ), ჩვენთან კი თბილისური თოვლივით იყო — დილით სადღაც თქვეს, ვიღაცამ გაიგონა, მერე კი საინფორმაციო სივრციდან გაქრა. ძალიან გვაინტერესებს, **რატომ არ გამოვიდა, მაგალითად, ეკონომიკის მინისტრი ან ინფრასტრუქტურის მინისტრი, ან სოფლის მეურნეობის მინისტრი და რატომ არ თქვა: ეს კვლევა კი გამოქვეყნდა, მაგრამ რეალური სურათი სხვაგვარიაო.** ვერ გაბედეს! კვლევის შედეგები რომ უარეყოთ და ეს ამბავი მკვლევარებამდე მისულიყო, იმ ფურცლებს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) თავზე გადაახევდნენ, რადგან სიმართლეს დაამტკიცებდნენ და მინისტრების უარყოფას მარტივად არ გაატარებდნენ.

მოკლედ, შევთანხმდით, რომ ოფიციალურად ვშიმშილობთ. ახლა ხომ შეიძლება, სხვა რამეზეც შევთანხმდეთ? შიშით იმასაც ველარ ვამბობთ, საწარმოები გახსენითო, რადგან სახელმწიფო ბალანსზე არსებულმა საწარმოებმა ნახევარ მილიარდ ლარამდე გვაზარალეს შარშან და უკეთესის მოლოდინი რატომ უნდა გვქონდეს?! ერთი შეხედვით ისე ჩანს, გამოსავალი თითქოს არ არსებობს. თითქოს მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ და არაა საშველი, მაგრამ...



იმავე ბელარუსის მაგალითზე შეგვიძლია ვისწავლოთ. ბელარუსი სოფლის მეურნეობას უდიდეს ყურადღებას აქცევს, აწარმოებს სოფლის მეურნეობის ნატურალურ პროდუქტებს და რამდენიც უნდა ეძახონ დიქტატორი **ალექსანდრე ლუკაშენკოს**, ფაქტია, რომ დღევანდელ მსოფლიოს ნატურალური პროდუქტი სჭირდება და სწორედ ამიტომ ბელარუსული ნაწარმი მსოფლიოს მასშტაბით იყიდება და, რაც მთავარია, ადგილობრივ ბაზარს პრაქტიკულად სრულად აკმაყოფილებს. საქართველოში დაუმუშავებელი მიწა სოფლად იმდენია, რასაც ვქმნით, იმაზე, სულ ცოტა, 3-4-ჯერ მეტის შექმნა მომავალ წელსვე შეიძლება და თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში — უფრო მეტის მიღწევაც. ქვეყნები, რომლებსაც მცირე მიწა აქვთ, ზამთარ-ზაფხულის მუშაობაზე არიან გადასული და, თუ ზაფხულში მზის იმედად არიან, ზამთარში იმავე მიწას სასათბურედ იყენებენ და პროდუქტი მოჰყავთ.

სხვათა შორის, 19 ოქტომბერს ბაქოში საპროტესტო აქცია გაიმართა, სადაც ოპოზიციამ დაბალი ხელფასები და ქვეყანაში არსებული სიდუხჭირე გააპროტესტა. საუბარია აზერბაიჯანზე, ქვეყანაზე, რომელიც ეკონომიკის მხრივ რეგიონში ლიდერად ითვლება (საერთაშორისო ექსპერტთა აზრით და არა ჩვენი ვაისპეციალისტების) და სადაც ისეთი ხელფასებია, საქართველოში რიგითი ადამიანები სიზმარშიც რომ ვერ ხედავენ. მართალია, მიტინგი დაარბიეს და ხალხიც დაიჭირეს, მაგრამ აზერბაიჯანშიც კი გაბედა მოსახლეობამ ქუჩაში გამოსვლა და იმის იმედად ნუ იქნებით, ბატონებო, რომ აქ ვერ გაბედავს. მშიერი ადამიანი ყველაზე საშიშია და სულ არ დაგიდევთ არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას. ქუჩაში გამოვლენ და ყველას და ყველაფერს გადათელავენ. აზერბაიჯანში კი არა, **იტალიაში მოხდა ქვაბების რევოლუცია, როცა შიმშილის გასაპროტესტებლად ქუჩაში ქალები გამოვიდნენ ცარიელი ქვაბებით და ზედ კოვზებს აბრახუნებდნენ.** მაშინ მთავრობა გადადგა, მშიერმა ხალხმა გადააყენა. თქვენ კი იმაზე იფიქრეთ, ბატონებო, რომ მხოლოდ სანახაობა აღარ კმარა, პური უნდა ხალხს, შია. ჩვენი თუ არ გჯერათ, იმ დასავლურ კომპანიებს მაინც დაუჯერეთ, რომლებსაც, როცა გჭირდებათ, მხოლოდ მაშინ რომ უჯერებთ. ისიც ხომ ჩვენზე უკეთ იცით, რომ, თქვენივე შიდა კვლევების მიხედვით, სოციალური ფონი იმაზე გაცილებით მძიმეა, ვიდრე გარედან ჩანს და ვიდრე ეს შიმშილის ინდექსში წერია. ჰოდა, მშიერ ხალხს მიხედეთ, მშიერ ხალხს, თორემ ზამთარი კარს მოგვადგა და ზამთარში შიმშილი უფრო თვალშისაცემია!

**ბესო ბარბაქაძე**

**ჩვენი ლიბერასტები, როგორც სჩვევიათ, „რკინისებური არგუმენტით“ დამამუნათებენ: დასავლეთი მასეთი არ არის, უმრავლესობა ტრადიციული ღირებულებების მიმდევარიაო. და მართლაც, ამ მოსაზრებაში ვეთანხმები ჩვენს ლიბერასტებს, მაგრამ?.. იმ უმრავლესობის წარმომადგენელი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველში თავს რომ იკლავს, ამას რა ჰქვია?**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წინამდებარე წერილი გარკვეულწილად თქვენი მონა-მორჩილის ბოლო მასალის („როცა მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა“) გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს; სტატიისა, რომლის ფინალშიც ჩვენი სამშობლოს დღევანდელი, რბილად რომ ვთქვათ, სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე, ეჭვი გამოვთქვი, დიდი შოთა რუსთაველის ერთ-ერთი აფორიზმის — „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“-ს აპრიორი მართებულობის მიმართ.**

# როდის გაიმარჯვებს საქართველოში კეთილი ბოროტზე

დიახ, სამწუხაროდ, ცხოვრება ზღაპარი არ არის, რომლის ბოლოც აუცილებლად კეთილია, არამედ... სწორედ ამ „არამედ“-ის პრიზმაში ვუყურებ თუ აღვიქვამ ჩვენი სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს; ვუყურებ, მაგრამ უახლოეს პერსპექტივაში კარგს ვერაფერს ვხედავ. ზემოთ, საქართველოს დღევანდელობის მიმართ, „რბილად რომ ვთქვათ“-მეთქი, — ამოვიოხრე, რადგან „მაგრად“ თქმისთვის, უიმედობისთვის ვერ გავიმეტე, „დავინდე“ მკითხველიცა და საკუთარი თავიც, მაგრამ ერთი ლექსისა არ იყოს, „რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი, ხმლით შემოვარდნილა ერეკლე ბატონი“-ო, დღესაც იმ დღეში ვართ, როცა რაღა დროს ვინმეს დანდობა და მით უმეტეს იმ „ვინმესთვის“ უსაფუძვლო იმედის მიცემაა, როდესაც ქვეყანა თავზე გვენგრევა. რომელი ერთი მაგალითი მოვიყვანო იმის საილუსტრაციოდ, რომ ზემოთ უფრო ვაკლებ, ვიდრე ვაჭარბებ დღევანდელზე მსჯელობისას?!

დიახ, რომელი ერთი, რადგან „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის...“, როგორც ბრძანებდა **დავით გურამიშვილი.**

პროფესიით ისტორიკოსი არ ვარ, მაგრამ „გავკადნიერდები“ და ვიტყვი, რომ ერეკლეს ხმალზე თუ გურამიშვილის კალამზე, ანუ, რომ იტყვიან, საყველპურო ისტორიაზე გაცილებით მეტის ცოდნის პრეტენზია ნამდვილად მაქვს. ჰოდა, ამ „პრეტენზიიდან“ გამომდინარე, კიდევ უფრო გავკადნიერდები და კატეგორიულად განვაცხადებ, რომ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი, სისხლიან-ცრემლიანი ისტორიის განმავლობაში საქართველო და ქართველი ერი არასოდეს ყოფილა ფიზიკური განადგურებისა და ეროვნული გადაგვარების ისეთი რეალური საფრთხის წინაშე, როგორც დღეს.

არაბი სარკინოზები, მონღოლ-თათრები, ოსმალო-თურქები თუ ირანელი ყიზილბაშები ცეცხლითა და მახვილით მოდიოდნენ საქართველოში და ჩვენი გმირი წინაპრებიც ღიად მოსულ მტერს, როგორც შეძლოთ, ისე იგერიებდნენ. ერთადერთი, რასაც სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ ათასი ჯურის დამპყრობლები ითხოვდნენ ქართველებისგან, ქრისტეს უარყოფა და ისლამის მიღება იყო, რასაც წამებით სიკვდილს არჩევდა ქართველების უმრავლესობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილთა ჩამოთვლას გაზეთის ყველა ფურცელი არ ეყოფა.

მსოფლიო ქრისტიანობის ისტორიამ სულ 41 დიდმოწამე (ადამიანი, რომელმაც განსაკუთრებით საშინელ წამებას გაუძლო) იცის, რომელთაგან 5 ქართველია: არაბი მურვანყრუს მიერ წამებული არგვეთის მთავარნი, ძმები — **დავით** და **კონსტანტინე მხეიძეები,** ასევე არაბთა ბატონობისას წამებული **კონსტანტი კახი, მიქაელ გობრონი** და უკვე „აქეთ“, შაჰ აბასის მიერ მოკვდინებული კახეთის დედოფალი, **ქეთევან წამებულად** წოდებული. 41-დან 5 ქართველი 12,1 პროცენტია და ეს საამაყოა. თუმცა ეგ პროცენტებიც იქით იყოს, მსოფლიო ისტორიაში მხოლოდ ის უპრეცედენტო ფაქტი რად ღირს, როდესაც **ჯალალედინმა** მეტეხის ხიდზე ისლამის ურმყოფელ 100 ათას ქართველს თავები მოჰკვეთა. ქართველ წმიდანთა გალერეაში **ეს არცთუ მცირე ექსკურსი უსაგნო ყელყელაობა-ტრაბახისთვის კი არა, იმის საილუსტრაციოდ დამჭირდა, რომ საქართველო, ქართველი ერი, ჩვენმა დიდმა წინაპრებმა „უქარქაშო ხმლების“ ქნევასთან ერთად, მაღალი ზნეობის ერთგულებითაც გადაარჩინეს და, ავად თუ კარგად, დღემდე მოგვიტანეს.**

ახლა მავანი, ალბათ, იკითხავს: ყოველივე ზემორე დახატული უმძიმესი ისტორიული სურათიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება, დღევანდელობა წარსულზე უარესი იყოს? და კიდევ: რა შუაშია აქ რუსეთის პრეზიდენტი და მით უმეტეს მესიის მახვილი?

ჩემი მოკრძალებული აზრით, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები სიკეთესა და ბოროტებას, ღმერთსა და სატანას შორის მარადიული ბრძოლის გაგრძელებაა, რომელსაც, მოკლედ და თანამედროვე ენით თუ ვიტყვით, **გლობალიზაცია** ჰქვია.

ღმერთი და სატანა — მათ მარადიულ ბრძოლაზე თუ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების სურათის მიხედვით ვიმსჯელებთ, დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: იქ ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის კამუფლაჟით სატანამ გაიმარჯვა. **ვატიკანის ეგიდის ქვეშ მყოფი ეკლესიების ამბიონებიდან სულ უფრო ხშირად ისმის ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების მიმართ ლოიალობის შემცველი ქადაგებანი, ხოლო კათოლიციზმის წიაღიდან ამონაყარ პროტესტანულ, ლუთერანულ, ანგლიკანურ ეკლესიებში სულ უფრო გახშირდა ჰომოსექსუალთა ჯვრისწერის რიტუალები.**

მოკლედ, კათოლიკურ-პროტესტანტულ დასავლეთ ევროპაში გლობალისტ-მასონებმა საწადელს მიაღწიეს და მათი საბოლოოდ გახრწნა, რომ იტყვიან, მხოლოდ დროის ამბავია. ამის პარალელურად დასავლეთის სამოქალაქო სექტორი ე.წ. გენდერული იდენტობის ისტერიკამ მოიცვა — ტრადიციული დედისა და მამის ნაცვლად „მშობელი №1“



**მსოფლიო ხლისტებთან ბრძოლაში რუსეთის გამარჯვება მართლმადიდებლობის გამარჯვებას ნიშნავს და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ვლადიმერ პუტინი მესიის მახვილი; სწორედ ამ შემთხვევაში საქართველოშიც გაიმარჯვებს კეთილი ბოროტზე და არსება მისი გრძელი იქნება...**

და „მშობელი №2; სკოლამდელ თუ სასკოლო დაწესებულებებში გენდერული თანასწორობის ნიღბით გარყვნილების პროპაგანდა და გრანდიოზული გეიაღლუმები დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქებში ხომ, დიდი ხანია, სავალდებულო ღონისძიებაა.

ახლა **ჩვენი ლიბერასტები, როგორც სჩვევიათ, „რკინისებური არგუმენტით“ დამამუნათებენ: დასავლეთი მასეთი არ არის, უმრავლესობა ტრადიციული ღირებულებების მიმდევარიაო. და მართლაც, ამ მოსაზრებაში ვეთანხმები ჩვენს ლიბერასტებს, მაგრამ?.. იმ უმრავლესობის წარმომადგენელი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველში თავს რომ იკლავს, ამას რა ჰქვია? რაღა ბევრი გავაგრძელო, გლობალიზაციის ავ-კარგი მკითხველს კარგად მოეხსენება და ამიტომ ახლა — წინამდებარე სტატიის შექმნის მთავარ მიზეზ-საბაბზე, რამელზეც ჯერ არაფერი გვითქვამს...**

ყოველივე ზემოთ ნახსენების, გლობალისტ-სატანისტების გეგმების განხორციელების გზაზე მთავარი წინაღობა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიაა და ამიტომ ზემოთ ნახსენებ სიკეთესა და ბოროტებას შორის დაპირისპირებას მართლმადიდებლობასთან ბრძოლაც შეიძლება ვუწოდოთ.

აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ მასონ-გლობალისტთა მთავარი სამიზნე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაა, რადგან რუსეთის უმდიდრესი ეკლესიის მრევლია მსოფლიოს მართლმადიდებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, რაც იმას ნიშნავს, რომ დე ფაქტო მსოფლიო პატრიარქი რუსი კირილეა და არა აშშ-თურქეთის დაზვერვის აგენტი **ბართლომე.** ამ ყველაფერს პლუს ის, რომ რუსეთის ერი და ბერი (წაიკითხე, რუსეთის პატრიარქი და პრეზიდენტი) ერთიანია და რუსეთის ეკლესიასთან ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოსთან ბრძოლაცაა. სხვა გეოპოლიტიკურ-ფინანსური გავლენის სფეროთა გაფართოების ინტერესებთან ერთად მართლმადიდებლობასთან შეფარული, ირიბი თუ პირდაპირი ბრძოლის დასტურია უკრაინაში თუ მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

რაც შეეხება გავლენის სფეროებს, **არ გამართლდა ლიბერასტი პოლიტოლოგების პროგნოზი, გნებავთ, ნატვრა, რომ რუსეთი სირიაში ისე ჩაეფლობოდა, როგორც თავის დროზე აშშ ჩაეფლო ვიეტნამში და ახლა ავღანეთშია ჩაფლული. რუსეთმა გაიმარჯვა სირიაში, ხოლო ამერიკელები ადგილობრივმა მოსახლეობამ კარტოფილებისა და პომიდვრების სროლით გააცილეს.**

მოკლედ, სირიაში წარმატებული სამხედრო კამპანიის შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვლადიმერ პუტინი ახლო აღმოსავლეთის უგვირგვინო მეფე გახდა — ვინც იხილა კადრები საზეიმო მიღებისა, რომელიც აშშ-ის სტრატეგიულმა მოკავშირემ, საუდის არაბეთის გვირგვინოსანმა მეფემ მოუწყო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, ჩემს შეფასებას დაეთანხმება. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ რუსეთის პრეზიდენტი, კარგა ხანია, რაც ევრაზიის მბრძანებელიცაა. მსოფლიო გეოპოლიტიკის მთავარ, დიდ მოთამაშეებისკენ, მგონი, კალამი ზედმეტად „გამექცა“ და ახლა ისევ ბედკრული პატარა საქართველოს შესახებ — მკითხველის მიერ სავარაუდოდ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდები. **მართლაცდა, როგორ შეიძლება ზემოთ ნახსენები სისხლიან-ცრემლიანი წარსული დღევანდელ სინამდვილეს სჯობდეს?**

ძალიან მარტივად — იმას, რომ დამპყრობელი საქართველოს ისლამიზაციას ცდილობდა, დღევანდელთან შედარებით ერთი პატარა პლუსი აქვს — ისლამის მიღება მამა ღმერთისა და ზნეობის უარყოფას არ ნიშნავს. ახლა კი რა დღეში ვართ? კეთილდღეობის სანაცვლოდ საქართველოს ლგბტ-ზაციას მოითხოვენ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ და **პედერასტიზაციას ნამდვილად მირჩევნია ისლამიზაცია...**

**ახალგაზრდობა უკანმოუხედავად გარბის საქართველოდან, ხოლო მათ ადგილს ათასი ჯურის უკანონო თუ კანონიერი მიგრანტები იკავებენ, რაც დროთა განმავლობაში ქართველი ერის თვითმკვლელობას ნიშნავს.** თბილისში უკვე გაჩნდა ადგილები, სადაც თურქები, არაბები, ჩინელები თავიანთ მაღაზია-კაფე-ბარებთან „აბირჟავებენ“ და, თუ ასე გაგრძელდა, შორს არ არის ის დრო, რომ თბილისსა თუ სხვა ქალაქებში მათი საცხოვრებელი უბნები თუ კვარტლები გაჩნდეს ისე, როგორც ეს ჩვენს „მეგობარ“ საფრანგეთსა და გერმანიაში, ჰოლანდიასა თუ საბერძნეთშია და ა.შ.

საერო ხელისუფლების მდუმარე თანხმობის ფონზე, ამ ყველაფრის ერთადერთ მოწინააღმდეგეს, საქართველოს დედაეკლესიას კი ყოველი მხრიდან უტევენ დასავლეთის ლიბარასტული ფონდებიდან უხვად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო სექტორი, სახალხო დამცველის ინსტიტუტი და ა.შ. სხვა მრავალი შინაური თუ გარეული ხლისტი. ზემოთ ნახსენებ მართლმადიდებლობასთან ბრძოლაში საქართველოს დედაეკლესია ჯერჯერობით უეჭველი მარცხისთვის არის განწირული.

რაც შეეხება რუსეთს, დასავლეთის პრესაში უკვე გაჩნდა პირველი, გაუბედავი სტატიები, რომლებშიც რუსეთი აღიარებულია, როგორც, საზოგადოდ, ტრადიციული ღირებულებების დამცველ ერთადერთ ზესახელმწიფოდ და მეტიც — დასავლელი ნეოლიბერალი უმცირესობის მიერ ჩაგრული ტრადიციონალისტი უმრავლესობა იმედის თვალით შეჰყურებს ნეოლიბერასტ ხლისტებთან მარტოდმარტო მებრძოლ მართლმადიდებელ რუსეთსა და მის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: **დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობა ფარულად ტრადიციული, ქრისტიანულ ფესვებზე აღმოცენებული ღირებულებების მიმდევარია, მაგრამ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს, რადგან ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურაში უსაზღვრო ფინანსური რესურსის მფლობელი ლიბერასტი ხლისტები სჭარბობენ კონსერვატორებს და ისინი მართავენ სახელმწიფოებს.** მსოფლიო ხლისტებთან ბრძოლაში რუსეთის გამარჯვება მართლმადიდებლობის გამარჯვებას ნიშნავს და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ვლადიმერ პუტინი მესიის მახვილი; სწორედ ამ შემთხვევაში საქართველოშიც გაიმარჯვებს კეთილი ბოროტზე და არსება მისი გრძელი იქნება...

**დავით მხეიძე**

«ო, ენავ ჩემო...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯუმბერ პატიაშვილი: „მინდა, ამ სკოლის ბავშვებს ჰქონდეთ ყველაფერი, ჰქონდეთ ცოდნა და პირადად იცნობდნენ იმ ადამიანებს, რომლებისგანაც ბევრი საინტეროსო ამბის მოსმენას შეძლებენ. არ მინდა თბილისის სკოლის მოსწავლეებს ჩამორჩნენ და აკლდეთ რაიმე. ვცდილობ, გავულამაზო და გავუხალისო სწავლის პროცესი“.**

# ლევან ღვინჯილია: თუკი ენას დავკარგავთ, რაღა მნიშვნელობა ექნება, ვინ ვიქნებით და რა გვერქმევა?!

**ამა წლის 18 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა წეროვანის მე-2 საშუალო სკოლის უფროსკლასელებს მორიგი შემეცნებითი და სასიამოვნო დღე მოუწყო — ქართული ენის სიდიადეზე, მნიშვნელობასა და მისი გადარჩენის აუცილებლობაზე საინტერესო ლექციის წასაკითხავად ენათმეცნიერი, ყოფილი ენის პალატის თავმჯდომარე ლევან ღვინჯილია მიიწვია.**

მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანის მე-2 საშუალო სკოლა 1990 წელს დაარსდა ბატონი ჯუმბერის ინიციატივით და მას შემდეგ მასზე მეურვეობა წამითაც არ შეუწყვეტია: „მინდა, ამ სკოლის ბავშვებს ჰქონდეთ ყველაფერი, ჰქონდეთ ცოდნა და პირადად იცნობდნენ იმ ადამიანებს, რომლებისგანაც ბევრი საინტეროსო ამბის მოსმენას შეძლებენ. არ მინდა, თბილისის სკოლის მოსწავლეებს ჩამორჩნენ და აკლდეთ რაიმე. ვცდილობ, გავულამაზო და გავუხალისო სწავლის პროცესი. რამდენიმე კვირის წინათ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ძველი, სახელოვანი თაობა გვყავდა სტუმრად და ახალგაზრდების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მათ სიხარულსა და ბედნიერებას მეც ვუერთდები და ეს ხალისს მმატებს“, — გვითხრა ბატონმა ჯუმბერმა, რომელიც ამ შესანიშნავ საღამოებს მის მიერ აშენებულ ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში აწყობს.

**ლევან ღვინჯილიას მიერ წაკითხულმა ლექციამ ქართული ენის სიწმინდეზე და ქართველებისთვის მის მნიშვნელობაზე ახალგაზრდები ძალიან დააინტერესა. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, გავსაუბრებოდით ბატონ ლევანს.**

— ხელისუფლების დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი უპასუხისმგებლოა. საქართველოს ტერიტორია არის კაცობრიობის განსაკუთრებული და განსხვავებული სამოსახლო, არ ვამბობ, რომ საუკეთესო.

ქართველები ვცხოვრობთ ქართულ ენაში და ამიტომ სრული უფლება გვაქვს, უფლება გვაქვს კი არა, ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა, მოვუაროთ მას და განვავითაროთ. ქართველები ქართველად ვყალიბდებით ქართული ენით და ეს უნდა იცოდეს ყველამ. ამ ენაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, სწორედ სახელმწიფო უნდა იცავდეს მას. ენაზე ზრუნვით ქართველობას გადავარჩენთ, სახელმწიფო გადაარჩენს საქართველოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, **თუკი ენას დავკარგავთ, შევუერთდეთ მეზობელ ქვეყნებს, რაღა მნიშვნელობა ექნება, ვინ ვიქნებით და რა გვერქმევა?! თუკი ენა არ გვექნება, ცალკე სახელმწიფოდ ყოფნა საჭირო არ არის. ქართველობა, როგორც კაცობრიობის განსაკუთრებული სახეობა, უნდა გადავრჩეთ.**

ქართველებისნაირი ერი ბევრია, მაგრამ ერი არ არიან ამერიკელები, ისინი კაცობრიობის სახეობა არ არიან. მაგალითად, ცხენი ცხოველის სახეობაა, ვირიც, მაგრამ ჯორი არ არის სახეობა, ასეა ამერიკის მოსახლეობაც, რადგან იქ მთელი მსოფლიოდან ჩასული ხალხები ცხოვრობენ, მათ ენაც არ აქვთ, ისინი ბრიტანული ინგლისურით საუბრობდნენ და ახლა ცდილობენ, ამერიკული ინგლისური შექმნან, რადგან სხვაგვარად ერად ვერ შედგებიან. ერთხელ ფსიქოლოგმა **შოთა ნადირაშვილმა** თქვა: **„ამერიკა არის სამშობლოს უარმყოფელ ადამიანთა მიერ შექმნილი ქვეყანა“.**

ჩვენს არსებობას დედამიწაზე მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ჩვენ შევნარჩუნდებით, როგორც ქართველი ერი, და გავაგრძელებთ სამყაროს აღქმას ქართულად.

— ქართული ენა სავალალო მდგომარეობაშია... რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ენა გადავარჩინოთ და ისეთივე წმინდა დავუტოვოთ მომავალ თაობებს, როგორც ჩვენ გადმოგვეცა? პედაგოგები ხშირად ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოწაფეებს ენა შეაყვარონ, მაგრამ მათაც არ აქვთ კმაყოფილების განცდა, რადგან სასკოლო პროგრამებში მშობლიური ენის სწავლებას უპირატესობა არ ენიჭება.

— **გრიგოლ ორბელიანმა** დაგვიბარა: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“. **იაკობ გოგებაშვილმა** თქვა: „ენა ბურჯია ეროვნებისა“. არანაირი ენთუზიაზმი მასწავლებლისა თუ რომელიმე საზოგადო მოღვაწისა შედეგს არ გამოიღებს, თუკი სახელმწიფომ არ დაისახა მიზნად ენის დაცვა. **დიდი ხანია, ვხედავ, რომ ხელისუფლებას არ აქვს გააზრებული სახელმწიფო ენის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში და ამიტომ ერიც დაეცა. მისი ფეხზე წამოყენება ადვილად შეიძლება არა ინვესტიციების მოზიდვით, არა ღრმაწყლოვანი პორტის აშენებით, არამედ ენის გადარჩენით და ენაზე ზრუნვით.**

500-ათასი კაცით დასახლებული ლაზიკა იქნება ინგლისურენოვანი და ახლო-მახლო მცხოვრები ქართველებიც შეეცდებიან, შვილებს აკვნიდანვე შეასწავლონ ინგლისური, რათა ლაზიკაში დასაქმდნენ, რაც დამღუპველი იქნება.

ენის დაცვის საკითხისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება ამერიკიდან მოდის. იქ ვინმეს რომ უთხრათ, ბრიტანული ენის სიწმინდე უნდა დაიცვაო, სიცილით მოკვდება, რადგან სურთ, დაშორდნენ ბრიტანულს და სხვანაირი გახადონ ენა. რამდენიმე ხნის წინათ ერთმა კაცმა იგავი წამაკითხა: „ტყეში ხანძარი გაჩნდა. ერთი პატარა ჩიტი წყაროსთან მიფრინავს, სველდება და მერე ხანძრის თავზე ფრთებს იბერტყავს, მერე ისევ მიდის წყაროსთან და ასე, მთელი დღის განმავლობაში დაუღალავად მიფრინავს და მოფრინავს. ვიღაცამ ჰკითხა: — რას აკეთებ, შენ ამ ხანძარს როგორც ჩააქრობო? ჩიტმა უპასუხა: — აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, ჩემი სახლი იწვის და ჩემს ცხოვრებას რა აზრი აქვს, ერთი ეს შემიძლია და ამას ვაკეთებ, იქნებ ჩემმა წვეთებმა რაღაც უშველოსო.

ეს რომ ანგელოზებმა დაინახეს, ხანძარი ჩააქრეს“.



**«პედაგოგებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, მათ დახვეწილი ქართულით უნდა ისაუბრონ და მომავალი თაობები ქართულ ენაში უნდა გაზარდონ, მაგრამ, სამწუხაროდ, გლობალურად ეს არაფერს შეცვლის, სანამ კანონით თითს არ მოაჭრიან მას, ვინც სამარცხვინო ქართულს დაწერს ან სამარცხვინოდ ისაუბრებს. თითის მოჭრა, მიხვდით, ალბათ, რომ ფიგურალურად ვთქვი. უნდა დაისაჯოს არასწორად მოსაუბრე ჟურნალისტი, მაგრამ ეს რომ მოხდეს, მისმა ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს ენა ზედმიწევნით კარგად»**

**შესაძლოა, ერთმა წვეთმა ქართულ ენასაც უშველოს, ჩვენ მოვინდომოთ მისი დაცვა და მერე უფალიც გადმოგვხედავს, მაგრამ სამწუხაროდ, მივხვდი, რომ ქვეყანას არაფერი არ ეშველება, თუ თავკაცები არ დადგებიან ჯეროვან სიმაღლეზე.**

**— როგორ ხდებოდა ენის დაცვა საბჭოთა წყობის დროს?**

— 1975 წლიდან ენის დაცვის საქმეს ვემსახურები. იმხანად საკმარისი იყო, ტელევიზიით მეთქვა შენიშვნა და მეორე დღესვე გასწორებული იყო. **მეცინება, როდესაც ამბობენ, კომუნისტები ქართულ ენას აბუჩად იგდებდნენო. რუსებისგან მხოლოდ ერთი სიტყვა გვაქვს ქართულში — სამოვარი, სხვა რუსული სიტყვა ჩვენს ლექსიკონში არ არსებობს, არადა, ამბობენ, რუსებმა წაგვართვეს ენაო.**

„ადჟარიია“ ეწერა სასტუმროს რუსულად, ტელევიზიით ვთქვი, რომ ეს საკუთარი სახელია და მისი ასე დაწერა არ შეიძლება. მეორე დღესვე მოანგრიეს და სწორად დააწერეს. **წარმოუდგენელი იყო, საქართველოს ტელევიზიით ვინმეს მართებულად კრიტიკული სიტყვა ეთქვა და ის არ გამოსწორებულიყო; მეტიც, ხელმძღვანელ პირს თანამდებობასაც კი ატოვებინებდნენ. შეცდომა რომ არ გამოსწორებულიყო, წარმოუდგენელი იყო, რადგან ტელევიზიითა და გაზეთით ნათქვამი კრიტიკა აღიქმებოდა, როგორც ხელისუფლების პოზიცია. ასეთი პოზიცია უნდა იყოს დღესაც.** უფროს თაობას ახსოვს, როგორ ავრცელებდნენ საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსულ ენას. აი, ის მეთოდოლოგია გვჭირდება, რათა ქართული ენა გავავრცელოთ, მაგრამ ამას გააზრება, მონდომება და ენის სიყვარული სჭირდება.

კომუნისტების პერიოდში მოსკოვი, ასე ვთქვათ, აკვირდებოდა ჩვენი ხელისუფლების ქმედებებს გამადიდებელი შუშით, მაგრამ ჩვენები ახერხებდნენ ენის დაცვას ისე, რომ რუსულს არავინ შეურაცხყოფდა.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ იყო ერთი კაცი (გარდაიცვალა, ამიტომ მის ვინაობას არ გავამხელ), რომელმაც თქვა, რომ გერმანიაში გვითხრეს, **ალექსანდრე ქართველიშვილის** გამოშვებულ ერთ ძველ „ბოინგს“ გაჩუქებთო და, როგორც ძეგლი, ისე დადგითო. მაშინდელ მთავრობას „ბოინგისთვის“ ადგილი შეურჩევია პუშკინის სახელობის სკვერში — პუშკინის ძეგლი ავიღოთ და იქ დავდგათო. გავვოცდი, ნუთუ ამის მეტი ადგილი ვერ ნახეს-მეთქი?! ქართველებმა რა, არ იციან, რომ პუშკინი რუსული პოეზიის მარგალიტია სრულიად მსოფლიოში?

**პედაგოგებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, მათ დახვეწილი ქართულით უნდა ისაუბრონ და მომავალი თაობები ქართულ ენაში უნდა გაზარდონ, მაგრამ, სამწუხაროდ, გლობალურად ეს არაფერს შეცვლის, სანამ კანონით თითს არ მოაჭრიან მას, ვინც სამარცხვინო ქართულს დაწერს ან სამარცხვინოდ ისაუბრებს. თითის მოჭრა, მიხვდით, ალბათ, რომ ფიგურალურად ვთქვი. უნდა დაისაჯოს არასწორად მოსაუბრე ჟურნალისტი, მაგრამ ეს რომ მოხდეს, მისმა ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს ენა ზედმიწევნით კარგად. სორბონაში მიღებული განათლება არაფერს არ ნიშნავს ქვეყნისთვის, როცა ენაზეა საუბარი.**

ქართულ ენას სახელმწიფო არ იცავს, ახლა შეიქმნა ენის დაცვის დეპარტამენტი, რომელსაც საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი** ხელმძღვანელობს, მაგრამ შედით ამ დეპარტამენტის საიტზე და ნახავთ მათ აქტივობებს. პირველი, რაც გააკეთეს, სუმოისტ **ტოჩინოშვილს** შეხვდნენ. კვლევითი ინსტიტუტები ვერ მუშაობენ, რადგან ნახევარი აღარ არსებობს და, რომელიც არსებობს, სულს ღაფავს. ახლა სულ ანგრევენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის უნიკალურ შენობას, რადგან სასტუმროს მშენებლობას უშლის ხელს.

ჩვენ მივყავართ ისეთი ქვეყნისკენ, როგორიც სინგაპურია, და ის მაღალი კაცი, საქართველოს პრეზიდენტი რომ ერქვა, ამას ამბობდა კიდეც. **რა არის სინგაპური? სინგაპური არის ქვეყანა, რომლის ადგილობრივი მოსახლეობა არის ჩვიდმეტი პროცენტი, ლაპარაკობს ინგლისურად და, ლამის 30 წელიწადია, ერთი ხელისუფლება ჰყავს. იქ ეროვნულობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეროვნულობაზე ლაპარაკი ზედმეტია ამერიკელებისთვისაც.** ისინი რომ იმ დარბაზში მსხდარიყვნენ და ჩემთვის მოესმინათ, პროტესტის ნიშნად დატოვებდნენ იქაურობას; ჩემს ნათქვამს ჩათვლიდნენ ჩამორჩენილ, თანამედროვეობაში ჩაუხედავ, ე.წ. მეცნიერის ნაბოდვარად.

**მიდგომა — რა მნიშვნელობა აქვს, როგორ ილაპარაკებ, მთავარია, გააგებინო, მცდარია და ეს უნდა შევიგნოთ.**

ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ მოდიოდა, მითხრა, რომ ენის დაცვაზე აუცილებლად ვილაპარაკოთ, ოღონდ ევროპასთან ლაპარაკი დამაცადეო. ვაცადე ევროპასთან ლაპარაკი, პრემიერის დანიშვნა ერთის, მეორის, მესამის... მაგრამ ქართულ ენაზე ლაპარაკის დრო არა და არ დადგა, რადგან ენის დაცვის აუცილებლობის გააზრების პრობლემა აქვთ.

როდესაც ენის დაცვის საკითხი სახელმწიფოს დონეზე იქნება აყვანილი, მაშინ ბავშვები ერთმანეთის კონტროლს დაიწყებენ. ბავშვობაში ჩვენ ვთამაშობდით: ვისაც ბარბარიზმი წამოსცდებოდა, ყულაბაში ფულს აგდებდა. ეს ბევრს ნიშნავდა...

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**საქართველოში სასამართლო სისტემა უკვე არნახულად გაფარჩაკდა. ახალს ვერაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ ეს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა მიზანმიმართული დესტრუქციული ქმედებებისა და „ქართული ოცნების“ ლიდერთა სრული გამოშტერების თუ დანაშაულებრივი უმოქმედობის ბრალია.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საზოგადოდ, სამართალი სასამართლოზეა დამოკიდებული. შესაბამისად, სამართალიც, ალბათ, ზუსტად იმას „ჭამს“, რასაც სასამართლო, ანუ მოსამართლეები მიირთმევენ. საქართველოში კი, უკვე 30 წელიწადია, რაც პერმანენტულად ერთსა და იმავეს მიირთმევენ მოსამართლეებიც, მთელი სასამართლო სისტემაც და ამ სისტემის ხელში ჩაგდებისა და მისი კონტროლის მსურველი ხელისუფლებებიც — ეს, დიდი ხანია, აშკარაა.**

# რა ჭამა ქართულმა სამართალმა?



ამიტომ საზოგადოება უკვე აღარც ფიქრობს, რას მიირთმევენ ისინი (ეს თვალნათელია). უბრალოდ, ახლა მირთმევის ფორმები, გზები და მეთოდებია საინტერესო.

ხომ გახსოვთ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, სოდის მილების სხვადასხვა ხერხს რომ ხსნის დაფასთან გასული უვიცი ზურიკელა ვაშალომიძე? დაახლოებით ეგეთი სიტუციაა დღეს ქართულ სასამართლო სისტემაში — ზოგი ჭიქა წყალში ხსნის და ერთი მიყუდებით ცლის სულმოუთქმელად, ზოგი კი ენაზე იყრის და...

მოკლედ, **საქართველოში სასამართლო სისტემა უკვე არნახულად გაფარჩაკდა. ახალს ვერაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ ეს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა მიზანმიმართული დესტრუქციული ქმედებებისა და „ქართული ოცნების“ ლიდერთა სრული გამოშტერების თუ დანაშაულებრივი უმოქმედობის ბრალია.**

და მაინც, მოდი, განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა და მაგალითი, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოში სასამართლო სისტემის, ანუ ხელისუფლების ყველაზე მთავარი შტოს არნახულ სავალალო მდგომარეობაზე მიუთითებს.

კულმინაციით დავიწყოთ — ეს იყო პარლამენტში ნაცების მიერ მოწყობილ დაკითხვაზე (ამას „მოსმენა“ ნამდვილად არ ერქვა!) მოსამართლეობის კანდიდატებისთვის სრულიად არასერიოზული კითხვების დასმა და სასამართლო სისტემის გამასხარავების მცდელობა.

„დაწყებული იმით, თუ ვინ დაწერა „დიდოსტატის მარჯვენა“ და დიპლომში ვის რა საგანში რა ნიშანი ჰყავდა, იმის დეტალური კვლევით დამთავრებული, ეს ცირკი სწორედ იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ საქართველოში სიტყვები „სასამართლო“ და „მოსამართლე“ მასხრად ასაგდები, სამაიმუნო გახდეს.

პირდაპირ ვთქვათ — „ნაციონალურ მოძრაობას“, ისევე, როგორც ყოველთვის, ახლაც ფეხებზე ჰკიდია სახელმწიფო ინსტიტუტების იმიჯი, ოღონდ კი თავის მიზანს მიაღწიოს. სხვათა შორის, 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციაც სწორედ ამის შედეგი იყო — **მიშა სააკაშვილის ობსტრუქციული ჯგუფები და ორგანიზაციები როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად და მენტალურადაც „აზონდერებდნენ“ საზოგადოებას და ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ მასხრად აეგდოთ მაშინდელი ჯარი, პოლიცია თუ სასამართლო სისტემა. ნამდვილად არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ შევარდნაძის დროს ეს ინსტიტუტები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და ყველა უწყება გამართულად და კარგად მუშაობდა,** მაგრამ, თუ ფაქტებს გავუსწორებთ თვალს, აღმოვაჩენთ, რომ რეალურად იმის მეათედი „უბედურებაც“ კი არ ხდებოდა, რასაც გროტესკულად წარმოაჩენდა „ნაციონალური მოძრაობა“ და მის მიერ მართული მედიასაშუალებები. დიახ, ვფიქრობ, უკვე ყველაზე გულუბრყვილო ადამიანსაც კი არ გაუკვირდება ის ფაქტი, რომ **ნაცები ჯერ კიდევ მაშინ მართავდნენ არაერთ მედიასაშუალებას და განსაკუთრებით ჯიბეში ედოთ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და გაზეთი „რეზონანსი“.**

სწორედ მედიასაშუალებებით ხდებოდა, როგორც რეალური ფაქტების გაბუქება და ერთი უარყოფითი შემთხვევის ასად წარმოჩენა, ასევე ე.წ. დადგმული უბედურებებიც. მაგალითად: „ნაციონალური მოძრაობის“ ზესტაფონის მაჟორიტარი კანდიდატის სახლში უცნობმა პირებმა ხელყუმბარა შეაგდეს!“ **დღეს ჟურნალისტთა წრეებში უკვე ბევრმა იცის, რომ ეს ხელყუმბარა თვითონ ნაცებმა შეაგდეს მაშინ იმ კანდიდატის სახლის სარდაფში, მისი ოჯახი წინასწარ იყო გახიზნული, ხოლო ღობის ბოლოში ამ „ექსკლუზიურ სკანდალს“ ჩართული კამერითა და მომარჯვებული მიკროფონით ელოდებოდა „რუსთავი 2“-ის ადგილობრივი ბიუროს გადამღები ჯგუფი...**

ასეთ „სკანდალებს“ „რუსთავი 2“ მაშინ კვირაში სამს მაინც დგამდა.

**თუ კარგად დავძებნით არქივებს, იმასაც ვიპოვით, რომ არც ასფალტის დაგება დაუწყია სააკაშვილს გაპარტახებულ თბილისში და ეს ამბავი სწორედ შევარდნაძის დროინდელმა მთავრობამ წამოიწყო. პირადად მე, როგორც ჟურნალისტს, არაერთხელ გამომითქვამს პროტესტი პრესაში იმის გამო, რომ ასფალტის დასაგებად თბილისის სხვადასხვა უბანში გამოსულ ბულდოზერებზე გამოკრული იყო ბანერები წარწერით „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“.** ვაპროტესტებდი იმას, რომ ასფალტის დაგება სახელმწიფოს მოვალეობა იყო და ბულდოზერებზე რომელიმე პარტიის სახელი არ უნდა ყოფილიყო დაწერილი. ჩემს ამ პროტესტს ყველაზე აგრესიულად სწორედ მიხეილ სააკაშვილი ეხმიანებოდა და „ნამუსზე მაგდებდა“, იმის გამო, რომ „ვბედავდი“ და „მსოფლიო დონის პოლიტიკოსს“ — ედუარდ შევარდნაძესა და მის პარტიას ვაკრიტიკებდი. **როგორც ჩანს, საზოგადოების მახსოვრობა ძალიან მოკლეა, მოდიან თაობები, რომლებსაც ეს ყველაფერი საკუთარი თვალით არ უნახავთ და ამიტომაც არის, რომ „კუპონის მამა“ თავს უფლებას აძლევს, ირონიულ-დამცინავი, დამამცირებელი დაკითხვა მოუწყოს მოსამართლეობის კანდიდატებს პარლამენტარის სტატუსით.**

**როგორც ჩანს, საზოგადოების მახსოვრობა ძალიან მოკლეა, მოდიან თაობები, რომლებსაც ეს ყველაფერი საკუთარი თვალით არ უნახავთ და ამიტომაც არის, რომ «კუპონის მამა» თავს უფლებას აძლევს, ორინიულ-დამცინავი, დამამცირებელი დაკითხვა მოუწყოს მოსამართლეობის კანდიდატებს პარლამენტარის სტატუსით. «რა ჰქვია სამართლიანობის ქალღმერთს?» — ისეთი ტონით ეკითხება ცნობილი გაიძვერა რომან გოცირიძე შალვა თადუმაძეს, თითქოს თვითონ სულ თემიდას მოსაწონად ცხოვრობდა და წამითაც არ გადაუხვევია სამართლიანობისა და სიმართლისთვის**

„რა ჰქვია სამართლიანობის ქალღმერთს?“ — ისეთი ტონით ეკითხება ცნობილი გაიძვერა **რომან გოცირიძე შალვა თადუმაძეს**, თითქოს თვითონ სულ თემიდას მოსაწონად ცხოვრობდა და წამითაც არ გადაუხვევია სამართლიანობისა და სიმართლისთვის. თემიდა რეალურ ცხოვრებაშიც ისეთივე რომ იყოს, როგორიც მითებშია, მაშინ გოცირიძეს თაღლითობისა და სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისთვის, სულ ცოტა, 5-წლიანი პატიმრობა მაინც უნდა ჰქონდეს მოხდილი.

მოდი, მხოლოდ „კუპონების მბრძანებელზე“ ნუ გადავტეხავთ ჯოხს და ნაცების სხვა „მოღვაწეებსაც“ დავუფასოთ ჯაფა სასამართლო სისტემისა და კონკრეტული მოსამართლეების იმიჯის შელახვის საქმეში. მაგალითად, გასულ კვირაში მოსამართლემ **ნიკანორ მელია** სასამართლო დარბაზიდან გააძევა. ამის მიზეზი იყო ის, რომ მელიამ მოსამართლეს სასამართლო დარბაზშივე ხმამაღლა უთხრა: მობილურზე გირეკავენ ზევიდან და დირექტივებს გაძლევენ, ვის რა განაჩენი უნდა გამოუტანოო. საპასუხოდ მას მოსამართლემ მოსთხოვა წესრიგის დაცვა და ჩაქუჩი დაუკაკუნა, რაც სრულიად ჩვეულებრივი ამბავია.

სწორედ აქ იყო ყველაზე საინტერესო მელიას რეპლიკა: „ეგ ჩაქუჩი დაურტყი მურუსიძეს, ჩინჩალაძესა და თადუმაძეს!“ — ლამის „ბიჭო“-თი მიმართა მელიამ მოსამართლეს.

გათვლა, რა თქმა უნდა, მარტივი იყო — მოსამართლისა და მელიას ეს შელაპარაკება და მელიას ფრაზა ყველა მედიასაშუალებამ აიტაცა და მთელი დღის განმავლობაში ატრიალა. შესაბამისად, სასამართლო სისტემის დამამცირებელი კიდევ ერთი „ცინცხალი ფრაზაც“ გამოცხვა.

როდესაც სასამართლოსა და მოსამართლეების დამცირებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ ნაპროკურორალი „ტელევიზიონშიკი“ **ნიკა გვარამია** და, საზოგადოდ, „რუსთავი 2“-ის საქმე. ჯერ იქიდან დავიწყოთ, რა უქნეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე **თამაზ ურთმელიძეს.** ახლა თვითონ რომ იყენებენ ტერმინ „ბულინგს“ — აი, ბულინგი ეგ იყო თუ იყო. ჯერ მხოლოდ იმისთვის, რომ მან მარტივი იურიდიული დეფინიცია გააკეთა — „დედა ოჯახის წევრად არ ითვლება“ — ადამიანს ისეთი ლაფი ესროლეს, ისე დასცინეს და ისე აიგდეს მასხრად, მართლა მაგარი ნერვები სჭირდებოდა ამის გაძლებას. „რუსთავი 2“-ის საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გამო კი „ბიძინას მონა“ და „პუტინის აგენტი“ ყველაზე რბილი ეპითეტები იყო, რომლებითაც ის შეამკეს, რადგან „უსამართლო“ გადაწყვეტილება გამოიტანა, „ბიძინას დაკვეთა“ შეასრულა და „კრემლის გავლენაში“ მოექცა...

ურთმელიძეს დიდად არც სტრასბურგმა უშველა — მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა ვერდიქტი: ურთმელიძის გადაწყვეტილება სწორი იყო და არავის უფლებები ამ გადაწყვეტილებით არ დარღვეულაო. ურთმელიძისთვის არც ბოდიში მოუხდია ვინმეს და არც მისი ღირსების შელახვისთვის უგია პასუხი.

სამაგიეროდ, ნიკა გვარამიამ ახლა უკვე სტრასბურგის სასამართლოს უწოდა „საბჭოთა გადმონაშთი“ და სტრასბურგელ მოსამართლეებს — „პოსტსაბჭოთა მენტალიტეტის ადამიანები“. საბედნიეროდ, სტრასბურგის მოსამართლეებსა და ვეროპელ საზოგადოებას სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ, რას კაკანებს ნაპროკურორალი „ტელევიზიონშიკი“ და მისთვის პასუხის გასაცემად არც არავინ შეწუხებულა.

სიმართლე ითქვას, არც ჩვენ უნდა ვუთმობდეთ უკვე დიდ ყურადღებას ასეთი არასერიოზული კლოუნის გამოხდომებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება ჯერაც განვითარების იმ ეტაპზეა, რომ გვარამიას მსგავსი ჯამბაზების განცხადებებს მეტ-ნაკლებად მაინც სერიოზულად იღებს და ამიტომ ჯერაც საჭიროა, ადამიანებს მოვლენების სწორად აღქმასა და პიროვნებების სწორად შეფასებაში დავეხმაროთ.

ფაქტია: **სასამართლო ხელისუფლების ასეთი დაკნინება, ასეთი გამასხარავება და გამაიმუნება მხოლოდ ამ სახელმწიფოს მტრებს შეიძლება აძლევდეთ ხელს.** არავინ იფიქროს, შალვა თადუმაძეს ვიცავ ან მის უვადო მოსამართლეობას ვუჭერ ორი ხელით მხარს...

უბრალოდ, **თუკი მოსამართლის კანდიდატურას იწუნებ, მაშინ ეს შეიძლება გაცილებით სერიოზული არგუმენტებით, გაცილებით სწორი შეკითხვებითა და გამართლებული მეთოდით გააკეთო. რომან გოცირიძის, ნიკა გვარამიასა და სხვათა მიზანი კი არა კონკრეტული მოსამართლის „გაშავება“, არამედ მთლიანად სასამართლო სისტემის გაბიაბრუებაა...**

თუმცა, მართლაც და, რა უნდა ელაპარაკო მათ, ვინც სტრასბურგის სასამართლოსაც კი „საბჭოთა გადმონაშთს“ უწოდებს?!

საზოგადოება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მკვლელობაზეც და არასრულწლოვანთან სქესობრივ კავშირზეც კანონი უფრო უნდა გამკაცრდეს, მაგრამ კანონი უნდა კრძალავდეს და სჯიდეს მათაც, ვინც არასრულწლოვნებს თავისუფალ სექსზე აქეზებს და იმას ასწავლის, როგორ დაიცვან თავი დაფეხმძიმებისგან. არასრულწლოვნებს ის უნდა ვასწავლოთ, რომ ადრეულ ასაკში სექსუალური ცხოვრების დაწყება არათუ არ შეიძლება, არამედ დანაშაულიც კი არის და სრულწლოვნობისას, თავისუფალ ურთიერთობებზე კი არა, ოჯახზე იფიქრონ.**

# 15 წლისა, თვითონ ბავშვი, ბავშვს რომ აჩენს, შეზღუდულ შერაცხადობას უდგენენ კი არა, ცოცხალი რომ არის, არ გიკვირთ?!

## ადამიანის ტრაგედიაზე ფულის კეთება უზნეობაა

**ორიოდე წლის წინათ ზედიზედ რამდენიმე მკვლელობა მოხდა და დაღუპულები ქალები იყვნენ. აგორდა კამპანია და ძირითადი დევიზი „არა ქალ კლა“ იყო. ვერ გეტყვით, რატომ ჩათვალეს ამ დევიზის ავტორებმა, რომ „არა კაც კლა“ მხოლოდ მამაკაცებზე არის ნათქვამი, მაგრამ ფაქტია, სუსტმა სქესმა ქართველი მამაკაცების უმრავლესობა მოძალადეებად გამოიყვანა. სოციალურ ქსელში არაერთ გამონათქვამს წააწყდებოდით, რომელიც ქართველი კაცის დისკრიმინაციისკენ იყო მიმართული და არაერთი ქალი ამბობდა, რომ გოგოები ქართველ კაცებზე არ უნდა თხოვდებოდნენ, რადგან ჩვენ „ბნელი გრუზინები“ ვართ.**



უწინარესად, იმას ვიტყვით, რომ ადამიანის მკვლელობა, არ აქვს მნიშვნელობა, ქალი იქნება, კაცი თუ ბავშვი, უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე დღეს ისჯება და გამართლება არ აქვს. მაგრამ ერთმა, ორმა და თუნდაც ათმა კაცმა ქალი რომ გაიმეტა სასიკვდილოდ და ამის გამო მთელი ერის მამაკაცები მოძალადეებად გამოაცხადო, დანაშაულია. დანაშაულია, რადგან ამ მამაკაცების უმრავლესობა ზუსტად ისევე გმობს დანაშაულს, როგორც ქალები და ერთ ქვაბში ყველას მოხარშვა უმართებულოა. ყოფილა შემთხვევა, როცა ქალს მოუკლავს კაცი და გინახავთ, კაცებს ასე ოპერატიულად, ასე ერთსულოვნად დაეწყოთ იმის მტკიცება, რომ ქართველი ქალები არაფრად ვარგა, რომ კაცებმა ცოლად ქართველები არ უნდა შეირთონ და ა.შ. არ მომხდარა ეს და იმიტომ, რომ ის მცირედი, რაც საპირისპირო სქესს სასიკვდილოდ იმეტებს, ქალებშიც არის და კაცებშიც.

ჩვენ მაინც გვგონია, რომ პრობლემის სათავე სხვაგანაა და არა კონკრეტულად აღებულ ერთ ან ორ დანაშაულში. 21-ე საუკუნეში ქალთა უფლებები არნახულად რომ გაიზარდა, ახალი ამბავი არ არის. ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ ვიცოდით, რომ „ლეკვი ლომისა სწორია“, მაგრამ არის რაღაცები, რასაც დღემდე არ ვეთანხმებით და, რაც უნდა შეიცვალოს, ვერ დავეთანხმებით. ჩვენ არ ვეთანხმებით მოწოდებას, რომ თურმე აბორტი ქალის უფლებაა. აბორტის აკრძალვაც თუ მოხდება ოფიციალურ დონეზე, არ იქნება ცუდი, რადგან ესეც მკვლელობაა და არა უფლება. ქალებისთვის მკვლელობის უფლების დაკანონებას რომ ითხოვენ, ეგ არის გასაპროტესტებელი და, თუ ვინმე აპროტესტებს, ისიც ჩუმად, მორიდებით, რადგან ეშინია, სოციალურ ქსელში არ ჩაქოლონ და არ გადაუარონ.

**არც ის მიგვაჩნია მართებულად, პარლამენტის წინ შეკრებილი დიაცები ბოლო ხმაზე რომ გაჰკივიან: „ჩემი ფუჩუ ჩემია“. ჯერ ერთი, გქონდეთ, ვინ გართმევთ?! და მეორეც: კაცებმა რომ იმავეს ყვირილი დავიწყოთ (დაახლოებით), მოგეწონებათ? ლამაზი იქნება? ის თუ მოგეწონებათ, მოწოდებებით რომ გამოვიდეთ, სექსუალური განათლება ბავშვებს სკოლაშვე ასწავლეთ, ასწავლეთ, თავი როგორ დაიცვან და ნაადრევი ორსულობა როგორ აიცილონ თავიდანო? არადა, არასამთავრობოთა უმრავლესობა, რომლებიც სწორედ ქალთა უფლებების მიმართულებით მუშაობენ, ამ მოწოდებით გამოდიან.**

იმას ვამბობდით, რომ ორი წლის წინათ, ზედიზედ რამდენიმე მკვლელობის შემდეგ, არაერთი მოძრაობა დაარსდა და... გაქრა. გაქრა იმიტომ, რომ ამ მოძრაობებმა საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ დააინტერესეს, მსუყე გრანტები ვერ მიიღეს და მშიერ კუჭზე ყვირილი არავის მოუნდა. სამაგიეროდ, ახლა ატეხეს ისევ ხმაური: ცოცხლები ვართ, არსად არ წავსულვართო... და ეს ყველაფერი ორწლიანი დუმილის შემდეგ.

გასული კვირის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა გარდაბანში, სოფელ კალინინოს საჯარო სკოლის მასწავლებლის — **ჰამიდ სადიხის** განცხადება გახდა. ჰამიდმა სოციალურ ქსელში ნაადრევი ქორწინება გააპროტესტა. ამის შემდეგ მას მშობლები მიუცვივდნენ და ბოდიში მოახდევინეს. ჰოდა, ატყდა ამბავი — ეს კაცი მართალს ამბობდა და სახელმწიფო რატომ არ იცავსო?!

ბატონებო და ქალბატონებო, დაიოკეთ ვნებები და ერთ ძალიან საინტერესო პარალელს გავავლებთ. რამდენიმე თვის წინათ კასპში დედამ 7 თვის ჩვილი გაგუდა. სასამართლომ ორიოდე კვირის წინათ დედას განაჩენი გამოუტანა.

**„ძალიან მძიმე იყო იმის მოსმენა, რომ 6 წელი შეუფარდეს. ველოდი, რომ უფრო მეტი სიმკაცრით დაისჯებოდა. გასაგებია, რომ არასრულწლოვანია და შესაძლოა, ამის გამო არ შეუფარდეს უფრო მკაცრი სასჯელი, მაგრამ, მგონი, კანონში ისიც წერია, 3 წელს მიუღწეველ ბავშვს თავის დაცვა რომ არ შეუძლია და, როცა ასეთს კლავ, უფრო მკაცრად უნდა დაისაჯო. ჩვენ ვერ ვნახეთ, რომ თუნდაც ამ ფაქტის გამო ის მკაცრად დასჯილიყო. შვილს რომ კლავ და განზრახ მკვლელობა რომ არის, ამაზე, საერთოდ, არ მაქვს საუბარი“,** — განაცხადა სასამართლოს განაჩენის მოსმენის შემდეგ მსჯავრდადებულის ქმარმა, მოკლული ბავშვის მამამ — **მიშო დვალიშვილმა.**

ქმარი ამბობს, გასაგებია, რომ ჩემი ყოფილი ცოლი არასრულწლოვანია და ამის გამო არ მისცეს დიდი სასჯელი, მაგრამო... როცა ბრალდებულმა 7 თვის ბავშვი გაგუდა, 16 წლის იყო. ე.ი., როცა გათხოვდა, საუკეთესო შემთხვევაში, 14 წლის გახლდათ, 9 თვე ორსულად იყო, მერე 7 თვის შვილი ჰყავდა, საერთო ჯამში, 16 თვეა გათხოვებიდან დანაშაულის ჩადენამდე. ეს კაცი კიდევ გამოდის და, არასრულწლოვანი რომ იყო, იმიტომ მისცეს ცოტა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ბევრი ეკუთვნოდაო. **სად არიან ის არასამთავრობოები, ჰამიდის დაბულინგებით რომ აღშფოთდნენ, კაცი არასრულწლოვანთა ქორწინებას სამართლიანად აპროტესტებსო?! ამ ბიჭს, ბატონ მიშოს, რატომ არავინ ეუბნება: 14 წლის ბავშვი ცოლად რომ მოიყვანე, ექიმს რატომ არ ეჩვენე, პედოფილიის მიმართ მიდრეკილება ხომ არ გაქვსო? და სასამართლო ექსპერტიზამ ბრალდებულ გოგოს შეზღუდული შერაცხადობა რომ დაუდგინა, რატომ გიკვირთ? 14 წლის ბავშვს სექსი რომ აქვს, 15 წლის ორსულად რომ არის და ბავშვს აჩენს (15 წლის გოგო აჩენს ბავშვს), შეზღუდულ შერაცხადობას რომ უდგენენ კი არა, ცოცხალი რომ არის, არ გიკვირთ?** ისე არ გაიგოთ, თითქოს ჩვილის მკვლელს ვამართლებდე, მაგრამ მედალს ყოველთვის აქვს მეორე მხარე და სწორედ ამ მეორე მხარეზე მოგახსენებთ. არ იყო ამ შემთხვევაში (ნაადრევი ქორწინება კი არა) ეს პედოფილიის შემთხვევა? 14 წლის ბავშვთან სექსი რომ გაქვს, ნორმალური ხარ? მამას რატომ არ ამოწმებენ, ეგებ იმასაც აქვს შერაცხადობა შეზღუდული?

მთავარი პრობლემა ზედმეტი თავისუფლებაა. ჰო, ზედმეტი თავისუფლება, უფრო სწორად, თავისუფლების საბაბით მოზარდებისთვის ავისა და კარგის გარჩევის შესაძლებლობის და მშობლებისა და მასწავლებლებისთვის მოზარდთათვის ჭკუის დარიგების და საჭიროებისას მკაცრი მითითების მიცემის შესაძლებლობის წართმევა და მეტი არაფერი. ხმამაღლა რომ გაჰკივიან არასამთავრობოები ქალთა უფლებებზე, კი ბატონო, როცა საქმე შრომასა და ანაზღაურებაში თანასწორობას და კიდევ ბევრ რამეს ეხება, **მაგრამ, როცა დაბეჯითებით ამტკიცებენ, მე სექსში თავისუფალი უნდა ვიყოო, მერე კიდევ ნაადრევ ქორწინებასა და აბორტებზე პირში წყალს იგუბებენ (თუ ქულების დაწერა არ სურთ), რეალურად პრობლემის მოგვარება კი არა, დასავლელი პარტნიორებისა და დონორებისთვის თავის მოწონება სურთ.** არ შეიძლება, მოზარდები თავისუფალ სექსზე წავაქეზოთ, ეს ყველაფერი სკოლებში შევიტანოთ, აბორტები გავამართლოთ, აბორტის აცილების გზებზე ვესაუბროთ და არა იმაზე, რომ იქამდე არ უნდა მიიყვანონ საქმე.

**როცა დაბეჯითებით ამტკიცებენ, — მე სექსში თავისუფალი უნდა ვიყოო, მერე კიდევ ნაადრევ ქორწინებასა და აბორტებზე პირში წყალს იგუბებენ (თუ ქულების დაწერა არ სურთ), რეალურად, პრობლემის მოგვარება კი არა, დასავლელი პარტნიორებისა და დონორებისთვის თავის მოწონება სურთ. არ შეიძლება, მოზარდები თავისუფალ სექსზე წავაქეზოთ, ეს ყველაფერი სკოლებში შევიტანოთ, აბორტები გავამართლოთ, აბორტის აცილების გზებზე ვესაუბროთ და არა იმაზე, რომ იქამდე არ უნდა მიიყვანონ საქმე**

მკვლელობები ყველა ქვეყანაში ხდება და ამ სტატისტიკით მოწინავე ნამდვილად არ ვართ, მაგრამ მოწინავეები ვართ იმ ისტერიკულ ფონში, რომელიც შემდეგ იქმნება. ისტერიკებში გადავდივართ იმის მაგივრად, რომ გავიაზროთ, ადამიანის ტრაგედიაზე ფულის კეთება უზნეობაა, რომ სათავეს უნდა მივაგნოთ, იმას, საიდანაც იწყება და მწიფდება ეს ყველაფერი. დარწმუნებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ეს ამბავი მიწყნარდება მანამ, სანამ მორიგი დანაშაული მოხდება და, რომ მოხდება, ამის თქმა გადაჭრით შეიძლება.

ჰოდა, **სანამ საზოგადოება არ გაიზრდება და არ მივა იმ დასკვნამდე, რომ ერთი, ორი ან ათი ქალისა თუ კაცის მკვლელობის შემდეგ მთელი საკაცეთი ან საქალეთი ჯვარზე არ გააკრას და გნიასი არ ატეხოს, რომ ქართველი კაცები არ ვარგა და ქალები მათზე არ უნდა გათხოვდნენ, არაფერი არ გვეშველება.** კიდევ ვიმეორებთ: მკვლელობაზეც და არასრულწლოვანთან სქესობრივ კავშირზეც კანონი უფრო უნდა გამკაცრდეს, მაგრამ კანონი უნდა კრძალავდეს და სჯიდეს მათაც, ვინც არასრულწლოვნებს თავისუფალ სექსზე აქეზებს და იმას ასწავლის, როგორ დაიცვან თავი დაფეხმძიმებისგან. არასრულწლოვნებს ის უნდა ვასწავლოთ, რომ ადრეულ ასაკში სექსუალური ცხოვრების დაწყება არათუ არ შეიძლება, არამედ დანაშაულიც კი არის და სრულწლოვნობისას, თავისუფალ ურთიერთობებზე კი არა, ოჯახზე იფიქრონ.

**ბესო ბარბაქაძე**

**სანამ საზოგადოება არ გაიზრდება და მივა იმ დასკვნამდე, რომ ერთი, ორი ან ათი ქალისა თუ კაცის მკვლელობის შემდეგ მთელი საკაცეთი ან საქალეთი ჯვარზე არ გააკრას და გნიასი არ ატეხოს, რომ ქართველი კაცები არ ვარგა და ქალები მათზე არ უნდა გათხოვდნენ, არაფერი არ გვეშველება**

**P.S. კასპში 7 თვის ჩვილის მკვლელობაში მსჯავრდებული არასრულწლოვნის მეუღლეს — მიხეილ დვალიშვილს ბრალი არასრულწლოვანთან ნებაყოფლობით სქესობრივი კონტაქტის გამო წაუყენეს.**

**შვილის მკვლელობაში მსჯავრდებულ არასრულწლოვანს გორის რაიონულმა სასამართლომ სასჯელის ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.**

**სამართალდამცველებმა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში 7 თვის ბავშვის მკვლელობის ბრალდებით ჩვილის 16 წლის დედა 21 მაისს დააკავეს.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სომხეთთან, უბრალოდ, ომის დაწყება სისულელეა და სახიფათო. და ძალების განლაგების დალოდებას როგორც ამიერკავკასიაში, ისე ახლო აღმოსავლეთში, სჭირდება დიდი დიპლომატიური ხელოვნება და გამოცდილება, რომელიც ალიევს ნამდვილად არ აკლია. ლოგიკის მიხედვით, სომხეთის პრემიერი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ყველაზე დიდი ნდობით აღჭურვილი პირი უნდა იყოს ამიერკავკასიაში, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი პირი ამჟამად ილჰამ ალიევია.**

# ამიერკავკასიაში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა ყალიბდება, ხვდება კი ამას საქართველოს ხელისუფლება?

**გასულ კვირას თურქულენოვანი სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოზე გამოსვლისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა: „ნახიჭევანი გამოყოფილია აზერბაიჯანის მატერიკული ნაწილისგან. მათ შორის არის ზანგეზური — ძველი აზერბაიჯანული მიწა. მისი გადაცემით სომხეთისთვის თურქული სამყარო გეოგრაფიულად გაიხლიჩა“.**

შემდეგი ციტატა **ჰეიდარ ალიევის** გამოსვლიდან: **„დადგა დრო, გადავიდეთ შემდეგ დონეზე, დავიწყოთ ახალი ჰორიზონტების შექმნა საერთო თურქული მომავლისთვის. ამ საკითხზე მაქვს ორი წინადადება: პირველი — შევიმუშავოთ პროგრამა „თურქული ხედვა — 2040“. მასში უნდა აისახოს თურქულენოვანი თანამეგობრობის შორს მიმავალი მიზნები და მათი მიღწევის გზები“.** ეს უკვე არის სახელმძღვანელოებიდან რეალურ სიბრტყეში გადმოტანილი გეოპოლიტიკა, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ახლა მოინდომა ალიევმა ასეთი ფართო ჰორიზონტების აღნიშვნა? უწინარესად, იმიტომ, რომ, ბაქოს შეფასებით, ამიერკავკასიაში ხელახლა იქმნება 1920-იანი წლების მატრიცა, როცა მოსკოველი ბოლშევიკები ალიანსში შევიდნენ ანკარასთან.

რა მოხდა მაშინ? 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანი რეგიონში პირველი სახელმწიფო იყო, რომელშიც მოხდა სოვეტიზაცია, ამაში დიდი როლი ითამაშა არაღიარებულმა ქემალისტურმა თურქეთმა, რომელსაც მოსკოვის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და მიიღო კიდეც. **სომხეთის მმართველი დაშნაკები, რომლებიც ჯერ რუს გენერალ დენიკინს მიემხრნენ, შემდეგ კი თავიანთი საგარეო პოლიტიკა ანტანტისკენ მიმართეს, მოსკოვის, ბაქოსა და ანკარისთვის საერთო პოლიტიკურ და იდეურ მოწინააღმდეგეებად იქცნენ. ამიტომ ნებისმიერი პრობლემა, რომლებიც აწუხებდათ ბაქოსა და ერევანს, უნდა გადაწყვეტილიყო და წყდებოდა კიდეც აზერბაიჯანის სასარგებლოდ.** და არა იმიტომ, რომ ის მდიდარი იყო მსოფლიო მნიშვნელობის ენერგეტიკული რესურსებით. იმხანად მოსკოვის მიზანი განისაზღვრებოდა ამოცანით, აეგო რევოლუციური პროცესის ახალი საყრდენი, გაედო მსოფლიო რევოლუციის ხიდი მუსლიმანურ აღმოსავლეთზე. ის მორალურად და მატერიალურადაც ეხმარებოდა თურქეთს.

ისტორიული პარადოქსი სწორედ ის არის, რომ მოსკოვმა პანთურქული პროექტი „დიადი თურანი“ მიიღო უზარმაზარი სივრცის სოვეტიზაციის შესაძლებლობად. რსფსრ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **გიორგი ჩიჩერინი** არ იჯერებდა **ლევ ტროცკის** გეოპოლიტიკურ ქიმერას და ხელმძღვანელობას სთავაზობდა, წითელი არმიის ნაწილები შეეყვანათ აზერბაიჯანისა და სომხეთის ე.წ. სადავო ტერიტორიებზე. მაგრამ ჩიჩერინი დამარცხდა მათთან, ვისაც უწოდებდა „კავკასიელ ნაციონალკომუნისტებს“, რომლებმაც შეძლეს, 1920-იან წლებში თურქეთთან მოლაპარაკების გზით გაეტანათ რეგიონში ტერიტორიული წარმონაქმნების თავიანთი ვერსია, რომელიც სსრკ-ის დაშლამდე მოქმედებდა. და, პრობლემების მიუხედავად, **1920 წლის 30 ნოემბერს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროს ერთობლივ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სომხეთისთვის ზანგეზურის გადაცემის შესახებ. ეს გადაწყვეტილება იმ პერიოდში გეოპოლიტიკური პრობლემების შედეგი იყო, როცა მოსკოვი მოქმედებდა თურქული სამყაროს გეოგრაფიული გახლეჩვის სცენარით.** ამ თვალსაზრისით აზერბაიჯანის პრეზიდენტი აბსოლუტურად მართალია.

**1920 წლის 30 ნოემბერს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროს ერთობლივ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სომხეთისთვის ზანგეზურის გადაცემის შესახებ**






სომხეთის ხელისუფლების სათავეში **ფაშინიანის** მოსვლის შემდეგ გამოიკვეთა დასავლეთის მხარეზე სომხეთის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის ტრენდი (დაშნაკური სომხეთის უწინდელი ვარიანტი).

აზერბაიჯანი, მიუხედავად იმისა, რომ არ არის კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმებისა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი, აქტიურად ავითარებს თანამშრომლობას, უწინარესად, მოსკოვთან (ბოლო მუსავატური მთავრობის მოქმედების ვარიანტი), და წარმატებით ჩაჯდა მოსკოვი-ანკარის ურთიერთობის ხაზში. ალიევმა გააცნობიერა ახალი პოლიტიკური გარდაქმნების ნიშნები და დაიწყო თავისი აქცენტების დასმა. თუ ის შეძლებს თავისი საგარეო პოლიტიკის განმტკიცებას ამ მიმართულებით, მის წინ გადაიშლება სხვა პერსპექტივები მთიანი ყარაბაღის საკითხის მოგვარებაშიც.

სომხეთთან, უბრალოდ, ომის დაწყება სისულელეა და სახიფათო. და ძალების განლაგების დალოდებას როგორც ამიერკავკასიაში, ისე ახლო აღმოსავლეთში, სჭირდება დიდი დიპლომატიური ხელოვნება და გამოცდილება, რომელიც ალიევს ნამდვილად არ აკლია.

ლოგიკის მიხედვით, სომხეთის პრემიერი რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** ყველაზე დიდი ნდობით აღჭურვილი პირი უნდა იყოს ამიერკავკასიაში, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი პირი ამჟამად ილჰამ ალიევია.

**Regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



**აზერბაიჯანი, მიუხედავად იმისა, რომ არ არის კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმებისა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი, აქტიურად ავითარებს თანამშრომლობას, უწინარესად, მოსკოვთან (ბოლო მუსავატური მთავრობის მოქმედების ვარიანტი), და წარმატებით ჩაჯდა მოსკოვი-ანკარის ურთიერთობის ხაზში. ალიევმა გააცნობიერა ახალი პოლიტიკური გარდაქმნების ნიშნები და დაიწყო თავისი აქცენტების დასმა. თუ ის შეძლებს თავისი საგარეო პოლიტიკის განმტკიცებას ამ მიმართულებით, მის წინ გადაიშლება სხვა პერსპექტივები მთიანი ყარაბაღის საკითხის მოგვარებაშიც**

რეგიონი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1998 წელს სირიასა და თურქეთს შორის გაფორმებული ე.წ. ადანის პაქტის თანახმად, თურქ სამხედროებს აქვთ უფლება, დროებით შევიდნენ სირიის ტერიტორიაზე არა უმეტეს 10 კმ-ის სიღრმეში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად, მაგრამ ეს შეთანხმება თურქ სამხედროებს არ აძლევს უფლებას, ხანგრძლივად იმყოფებოდნენ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე.**

# თურქეთის სამხედრო ოპერაციამ სირიაში შეიძლება მოულოდნელი გაგრძელება ჰპოვოს

**მას შემდეგ, რაც თურქეთის არმიამ სირიაში დაიწყო სამხედრო ოპერაცია „მშვიდობის წყარო“, ბევრს ეგონა, რომ იმის გათვალისწინებით, რა დიდი იყო თურქების სამხედრო უპირატესობა ქურთების წინააღმდეგ, ეს ოპერაცია ანკარისთვის განსაკუთრებული პრობლემების გარეშე ჩაივლიდა. ქვეყნის პრაქტიკულად ყველა საინფორმაციო არხი პირდაპირ ეთერში გადასცემდა რეპორტაჟებს ფრონტის ხაზიდან და ჟურნალისტები ყვებოდნენ, რა ფართოდ იყენებდა თურქეთის არმია ჯავშანტექნიკას, რა აქტიურად და კოორდინირებულად მუშაობდა არტილერია და ავიაცია, ბევრს ისიც ეჩვენებოდა, რომ თურქმა დიპლომატებმა შეძლეს ამ ოპერაციისთვის პოლიტიკური საფარველის უზრუნველყოფა.**

## თურქეთისთვის მთავარი საფრთხე არის ის, რომ შეიძლება მის ტერიტორიაზე გადაინაცვლოს საომარი მოქმედებების თეატრმა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ქურთები, ისე ჯიჰადისტები



**ამერიკელი ჟურნალისტი მაიკლ ვაისი მიიჩნევს, რომ ერდოღანი „კუთხეშია მიმწყვდეული“ და ახლა იმუქრება, რომ საზღვრებს გახსნის და „ევროპაში შევა 3 მლნ-ზე მეტი ლტოლვილი“. ამით ერდოღანი ევროპასაც თავის საწინააღმდეგოდ განაწყობს**

მიუთითებდნენ, რომ ეს ოპერაცია შემთხვევით არ დაწყებულა ანკარაში სამი ქვეყნის — რუსეთის, თურქეთისა და ირანის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, რომელზეც შეთანხმდნენ მოქმედებების გაძლიერებასა და კოორდინაციაზე სირიის პროვინცია იდლიბში. ამის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტი **რეჯეფ თაიფ ერდოღანი** ურთიერთობის ულტიმატურ სტილზე გადავიდა აშშ-თან, რომელმაც ორი დღით ადრე განაცხადა, რომ გაჰყავდა თავისი სამხედრო ნაწილები სირიის იმ რაიონებიდან, რომლებიც თურქეთს ესაზღვრება.

ანკარაში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ერდოღანმა თავისი ინტერესებისთვის „ოსტატურად“ გამოიყენა ორი პრეზიდენტი — **ვლადიმერ პუტინი და დონალდ ტრამპი და ამერიკის მიმართულებითაც მოიპოვა გამარჯვება.** ერდოღანმა განაცხადა, რომ სირიელი ქურთების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყების გამო ანკარას არ აქვს პრობლემები მოსკოვთან ურთიერთობაში. მისი თქმით, „ჩვენ კავშირზე ვართ პრეზიდენტ პუტინთან და, თუ წამოიჭრება რაღაც საკითხები, ერთი დღე-ღამის განმავლობაში განიხილება რუსეთის პრეზიდენტის მიერ და იდგმება ერთობლივი ნაბიჯები“. ამასთანავე, ანკარა კავშირზე არ ყოფილა ვაშინგტონთან, რაც საკმაოდ თავისებური ამბავია. ერდოღანი პრეზიდენტ ტრამპთან თავის განსაკუთრებულ ურთიერთობას ხაზს უსვამდა ხოლმე.

**არ არის გამორიცხული, რომ ტრამპის წინააღმდეგობრივმა განცხადებებმა ოპერაცია „მშვიდობის წყაროს“ მიმართ ერდოღანს სირიის მიმართულებით კონკრეტული მოქმედებების დაწყებისკენ უბიძგა.**

თუმცა სირიაში ომის დაწყებამდე ერდოღანმა თავის გეგმებზე ტელეფონით ისაუბრა პუტინთან. კრემლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, რუსეთის ლიდერმა „მოუწოდა თურქ პარტნიორებს, გულდასმით აეწონ-დაეწონათ ვითარება, რათა არ დაეზარალებინათ სირიის კრიზისის მოგვარების პროცესი“.

მაგრამ **ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, ამ პარტიაში ისე არ წავიდა, როგორც ერდოღანი თავდაპირველად ვარაუდობდა, ვაშინგტონი ანკარის მიმართ სისტემური წნეხის პოლიტიკაზე გადავიდა. „ყველაფერი დაიწყო იმით, — წერს გერმანული გამოცემა Spiegel Online, — რომ პენტაგონმა უარი განაცხადა თურქებისთვის სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებაზე იმ კოალიციის ოპერაციების შესახებ, რომლებსაც აშშ მეთაურობს,** რადგან შიშობდა, რომ ამ ინფორმაციას თურქეთი თავისი ოპერაციებისთვის გამოიყენებდა ქურთების წინააღმდეგ, რომლებმაც „უზარმაზარი წვლილი შეიტანეს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში“.

თითქოს აშშ-ის მფარველობადაკარგულმა სირიელმა ქურთებმა, რომლებიც დამასკოსთან შეთანხმებით მოქმედებენ, საერთო ინტერესების შესახებ განაცხადეს „თურქეთის ოკუპაციის“ წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ მნიშვნელოვნად გაუსწრეს ერდოღანს. არადა, მას არაერთხელ ურჩიეს მოსკოვმა და თეირანმა, რომ დაეწყო 1998 წლის ე.წ. ადანის ხელშეკრულების შესრულება ტერორიზმთან საერთო ბრძოლის შესახებ. რთულ ვითარებაში აღმოჩნდა რუსეთიც, რომელიც მოლაპარაკების მაგიდასთან საკითხის მოგვარების მომხრე და დამასკოს უახლოესი მოკავშირეა, ლაპარაკი არ არის ასტანის პროცესის სხვა მონაწილე ირანზე, რომელიც ერდოღანის მოქმედებას შეცდომად მიიჩნევს, თუმცა ქურთების მიმართ ორივე ქვეყნის პოზიცია, პრაქტიკულად, ემთხვევა. ამჟამად ამერიკელების სვლის ჯერია. **აშშ-მა სანქციები დაუწესა თურქეთის თავდაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროებს სირიაში შექმნილი ვითარების გამო. ეს ერდოღანისთვის წელს ქვემოთ დარტყმის ტოლფასია ტრამპის მხრიდან, რომელიც თავდაპირველად ამბობდა, რომ არ შეეწინააღმდეგებოდა თურქეთის ოპერაციას და ამერიკელი სამხედროები არ დაეხმარებოდნენ ქურთებს სირიაში. მაგრამ შემდეგ მან „მოულოდნელად“ დაიმუქრა, რომ თურქეთის ეკონომიკას გაანადგურებდა.** აქედან გამომდინარეობს ის, რომ თურქეთმა ცალმხრივად დაარღვია ვაშინგტონთან შეთანხმებული საკითხები და ის, რომ თურქეთის სამხედრო ოპერაცია სირიის ჩრდილოეთში გაცილებით სერიოზული რამ არის, ვიდრე უსაფრთხოების ზონების შექმნა თურქეთ-სირიის საზღვარზე და ე.წ. შემობრუნების მომენტი.

ერდოღანმა უარყო ამერიკელების მოთხოვნა, შეეჩერებინა სამხედრო ოპერაცია და განაცხადა, რომ თურქეთი „არასდროს განაცხადებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და არ დაიწყებს მოლაპარაკებებს ტერორისტებთან“. ვინ ჰყავდა მას მხედველობაში, როცა „ტერორისტებზე“ ლაპარაკობდა — ქურთები, დამასკო თუ „ისლამური სახელმწიფო“? თურქეთის პრეზიდენტს რაღაც წამოსცდა. ტრამპთან მორიგი სატელეფონო საუბრის შემდეგ მან განაცხადა, რომ „ანკარა არასოდეს გამოაცხადებს ცეცხლის შეწყვეტას სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით და არ გამართავს მოლაპარაკებებს ქურთებთან, რომლებთანაც ის იბრძვის ამ რეგიონში“.

მაგრამ დაიწყებენ თუ არა თვითონ სირიელი ქურთები ახლა მოლაპარაკებებს ანკარასთან და რა სტატუსი ექნებათ მათ მოლაპარაკებების დროს? ბაქოდან გამოფრენისას ერდოღანმა თვითმფრინავში ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს და განაცხადა, რომ „ადრე მან მოუწოდა ამერიკის ლიდერს, ანკარაში გამოეგზავნათ დელეგაცია, რათა განეხილათ აშშ-ის მოთხოვნები და მიეღწიათ შეთანხმებისთვის“. ვისთან? — პასუხად ტრამპმა განაცხადა, რომ თურქეთში გზავნის დელეგაციას ვიცეპრეზიდენტ **მაიკ პენსის** ხელმძღვანელობით. ამ დელეგაციაში, აგრეთვე, შევიდნენ: სახელმწიფო მდივანი — **მაიკ პომპეო**, მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში — რობერტ **ო'ბრაიენი** და სირიასა და „ისლამურ სახელმწიფოსთან“ მებრძოლი საერთაშორისო კოალიციის ურთიერთქმედების საკითხებში სახელმწიფო დეპარტამენტის სპეცწარმომადგენელი — **ჯეიმს ჯეფრი.** პენსმა დაადასტურა ვაშინგტონის ვალდებულება, „მიაღწიოს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და კონფლიქტის მოსაგვარებლად პირობების შექმნას მოლაპარაკებების გზით“. იმიტომ, რომ „ეს ემუქრება „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლას“. **მაგრამ შეძლებენ კი ამერიკელები თურქული სცენარის შეცვლას, რომლის მიხედვითაც „ისლამური სახელმწიფო“ არ წარმოადგენს მთავარ საფრთხეს ანკარისთვის?**

ახლა კი ნიუანსებზე. **პირველი:** რუსეთისა და აშშ-ის სამხედრო უწყებები აწარმოებენ დიალოგს, რომლის შედეგადაც სირიის სამთავრობო ჯარები მოსკოვის მხარდაჭერით გადაადგილდებიან ტერიტორიის სიღრმეში, თურქეთის საზღვრიდან სამხრეთისკენ, ისინი მიდიან იმ ტერიტორიის გავლით, რომელსაც ამჟამად აკონტროლებენ სირიელი ქურთები.

**მეორე:** სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვალიდ ალ-მუალემმა** მოითხოვა, მისი ქვეყნის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გავიდნენ ამერიკული და თურქული სამხედრო შენაერთები, და ყველა გააფრთხილა, რომ სირიელ სამხედროებს უფლება აქვთ, მიმართონ „საპასუხო ზომებს“. ამერიკელები მიდიან. თურქები? მოულოდნელად მკვეთრი განცხადებით გამოვიდა რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი სირიაში — **ალექსანდრე ლავრენტიევი.** ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ „რუსეთი არ ეთანხმება თურქულ მხარეს ყველა საკითხში, რომლებიც ეხება სირიაში მის ყოფნას, და არ იწონებს თურქეთის მოქმედებებს“. ლავრენტიევმა გაიხსენა, რომ **1998 წელს სირიასა და თურქეთს შორის გაფორმებული ე.წ. ადანის პაქტის თანახმად, თურქ სამხედროებს აქვთ უფლება, დროებით შევიდნენ სირიის ტერიტორიაზე არა უმეტეს 10 კმ-ის სიღრმეში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად, მაგრამ ეს შეთანხმება თურქ სამხედროებს არ აძლევს უფლებას, ხანგრძლივად იმყოფებოდნენ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე.**

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მოსკოვისა და ვაშინგტონის პოზიციები სირიაში თურქეთის სამხედრო ოპერაციის მიმართ გასაოცრად დაემთხვა. ტრამპის განცხადებით, **„ცუდს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ სირიამ დახმარება მიიღოს რუსეთისგან, და ეს ნორმალურია“.** ასე რომ, თუ თურქეთის დიპლომატიას გათვლილი ჰქონდა, ვაშინგტონი და მოსკოვი გაეცურებინა, ახლა თვითონ ჩაფლავდა.

ამერიკელი ჟურნალისტი **მაიკლ ვაისი** მიიჩნევს, რომ ერდოღანი „კუთხეშია მიმწყვდეული“ და იმუქრება, რომ საზღვრებს გახსნის და „ევროპაში შევა 3 მლნ-ზე მეტი ლტოლვილი“. ამით ერდოღანი ევროპასაც თავის საწინააღმდეგოდ განაწყობს. ჟურნალისტის აზრით, თურქეთის მთავარი საფრთხე არის ის, რომ მის ტერიტორიაზე შეიძლება გადაინაცვლოს საომარი მოქმედებების თეატრმა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ქურთები, ისე ჯიჰადისტებიც. ამასთანავე, თურქეთი ურთიერთობს რუსეთთან პირველი პირების დონეზე, ტრამპი კი, ერდოღანის მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, თურქეთში არ ჩადის.

ამ ვითარებაში თურქეთის ინიციატივით გაიმართა სატელეფონო საუბარი ერდოღანსა და პუტინს შორის. რუსეთის სახელმწიფო მეთაურებმა თავისი კოლეგა სამუშაო ვიზიტით მიიწვია. ერდოღანი დათანხმდა და ვიზიტი, სავარაუდოდ, გაიმართება ანკარასა და ვაშინგტონის კონსულტაციების შემდეგ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. 17 ოქტომბერს თურქეთში ჩასული ამერიკის დელეგაციის 4-საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე 120 საათით — 5 დღით. ამ ხნის განმავლობაში ქურთების შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა თურქეთის საზღვრის გასწვრივ 32-კილომეტრიანი ზოლი უნდა დატოვონ.**

**P.P.S. 22 ოქტომბერს გაიმართა მოლაპარაკებები რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტებს — ვლადიმერ პუტინსა და რეჯეფ თაიფ ერდოღანს შორის. მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე რუსეთის ლიდერმა განაცხადა, რომ დიალოგი იყო ძალიან პროდუქტიული და მხარეებმა განიხილეს ეკონომიკის, ვაჭრობისა და, რა თქმა უნდა, სირიის საკითხები. პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთის, თურქეთისა და ირანის მუშაობას, როგორც ასტანის პროცესის გარანტორი ქვეყნების, ნაყოფი მოაქვს და ამ მხრივ მუშაობა უნდა გაგრძელდეს. ერდოღანმა კი აღნიშნა, რომ ახლა გაჩნდა რეგიონში მშვიდობის დამყარების საფუძველი.**

უცხოეთი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კანონის ნორმებს შორის ერთ-ერთი კრძალავს სექსუალური განათლების გაკვეთილების ჩატარებას სკოლებში, რადგან, როგორც კანონის ინიციატორები მიიჩნევენ, ასეთი გაკვეთილები „მოსწავლეებს სექსუალური აქტიურობისკენ უბიძგებს“. მასწავლებლები, რომლებიც სექსუალური განათლების გაკვეთილებს მაინც ჩაატარებენ, დაისჯებიან ხუთწლიანი პატიმრობით. აიკრძალება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც.**

# ახალ ჯინსებს ნუ ჩაიცვამ, დახეული გიხდება, ანუ შიზოფრენიის უტყუარი ნიშნები

**წერილი, რომელსაც გთავაზობთ, თანამედროვე რუსეთის საზოგადოებას ეხება, მაგრამ ის საკითხები, რომლებიც აქ არის წამოჭრილი, ჩვენი საწუხარიცაა, ამიტომ უნდა წაიკითხოთ. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც უხეში ფსიქიატრიული სიმპტომები, სწორედ ის სიმპტომები, რომლებიც ნამდვილ ფსიქიატრიას ეკუთვნის, მოდისა და ქცევის ეტალონად ითვლება, — მიიჩნევს დემოგრაფიის უსაფრთხოების საზოგადოებრივი ინსტიტუტის დირექტორი ირინა მედვედევა.**



ფსიქიატრიული დაავადება ზნეობრივ დარღვევას იწვევს, რომელსაც ზნეობრივი დეფორმაცია მოჰყვება აუცილებლად.

მედვედევას ღრმა რწმენით, ამჟამად რუსეთის მკვიდრთ ფსიქიკურად აავადებენ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას, ბავშვებსაც კი. ზოგჯერ ამას „სექსუალურ განათლებას“ უწოდებენ, ზოგჯერ სხვა რამეს გვთავაზობენ, მაგრამ ყოველთვის — საზიზღარსა და შხამიანს ადამიანის ზნეობისთვის, მისი ფსიქიკის დასათრგუნავ ძალიან ლამაზ „ჰუმანიტარულ ხრიკებს“.

„მიაქციეთ ყურადღება, — გვეუბნება ფსიქიატრი, — დღეს აქტიურ პროპაგანდას უწევენ ფეთხუმობას, უსუფთაობას, ულაზათობას — ჭუჭყიან, გაქონილ თმებს, დაგლეჯილ წინდებს, დახეულ ჯინსებს, აცა-ბაცად შეკერილ პერანგებს, რომლებსაც ერთი გვერდი მეორეზე გრძელი აქვს და ა.შ. ფსიქიატრიულ კლინიკებში იციან, რომ ავადმყოფობის ისტორიებში არის ასეთი გრაფა: ავადმყოფის სიფაქიზე. თუ ავადმყოფი უსუფთაოა და სიფაქიზის ნატამალიც არ ეტყობა, ეს ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს მძიმე ფსიქიატრიულ შემთხვევასთან. როცა ადამიანს მუდმივად აცვია დახეული წინდები, თავს არ იბანს ან პერანგის ღილებს არათანმიმდევრობით იკრავს, სწორედ ეს არის ფსიქიატრიული სიმპტომი, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, არსებობს, როგორც ახალგაზრდული მოდის ნიშანი“.

„ან, მაგალითად, დავასახელოთ თანამედროვე თრილერების გმირები, არაადამიანური ძალის მქონე პერსონაჟები, რომლებიც ყველა თავიანთ პრობლემას სწორედ ძალის გამოყენებით აგვარებენ, ძლევენ ყველა დაბრკოლებას, ხოცავენ ყველა ცოცხალ არსებას, რომლებიც გზას გადაუღობავენ. ფსიქიატრიაში ამ ეფექტს ეწოდება შიზოფრენიის ჰიპოიდეა, რომელიც ითავისებს პათოლოგიურ დაუნდობლობასა და პათოლოგიურ უგულობას“, — შენიშნავს მედვედევა.

ადამიანის თვისება — **ზედმეტი რაციონალიზმი** დღეს პრაგმატიზმად იწოდება. ესეც შიზოფრენიის ნიშანია. ობივატელი ხშირად მიიჩნევს, რომ შიზოფრენიკი ირაციონალურია. ეს მცდარი შეხედულებაა. შიზოფრენიკი ზედმეტად რაციონალურია, მაგრამ, ამასთან ერთად, გრძობებისგან არის დაცლილი. სწორედ აქეთკენ, „ნაკლები ემოცია, მეტი პრაგმატიზმი“, მოუწოდებენ დღეს ახალგაზრდებს ახალი მოდის იდეოლოგები, მაგრამ ეს ძალიან მძიმე სიმპტომია.

**რას ნიშნავს ინტიმური სირცხვილის არქონა ფსიქიატრიის თვალსაზრისით?** ირინა მედვედევას აზრით, „ეს არის არა მხოლოდ სხვადასხვა გაუკულმართების თავს მოხვევა, მაგალითად, ვუაიერიზმის ტიპის (როცა ტელევიზიით აჩვენებენ იმას, რაც სხვების საწოლ ოთახებში ხდება), არამედ სექსოპათოლოგიური გადახრების პოპულარიზაციაც. სექსოპათოლოგია კი ფსიქოპათოლოგიის შემადგენელი ნაწილია“.

მაგრამ ინტიმური სირცხვილის მოშლა-დანგრევის მთავარი უბედურება არის ის, როცა ახალგაზრდებს უსაფრთხო სექსზე ესაუბრებიან, მათ უბიძგებენ სექსუალური ინტერესის დაკმაყოფილებისკენ ოჯახურ-ქორწინების ურთიერთობის ფასეულობათა დაკნინების ხარჯზე, ხოლო ეს უკანასკნელი ნორმალური ფსიქიკის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მისი არქონა იწვევს სხვადასხვა დარღვევას, რომლებიც უაღრესად მტკივნეულია ფსიქიკისთვის, რომელსაც მთელი საზოგადოების გონივრულ დეგრადაციამდე მივყავართ.

კანადაში მამაკაცი ოჯახურ ძალადობაში დაადანაშაულეს იმის გამო, რომ თავისი ქალიშვილის ტრანსგენდერობა ვერ შენიშნა.

**„კანადაში უზენაესმა სასამართლომ 14 წლის ქალიშვილის მამა დამნაშავედ ცნო იმის გამო, რომ ამ გომბიოს საკუთარი თავი ტრანსგენდერად მიაჩნდა, რასაც რეტროგრადი „მშობელი №2“ ვერ ამჩნევდა და შვილს, როგორც გოგონას, ისე ექცეოდა“,** — იუწყება Breitbart.

მოსამართლე ფრანჩესკა მარზარიმ გამოიტანა დამცავი მიწერილობა, რომლის თანახმად, მამა ცნობილი „კლარკად“, უნდა დააპატიმრონ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეეცდება თავისი გოგოს დარწმუნებას, რომ „უარი თქვას გენდერული იდენტურობის აღრევაზე“, ან შეეცდება, მიმართოს მას დაბადებიდანვე დარქმეული სახელით, ან ილაპარაკოს მასზე, „როგორც გოგონაზე“ უშუალო მიმართვის ან მესამე პირთან საუბრისას.

სასამართლო მიწერილობაში მითითებულა, აგრეთვე, მამა შეიძლება დაუყოვნებლივ და ორდერის გარეშე დააპატიმროს პოლიციელმა, თუ აქვს „გონივრული“ საფუძველი მიწერილობის შესასრულებლად.

გამოცემა წერს, რომ გოგონას მამა უარს ამბობდა, თავისი შვილისთვის მიემართა, როგორც ვაჟისთვის, და „მუდმივად მზად იყო, მედიასთან საუბრის დროს“ დაემტკიცებინა, რომ მისი შვილი, ბიოლოგიური თვალსაზრისით, ქალია.

მოსამართლე მარზარის თვალთახედვით, მამის ამგვარმა ქცევამ ქალიშვილს სერიოზული რისკი შეუქმნა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაქსიმს უფლება მიეცა, ჩაიტაროს ჰორმონალური მკურნალობა მამის ნებართვის გარეშე. მას უკვე რეგულარულად უტარებენ ტესტესტერონის პროცედურებს (შეჰყავთ ინიექცია) ბავშვთა ადგილობრივ კლინიკაში.

არსებული ინფორმაციით, საკუთარი თავის ბიჭად იდენტიფიკაციისკენ მოზარდს უბიძგა სკოლის კონსულტანტმა ფსიქოლოგმა, როცა იგი მეშვიდე კლასში სწავლობდა. „13 წლისას ბავშვთა ადგილობრივი კლინიკის ექიმმა ბრენდენ ჰეშმა ურჩია, დაეწო ინიექციების კურსი, რათა გარეგნობით ბიჭს დამსგავსებოდა“, — იუწყება Breitbart.

**ადამიანის თვისება — ზედმეტი რაციონალიზმი დღეს პრაგმატიზმად იწოდება. ესეც შიზოფრენიის ნიშანია. ობივატელი ხშირად მიიჩნევს, რომ შიზოფრენიკი ირაციონალურია. ეს მცდარი შეხედულებაა. შიზოფრენიკი ზედმეტად რაციონალურია, მაგრამ, ამასთან ერთად, გრძობებისგან არის დაცლილი. სწორედ აქეთკენ, «ნაკლები ემოცია, მეტი პრაგმატიზმი», მოუწოდებენ დღეს ახალგაზრდებს ახალი მოდის იდეოლოგები, მაგრამ ეს ძალიან მძიმე სიმპტომია**

# ნიგერის პრეზიდენტი ქვეყანაში შობადობის ზრდით არის შეწუხებული



**ნიგერის პრეზიდენტი მაჰამადუ ისუფუ შეშფოთებულია ქვეყანაში შობადობის არნახული ზრდით. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მოსახლეობის ზრდა ხელს უშლის ქვეყნის ადაპტაციის გეგმას და რესურსების დაზოგვას.**

ნიგერის მოსახლეობის 98 პროცენტი მაჰმადიანია, მათი საერთო რაოდენობა 22,4 მილიონია, ეს გაცილებით მეტია 1990 წელთან შედარებით. მაშინ ნიგერში 8 მილიონი კაცი ცხოვრობდა.

როგორც ხედავთ, ბოლო 29 წელიწადში ნიგერიში, სადაც მთავრობა ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, მოსახლეობის რაოდენობამ თითქმის 3-ჯერ მოიმატა. ანალოგიური რამ მოხდა აზერბაიჯანშიც, სადაც მოსახლეობის რაოდენობამ 4 მლნ-დან 10 მლნ-ს მიაღწია. საქართველოში კი ბოლო 30 წელიწადში დემოგრაფიული საკითხებისადმი (და არა მხოლოდ) მთავრობის უყურადღებობის გამო მოსახლეობა 5,5 მლნ-დან 3,7 მლნ-მდე შემცირდა.



# კიევი მინსკის შეთანხმებების შესრულებას შეუდგა

**უკრაინის უმაღლესმა რადამ, მინსკის შეთანხმების თანახმად, მიიღო ყველა კანონი ამნისტიის თაობაზე.**

მინსკის შეთანხმებით გათვალისწინებული ამნისტიის განხორციელება შესაძლებელი იქნება დონბასში ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანოების არჩევნების შემდეგ, — განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ვასილი ბოდნარმა.**

**„უკრაინამ უკვე მიიღო ყველა საკანონმდებლო აქტი, რომლებიც აუცილებელია მინსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამნისტიის განსახორციელებლად. იგი (ამნისტია) შეიძლება ამოქმედდეს უკრაინის სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ. გადაწყვეტილებას, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ამნისტიის გამოყენება, სასამართლო მიიღებს“,** — თქვა მან.

ბონდარმა დააზუსტა, რომ ამნისტია არ შეეხება სამხედრო დამნაშავეებს, ასევე მალაიზიური „ბოინგის“ კატასტროფაში ბრალდებულებს.

# უკრაინაში პოროშენკოს უახლოესი გარემოცვის წევრების დაკავება დაიწყო

**უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლებმა დააკავეს უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე ოლეგ გლადკოვსკი, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის — პეტრე პოროშენკოს უახლოეს გარემოცვაში შედიოდა. იგი სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაშია ეჭვმიტანილი,** — იუწყება ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს პრესსამსახური.

უკრაინის გენერალურმა პროკურორმა **რუსლან რიაბოშაპკამ** განაცხადა, რომ, როგორც კი დაგროვდება საკმარისი ოდენობის მტკიცებულებები, უკრაინის ყოფილ ლიდერ პეტრე პოროშენკოს ბრალდებას წაუყენებენ ჩადენილ დანაშაულთა გამო. მისი აზრით, ეს მოხდება მაშინ, „როცა გამომძიებლები გადაწყვეტენ, რომ მტკიცებულებები საკმარისი რაოდენობით დაგროვდა, პროკურორები მათ დაეთანხმებიან, იტყვიან, რომ ვარაუდები დადასტურებულია, მაშინ, როცა ჩვენ წარმოგვიდგენენ მასალებს, რომლებიც გაიგზავნება უმაღლეს რადაში ხელშეუხებლობის მოსახსნელად“.

ამასთანავე, რიაბოშაპკამ უარი თქვა, პასუხი გაეცა შეკითხვაზე: კონკრეტულად როდის უნდა ველოდოთ ასეთ რეაქციას?



მაქინატორები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისტორიაში ყველაზე დიდ კლიმატურ მითად იქცა 1997 წელს კიოტოში მიღებული თეორია გლობალური დათბობის შესახებ. ვაშინგტონის ზემოქმედებით მოსკოვის წინააღმდეგობის არარსებობის პირობებში 159-მა სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა, შეემცირებინა სათბურის ეფექტის გამომწვევი აირების გამოყოფა, რადგან უპრეცედენტო კამპანიის მიმდინარეობისას სწორედ ეს აირები დაასახელეს „დამანგრეველი დათბობის მთავარ მიზეზად“.**

# კლიმატური აფერა: როგორ გადააქცია დასავლეთმა ეკოლოგია ომის იარაღად

**ფიზიკის კანონების თანახმად, შემთხვევით არაფერი ხდება, სამყაროს განხილვისას მისი შემადგენელი ნაწილების საფუძვლის მიხედვით ხომ არც ერთი ელემენტი უმიზეზოდ არ იცვლის თვისებებს? ანალოგიური ვითარებაა გეოპოლიტიკის სფეროშიც.**




თუ დიდი სახელმწიფოების სამოქმედო არენაზე შესაშური შეუპოვრობით წინ წამოიწევს ერთი და იგივე იდეა, მისი ინიციატორები კი არიან კაპიტალისტური კორპორაციების ჯგუფები და ქვეყნები, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული იდეა ემსახურება არა კაცობრიობაზე ზრუნვას, არამედ ცალმხრივი სარგებლის მიღებას.

**თუ გავითვალისწინებთ, რომ ეპიზოდური ისტერიკა, რომელიც ატყდება ხოლმე გლობალური დათბობის საკითხის, პარიზის ხელშეკრულების, აგრეთვე, ჩინეთსა და რუსეთში ეკოპრობლემის გარშემო, როგორც წესი, იწყება ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ეს ყველაფერი მით უმეტეს იწვევს საფუძვლიან ეჭვს.**

ეჭვის საფუძველს კი იძლევა ის, რომ XX და XXI საუკუნეების ისტორია სავსეა ანგლოსაქსების „ეკოლოგიური“ აფერებით. ამის ნათელი მაგალითია მითი „სარეველა“ ქაღალდის შესახებ, რომლის გამოც ტყის უზარმაზარი მასივები გაჩეხეს. **ჩვენს წელთაღრიცხვამდე 100 წლიდან დაწყებული XX საუკუნის ბოლომდე მსოფლიოში ქაღალდის პროდუქციის წარმოების ძირითადი ნედლეული იყო არა მერქანი, არამედ კანაფის ღეროები. აღნიშნული ღეროების ხანგრძლივი გამოყენების მიზეზი იყო არა ის, რომ მის შესაცვლელად ადამიანს არ ჰქონდა შესაბამისი ტექნოლოგია, არამედ ის, რომ სარეველების ბოჭკოებისგან დამზადებული ქაღალდი ბევრი პარამეტრით სჯობდა „მერქნის“ ფოთლებს.**

მაგრამ კაპიტალიზმის თეორიიდან ცნობილია, რომ ბაზარს არ სჭირდება ხარისხიანი, საიმედო და იაფი საქონელი, რადგან ასეთ პროდუქტებს არ მოაქვს ზემაღალი მოგება.

მასალა მხოლოდ ერთი ჰექტარი კანაფისა, რომელსაც არ სჭირდება განსაკუთრებული მოვლა და ხარჯი, იძლევა წელიწადში დაახლოებით 6 ტონა ცელულოზას. აშკარაა, რომ ანალოგიურ ფართობზე გაჩეხილი ტყის რეალიზება გაცილებით ძვირი დაჯდება და ამ ფონზე მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მერქნის ბუნებრივ შეცვლას (ხის ზრდა) შეიძლება დასჭირდეს ათეულობით წელიწადი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **„მერქნის“ ქაღალდზე გადასვლა კაპიტალის მნიშვნელოვნად მომატებას უქადდა ტყის გაჩეხვით გამდიდრებულ ამერიკის ელიტის ნაწილს, თუმცა ტექნოლოგიის რადიკალური ცვლილებისა და ცელულოზა-ქაღალდის წარმოების მნიშვნელოვნად მომატებისთვის აუცილებელი იყო კიდევ ერთი პრობლემის მოგვარება. 1930 წლამდე კანაფისგან ამზადებდნენ უამრავ სხვა პროდუქტს — ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, თოკს, ბაგირსა და ძაფს, თანაც „სარეველისგან“ დამზადებული ქაღალდი ხარისხითა და შენახვის ვადით რამდენჯერმე აღემატებოდა მერქნის ცელულოზისგან დამზადებულს.**

**ამჟამინდელი თანდათანობითი დათბობა ავტომობილებისა და თვითმფრინავების გამოჩენამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. ცვლილებების დიდი ციკლების შიგნით მიმდინარეობდა პატარა ციკლებიც. კერძოდ, ტემპერატურის მცირე მატება აღინიშნებოდა 1940 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ატმოსფერო თითქმის არ ბინძურდებოდა. აცივება კი — პირიქით, აღინიშნებოდა მაშინ, როდესაც დასასრულს უახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი, ე.ი. მსოფლიო მრეწველობის პიკზე. სამრეწველო ბუმის (კონფლიქტის შემდეგ) განმავლობაში ტემპერატურა კვლავ ეცემოდა, თუმცა, გლობალური დათბობის თეორიის მიხედვით, უნდა მომატებულიყო, ხოლო, როდესაც დასავლეთში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი (1970-იანი წლები), ტემპერატურამ დაცემის ნაცვლად კვლავ მოიმატა**

პრობლემის მოგვარება ითავა ამერიკულმა კორპორაცია DuPont-მა, რომელმაც 1935 წელს კანაფის ძაფის შემცვლელად შექმნა **ნეილონი,** ამასთანავე, ბაზარზე გამოიტანა მერქნის მასის მათეთრებელი რეაგენტი. რადგან კანაფის ქაღალდის ნაწარმს არ სჭირდებოდა გათეთრება, შესაბამისად, არ სჭირდებოდა რეაგენტი, ერთ-ერთი დიდი ამერიკელი ტრანსნაციონალური კომპანიის ინტერესები დაემთხვა ხეტყის გადამუშავებასთან დაკავშირებული კორპორაციების ინტერესებს.




შედეგად **1930-იანი წლების ბოლოს ლობიზმისა და მასმედიისთვის შეკვეთილი კამპანიის წყალობით, ამერიკის ელიტებმა კანაფის ნებისმიერი მიზნით მოყვანა კანონმდებლობით სისხლის სამართლის დანაშაულს გაუთანაბრეს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ ყველაზე აქტიურად გამოდის ტყის გაჩეხვის შემცირების მოწოდებით, მისი წვლილი ამ პრობლემის წარმოქმნაში ძალიან დიდია.**

**DUPONT-მა, რომელმაც სახელი გაითქვა არა მხოლოდ იმით, რომ ბიძგი მისცა „პლანეტის ფილტვების“ გაჩეხვის პროცესს, არამედ გამოიგონა ნაპალმი ვიეტნამში გაჩაღებულ ომში გამოსაყენებლად, დეფოლიანტები, გენმოდიფიცირებული პროდუქტები და სხვა „სიკეთეები“, 1986 წელს გადაწყვიტა, სამაცივრო მოწყობილობების ბაზარზე გასულიყო და, რადგან ის უკვე განაწილებული იყო, დაიწყო არა მის მიერ შექმნილი გამაცივებლის უქლორო აგენტის რეკლამით, არამედ მორიგი ეკოლოგიური აფერით — აამოქმედა პროპაგანდისტული პიარკამპანია, როგორი მავნებელია ფრეონი ოზონის შრისთვის.**

ლობისტებმა ამერიკის კონგრესში კვლავ გაშალეს მასშტაბური „ეკოლოგიური“ პოლემიკა. შედეგად 1987 წელს ხელი მოაწერეს პროტოკოლს აღნიშნული ნივთიერების წარმოების შეზღუდვის შესახებ. მას საფუძვლად დაედო დასკვნა ანგლოსაქსი სპეციალისტებისა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ფრეონი დამანგრევლად მოქმედებს ოზონის შრეზე.

**მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უამრავი კომპანია გაკოტრდა, DuPont-ი კი აშშ-ის ადმინისტრაციის ძალისხმევით მონოპოლისტად იქცა მაცივრების ბაზარზე. როგორც გამოკვლევების შედეგებმა აჩვენა, ოზონის „ხვრელები“ არ შემცირებულა არც 10 და არც 20 წლის შემდეგ. მოპოვებული მონაცემების მიხედვით, მტკიცდება, რომ ოზონის შრე სქელდება ან თხელდება მზის აქტიურობიდან გამომდინარე, და არა ფრეონის გავლენით.**

ყველაზე ირონიული ამ ისტორიაში იყო ის, რომ ფრეონი, როგორც ნაერთი, 1931 წელს აღმოაჩინა DuPont-მა, სწორედ მან დააპატენტა ფრეონის ფორმულა, მისი საშუალებით გამოიმუშავა მილიარდები, ხოლო, როდესაც არატოქსიკურმა და იაფმა ნივთიერებამ, რომელიც არ იწვის და კოროზიას არ იწვევს, ბაზარი გააჯერა, მის წინააღმდეგ მოაწყო „ეკოლოგიური კამპანია“. ბაზარზე გამოიტანა ახალი ნაერთი და მსოფლიო აიძულა, მეორედ ეყიდათ „გამაცივებელი აირი“, ოღონდ ამჯერად გაცილებით ძვირად.

შესაძლოა, სწორედ ამის შემდეგ იფიქრეს აშშ-ში, რომ ერთადერთი კონკურენტი ძალის — სსრკ-ის — დაშლის შემდეგ შეძლებენ კიდევ ერთხელ გაიმეორონ მსგავსი რამ. **ისტორიაში ყველაზე დიდ კლიმატურ მითად იქცა 1997 წელს კიოტოში მიღებული თეორია გლობალური დათბობის შესახებ.**

ვაშინგტონის ზემოქმედებით მოსკოვის წინააღმდეგობის არარსებობის პირობებში 159-მა სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა, შეემცირებინა სათბურის ეფექტის გამომწვევი აირების გამოყოფა, რადგან უპრეცედენტო კამპანიის მიმდინარეობისას სწორედ ეს აირები დაასახელეს „დამანგრეველი დათბობის მთავარ მიზეზად“.

**როგორც DuPont-ის გამაცივებელი აგენტის შემთხვევაში, მითის ორგანიზატორები სრულიად უგულებელყოფდნენ ალტერნატიულ მონაცემებს, კერძოდ,** ▶

მაქინატორები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1930-იანი წლების ბოლოს ლობიზმისა და მასმედიისთვის შეკვეთილი კამპანიის წყალობით, ამერიკის ელიტებმა კანაფის ნებისმიერი მიზნით მოყვანა კანონმდებლობით სისხლის სამართლის დანაშაულს გაუთანაბრეს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ ყველაზე აქტიურად გამოდის ტყის გაჩეხვის შემცირების მოწოდებით, მისი წვლილი ამ პრობლემის წარმოქმნაში ძალიან დიდია.**

**DuPont-მა, რომელმაც სახელი გაითქვა არა მხოლოდ იმით, რომ ბიძგი მისცა «პლანეტის ფილტვების» გაჩეხვის პროცესს, არამედ გამოიგონა ნაპალმი ვიეტნამში გაჩაღებულ ომში გამოსაყენებლად, დეფოლიანტები, გენმოდიფიცირებული პროდუქტები და სხვა «სიკეთეები», 1986 წელს გადაწყვიტა, სამაცივრო მოწყობილობების ბაზარზე გასულიყო და, რადგან ის უკვე განაწილებული იყო, დაიწყო არა მის მიერ შექმნილი გამაცივებლის უქლორო აგენტის რეკლამით, არამედ მორიგი ეკოლოგიური აფერით — აამოქმედა პროპაგანდისტული პიარკამპანია, როგორი მავნებელია ფრეონი ოზონის შრისთვის**

**◀ იმას, რომ ნახშირორჟანგის ოდენობა ატმოსფეროში დამოკიდებულია ტემპერატურაზე და არა პირიქით — ტემპერატურა $CO_2$-ის დონეზე. მსოფლიო ოკეანე გასაგები მიზეზების გამო გამოყოფილი აირების მთავარ გენერატორად ითვლება და მას აორთქლების პროცესის შედეგად ატმოსფეროში შეაქვს 80 გიგატონა ნახშირორჟანგი, ადამიანების საქმიანობის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი კი 7 გიგატონაა. ოკეანის წყლის აორთქლება მით უფრო ძლიერია, რაც მაღალია ტემპერატურა დედამიწაზე, ტემპერატურის მატება კი, თავის მხრივ, განპირობებულია ბუნებრივი რიტმებითა და მზის სისტემაში მიმდინარე პროცესებით.**

XIX საუკუნემდე ჩატარებული დაკვირვებები ნათლად გვიჩვენებს, რომ იმ პერიოდში აღინიშნა ყველაზე ცივი ინტერვალი თანამედროვე ისტორიაში, რომელიც ევროპაში XV საუკუნეში დაიწყო. მას უწოდებენ „მცირე გამყინვარების პერიოდს“. ქრონიკების თანახმად, იმ პერიოდში ზაფხულობით მოსკოვში ხშირად თოვდა. ამ მონაკვეთამდე კი ტემპერატურა, პირიქით, გაცილებით მაღალი იყო და ამ პერიოდს „შუასაუკუნეობრივ დათბობას“ უწოდებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კლიმატის ასეთი ცვლილებები პლანეტაზე რეგულარულად ხდებოდა, **ამჟამინდელი თანდათანობითი დათბობა კი ავტომობილებისა და თვითმფრინავების გამოჩენამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. ცვლილებების დიდი ციკლების შიგნით მიმდინარეობდა პატარა ციკლებიც, კერძოდ, ტემპერატურის მცირე მატება აღინიშნებოდა 1940 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ატმოსფერო თითქმის არ ბინძურდებოდა. აცივება კი — პირიქით, აღინიშნებოდა მაშინ, როდესაც დასასრულს უახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი, ე.ი. მსოფლიო მრეწველობის პიკზე. სამრეწველო ბუმის (კონფლიქტის შემდეგ) განმავლობაში ტემპერატურა კვლავ ეცემოდა, თუმცა, გლობალური დათბობის თეორიის მიხედვით, უნდა მომატებულიყო, ხოლო, როდესაც დასავლეთში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი (1970-იანი წლები), ტემპერატურამ დაცემის ნაცვლად კვლავ მოიმატა.**

XX საუკუნეში განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებს ამჟამინდელი კლიმატური მითის მიზეზად მრეწველობა რომ მიეჩნიათ, მაშინ უარი უნდა ეთქვათ ინდუსტრიის განვითარებაზე, სახელდობრ, ამას მოითხოვდა აშშ ქვეყნებისგან, რომლებსაც თავს მოახვია კიოტის პროტოკოლის ნორმები.

**კლიმატური ცვლილებების შესახებ ექსპერტების სპეციალურმა სამთავრობოთაშორისო ჯგუფმა მუშაობა დაიწყო 1988 წელს. მოგვიანებით კი მიიღო ნობელის პრემია „გლობალური დათბობის დამტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისთვის“, ე.ი. წარმატებით დასაბუთებისთვის აფერისა, რომელსაც აშშ ეკონომიკური კონკურენტების წინააღმდეგ იყენებდა. ნიშანდობლივია, რომ „დამოუკიდებელმა კომისიამ“ ჯილდო გაუნაწილა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ალფრედ გორს.**

ისევე, როგორც „მერქნის ქაღალდის“ ისტორიაში, რომელმაც ტყეების გაჩეხვას შეუწყო ხელი ან „ოზონის შრის განადგურების“ საბაბით ფრეონის აკრძალვას, კაცობრიობას აბრუებდნენ ანგლოსაქსური პროპაგანდის საუკეთესო ტრადიციებით. მსოფლიოს აშინებდნენ გოლფტრიმის სწრაფი გაუჩინარებით და ამას ასაბუთებდნენ „მტკიცებულებებით“ და ჰოლივუდის შესაბამისი პროდუქციით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკითხის ფასი დაახლოებით ტრილიონი დოლარი იყო, ხარჯი სრულიად გამართლებული იყო.

**159 ქვეყნის მიერ დოკუმენტზე ხელმოწერის შემდგომ აშშ-ის სენატმა მიიღო ბირდ-ჰაგელის რეზოლუცია, რომელმაც დაბლოკა კიოტოს პროტოკოლის რატიფიკაცია და მის მთავარ ინიციატორს — აშშ-ს — ამ პროტოკოლით შესასრულებელი ყველა ვალდებულება მოუხსნა. ოპერაციის ფინალური აკორდი იყო ტრანსნაციონალური კომპანიების „ბინძური“ წარმოებების გატანა ე.წ. განვითარებულ ქვეყნებში, შემდეგ კი საერთო სიიდან ამ ქვეყნების გარიცხვის ლობირება.**

პროტოკოლის მიზნების საჩვენებლად შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი კანადისა, რომელიც პირველი დასთანხმდა მოცემული ნორმების შესრულებას, 2015 წელს კი მათი გაგრძელების მთავარი მოწინააღმდეგე იყო. ოტავას მოუწია, წელიწადში ათეულობით მილიარდი დოლარი დაეხარჯა ეკონომიკისთვის უსარგებლო ფილტრაციის სისტემების, მავნე ნივთიერებისა და სხვა ძვირად ღირებული და არასაიმედო ტექნოლოგიის შესაძენად კერძო ტრანსნაციონალური კომპანიისგან.



სავალდებულო „რეკომენდაციებმა“ გამოიწვია საბოლოო პროდუქციის გაძვირება აშშ-ის მთავარი კონკურენტებისა — ევროპის ქვეყნების, იაპონიის, სამხრეთ კორეის და ა.შ.

კულისებსმიღმა პოლიტიკის თვალსაზრისით, **პროტოკოლის თავს მოხვევა იყო ტრანსნაციონალური ელიტების ბრძოლის მეთოდი ნაციონალური სახელმწიფოების წინააღმდეგ, დიდი სახელმწიფოების კონკურენციის პოზიციიდან გამომდინარე კი — აშშ-ის არასაბაზრო მექანიზმი თავისი კონკურენტების განვითარების დასამუხრუჭებლად. ორივე შემთხვევაში საუბარია დესტრუქციულობაზე, ამიტომ დროთა განმავლობაში ნდობამ ტექნოგენური ნდომის გაქრობის მიმართ გაქრობა დაიწყო. შედეგად ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ დარჩენილი პოტენციალი 2015 წლის კონფერენციისთვის კლიმატის თაობაზე, როცა კიოტის პროტოკოლის ნაცვლად ახალი, პარიზის შეთანხმება შესთავაზეს მსოფლიოს.**

ამჟამინდელი დოკუმენტი არ ითვალისწინებს წიაღისეულ სათბობზე დაუყოვნებლივ უარს ან გამონაბოლქვის მკვეთრ შემცირებას, მაგრამ, ამასთანავე, ტოვებს კაპიტალისთვის მთავარ პუნქტს — შეთანხმების ხელმომწერმა ქვეყნებმა უნდა გაატარონ ზომები საწარმოების „ტექნოლოგიური გადაიარაღებისთვის“ — კვლავაც იყიდონ „მწვანე პროდუქცია“ კერძო კორპორაციებისგან.

**ძველი მეთოდებისა და მოტივების პირდაპირი მტკიცებულებაა ახლანდელი პროექტიც გაეროს საბავშვო ფონდის (იუნისეფი) გამოყენებით, რომლის ორგანიზებითაც გაიმართა შვედი მოსწავლის, ეკოლოგიური აქტივისტის — გრეტა ტუნბერგის პრესკონფერენცია, 15 წლის მოზარდის სენტენციები მათ „გულგრილობაზე“, ვინც უგულებელყოფს პარიზის შეთანხმებას, ბევრ რამეზე მეტყველებს.**

ნიშანდობლივია, რომ ვაშინგტონი შეთანხმებას კვლავ რატიფიკაციის გარეშე შეუერთდა. ანალოგიურად მოიქცა მოსკოვიც. ტრამპმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს, აშშ გაიყვანოს შეთანხმებიდან 2020 წლის ნოემბერში, როგორც კი ეს კანონმდებლობით შესაძლებელი იქნება, კრემლს მსგავს გეგმაზე ჯერჯერობით არაფერი უთქვამს.

**თუ გაჩნდება კითხვა — რატომ მოაწერა რუსეთმა ხელი პარიზის შეთანხმებას, პასუხი შეიძლება ვეძებოთ 2019 წელს შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში.** მოსკოვი აანალიზებს ვაშინგტონის ფარულ მოქმედებებს და ხვდება, რომ „ეკოდიქტატურა“ განვითარებულ ქვეყნებს ათწლეულების განმავლობაში აძლევდა ოპონენტების შეკავების შესაძლებლობას, მაგრამ პრობლემა არის ის, რომ კიოტის პროტოკოლის ისტორიის გამოცდილებიდან გამომდინარე, პარიზის შეთანხმებაზე უარის თქმით რუსეთი რისკავდა, განეცადა კიდევ მეტი დანაკარგები, მათ შორის, იმის, რომ რუსული კომპანიები დაედანაშაულებინათ ყველა „კლიმატურ“ უბედურებაში.



გრეტა ტუნბერგი

რუსეთის ძირითადი საექსპორტო საქონელია ნახშირწყალბადები. **პარიზის შეთანხმება დათბობასთან ბრძოლას აღწერს, როგორც ბრძოლას ნახშირწყალბადების გამოყოფის წინააღმდეგ, შესაბამისად, ქმნის იდეალურ ნიადაგს რუსეთის ეკონომიკისთვის ახალი სანქციებისა და მავნე გამონაბოლქვებზე გადასახადების დასაწესებლად, ინვესტიციებზე უარის თქმისთვის და ა.შ.**

თვით პარიზის ხელშეკრულება ითვალისწინებს „2020 წლისთვის სათბურის ეფექტის მქონე აირების ემისიის შემცირებას 1990 წლის მოცულობის 75%-მდე“. აღსანიშნავია, რომ ამ ჩარჩოში რუსეთს უკვე აქვს წლიური მონაცემი (67,6% — ტყეების მიერ $CO_2$-ის „შთანთქმის“ გაუთვალისწინებლად და 50,7% — გათვალისწინებით). ესე იგი, პარიზის პროტოკოლის მიღება დროებითი კომპრომისია. **თუკი მომავალში ახალი ინდუსტრიალიზაციის სტარტის შემდეგ ხარჯები გადააჭარბებს სარგებელს, კრემლს შეეძლება აშშ-ის მანევრის გამეორება. შემთხვევითი არ არის, რომ ჩინეთმაც, რომელიც $CO_2$-ის მთავარი მწარმოებელია, ეს დოკუმენტი რუსეთის მსგავსი მოტივებით მიიღო.**

ზემოაღწერილის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ რუსეთში ფსევდოეკოლოგიური პროტესტები ხშირად მუშაობს პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად, თანაც მატულობს პროფილური არაკომერციული ორგანიზაციების რაოდენობის შესაბამისად. რუსეთის იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის მონაცემებით, 150 უცხო აგენტიდან, რომლებმაც დაფინანსება საზღვარგარეთიდან მიიღეს, 29 უკვე ირიცხება, როგორც „ეკოლოგიური“.

„გლობალური ეკოლოგიური მოღვაწეობის“ ფენომენი აშშ-ში წარმოიშვა გასულ საუკუნეში ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონკურენტებთან კორპორაციული ომის სახით. დღეს ეს ინსტრუმენტები, გარემოს დაცვის საფარქვეშ, მსოფლიოს პოლიტიკაში გაჩნდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველამ, ვინც თავისი ნებით ჩაერთვება ამა თუ იმ ეკოლოგიურ პროექტში, უნდა შეიგნოს — სანამ ისინი გულწრფელად ცდილობენ ატმოსფეროს გაგრილებას, მათ იდეალიზმზე ვილაც ჯიბეს ითბობს.

**Regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**გიორგი ვაჩეჩილაძე**

**ისევე, როგორც «მერქნის ქაღალდის» ისტორიაში, რომელმაც ტყეების გაჩეხვას შეუწყო ხელი, ან «ოზონის შრის განადგურების» საბაბით ფრეონის აკრძალვისა, კაცობრიობას აბრუებდნენ ანგლოსაქსური პროპაგანდის საუკეთესო ტრადიციებით. მსოფლიოს აშინებდნენ გოლფტრიმის სწრაფი გაუჩინარებით და ამას ასაბუთებდნენ «მტკიცებულებებით» და ჰოლივუდის შესაბამისი პროდუქციით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკითხის ფასი დაახლოებით ტრილიონი დოლარი იყო, ხარჯი სრულიად გამართლებული იყო**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინის მმართველობის პერიოდში დიდ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მეჩაიეებმა. თუ 1948 წელს მოკრიფეს 87 000 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1953-54 წლებში ჩაის ფოთლის კრეფამ 115 000 ტონას მიაღწია. მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდათ საქართველოს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს. მეციტრუსეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა ციტრუსების ძლავრი მეურნეობა. 1953 წელს საქართველოში იყო 9 400 ჰექტარი ციტრუსი და 8700 ჰექტარი ტუნგო.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37, 2019 წ.

# რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?



**მაშინაც კი, როდესაც თბილისში თითო-ოროლა მანქანა მოძრაობდა, ქართველები მეტროპოლიტენის მშენებლობას ვითხოვდით, რადგან თბილისი ყველაზე «ლამაზი» ქალაქი იყო მსოფლიოში, რადგან სტალინი ქართველი იყო და ჩვენ რატომ არ უნდა გვქონოდა პირველად ის, რაც მოსკოვს ან ლენინგრადს შეიძლება ჰქონდეს?! სწორედ ამან განაპირობა ხალხის გონებაში ჩაჭედვა აზრისა — რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?**

საბჭოთა საქართველო, ფორმით სოციალისტური და შინაარსით ნაციონალისტური, სრულ სახელმწიფოებრივ ნიშან-თვისებებს ავლენდა — ჰქონდა თავისი გერბი, დროშა და ჰიმნი, ნაციონალური პოლიტიკა, ავტოკეფალიური ეკლესია, ჰყავდა ჯარი და ჰქონდა მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა... ჩამორჩენილი, აგრარული გუბერნიიდან საქართველო გახდა მეტალურგიის, საავტომობილო, ხელსაწყოთა, ელექტროტექნიკური აპარატურისა და ავტომატიკის საშუალებათა მრეწველობის რესპუბლიკა, რომელიც აწარმოებდა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს, მაგისტრალურ ელმავლებს, კოქს, ურთულესს ლითონსაჭრელ ჩარხებს, მინერალურ სასუქებს, მრავალგვარ ხელსაწყოსა და სხვ. საქართველოს სამრეწველო პროდუქციის ნომეკლატურაში დიდი ადგილი ეკავა მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქციის ახალ სახეობებს, რესპუბლიკის მანქანათმშენებელი ქარხნები იმჟამად ითვისებდნენ ახალი კონსტრუქციის სახარატო ჩარხების, სამთო-საშახტო მოწყობილობების, მძიმე ავტომანქანების, ექსკავატორების, ჩაის, მეღვინეობის, საფეიქრო მრეწველობის მანქანებისა და მოწყობილობების, ჩაის საკრეფი მანქანების, ჰიტრომეტეოროლოგიური აპარატურებისა და სხვათა დამზადების ტექნოლოგიებს. ომისშემდგომ პერიოდში საქართველოს მრეწველობის დიდ წარმატებაზე მოწმობდა ის, რომ ზოგიერთი პროდუქციის (ფოლადი, ნაგლინი, ცემენტი, მარგანეცი, ელექტრომანქანები და სხვ.) წარმოების მიხედვით შორს ჩამოიტოვა ევროპის მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები, რომ არაფერი ვთქვათ აზიის კონტინენტის ქვეყნებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ იმპერიალისტური სახელწიფოებისადმი დამოკიდებულ მდგომარეობაში და ვერ შეძლეს, შეექმნათ თავიანთი მრეწველობა. **საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ცემენტის წარმოება შეადგენდა 267 კილოგრამს, მაშინ, როცა ინგლისი აწარმოებდა 230 კგ ცემენტს, იტალია — 255 კგ-ს, იაპონია — 162 კგ-ს, ხოლო ინდოეთი, თურქეთი და მექსიკა ერთად აღებული — მხოლოდ 156 კგ-ს.**

საქართველომ, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მეტალურგია ჰქონდა, თუჯის წარმოების მხრივ გაუსწრო ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანას — იტალიას, იაპონიას, ინდოეთსა და თურქეთს. საქართველო აწარმოებდა მეტ ფოლადს, ვიდრე შვეიცარია და თურქეთი, ერთად აღებული. ქართული თუჯი და ფოლადი ცნობილი იყო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტურ ქვეყნებში, არამედ აზიისა და ევროპის მრავალ სახელმწიფოშიც.

**საქართველოს მიერ საზღვარგარეთ გატანილი საქონლის ვრცელ სიაში იყო ურთულესი მანქანები, უნივერსალური ჩარხები, ლითონი, მილები და ფერადშენადნობი, მეტალურგიული ხელსაწყოები, მარმარილო, ცემენტი, ანდეზიტი, სამედიცინო პრეპარატები, ღვინო, კონიაკი, ჩაი, კონსერვები, მაკარონი, მურაბები, მინერალური წყლები და სხვ.** საგრძნობლად ამაღლდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დონე. 1954 წელს საქართველოს 2302 მსხვილ კოლმეურნეობას, 119 საბჭოთა მეურნეობასა და 96 მტს-ს ჰქონდა 8613 ტრაქტორი, 1438 კომბაინი, ათეულათასობით გუთანი, სათესი მანქანა, კულტივატორი, ავტომანქანა და სხვ.

სტალინის მმართველობის პერიოდში დიდ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მეჩაიეებმა. **თუ 1948 წელს მოკრიფეს 87 000 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1953-54 წლებში ჩაის ფოთლის კრეფამ 115 000 ტონას მიაღწია. მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდათ საქართველოს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს. მეციტრუსეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა ციტრუსების ძლავრი მეურნეობა. 1953 წელს საქართველოში იყო 9 400 ჰექტარი ციტრუსი და 8700 ჰექტარი ტუნგო.**

სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის აღმავლობამ განაპირობა რესპუბლიკის კოლმეურნეობის შემოსავლის ზრდა. კოლმეურნეობების ფულადმა შემოსავალმა 1953 წელს 2,5 მლრდ მანეთს მიაღწია.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ქალაქისა და სოფლის ერთმანეთთან დაკავშირებას, რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას ხელს უწყობდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარება. **საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს ტერიტორიაზე გაიყვანეს ნატანებ-მახარაძის, ცხაკაია-სოხუმ-ადლერის, გორი-სტალინირისა და ბროწეულა-გუმბრინის სარკინიგზო ხაზები; დაიგო ფართოლიანდაგიანი ხაზი ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერე. ზესტაფონი-ხაშურის ხაზის ელექტროფიკაციით 1932 წელს დაიწყო მთელ საბჭოთა კავშირში რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია. შემდეგ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროფიცირებული იქნა რკინიგზის თითქმის ყველა მთავარი ხაზი, შედეგად გაიზარდა მისი გამტარუნარიანობა.**

საქართველოს სსრ რესპუბლიკა დაიფარა საშუალო და უმაღლესი განათლების ფართო ქსელით. **1954 წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებო სკოლებში სწავლობდა 666 000-ზე მეტი კაცი, მათგან 30 000-ზე მეტი — მუშათა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში. საგრძნობლად გაფართოვდა სკოლა-ინტერნატების ქსელი, რომელშიც 1954 წელს იყო 6 000-ზე მეტი ბავშვი.**

საქართველოს უდიდეს მიღწევებს განათლების დარში მოწმობს კიდევ ის გარემოებაც, რომ **1954 წელს რესპუბლიკის ყოველ 1 000 მოსახლეზე მოდიოდა საშუალო განათლების მქონე 315 კაცი, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე — 38 კაცი.** საქართველომ უმაღლესი და საშუალო განათლების მხრივ შორს ჩამოიტოვა ევროპის მოწინავე ქვეყნები, რომ არაფერი ვთქვათ მეზობელ ქვეყნებზე — ირანსა და თურქეთზე. **ყოველ 1 000 მცხოვრებზე უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ადამინთა რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 10-ჯერ მეტს, ვიდრე თურქეთში; 50-ჯერ მეტს, ვიდრე ირანში; სამნახევარჯერ მეტს, ვიდრე საფრანგეთში და 4-ჯერ მეტს, ვიდრე ინგლისში. იმხანად ჩვენ გაცილებით მეტი ექიმი, ინჟინერი, აგრონომი გვყავდა, ვიდრე ირანსა და თურქეთს, ერთად აღებული.**

საბჭოთა ხელისუფლების წლები საქართველოში ხასიათდება მეცნიერების ყველა დარგის არნახული განვითარებით. უდიდესი მნიშვნელობა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში ჰქონდა 1941 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ხოლო 1958 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შექმნას.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და სხვა სისტემებში გაერთიანებულ 145 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროებში, ლაბორატორიებში, საცდელ ბაზებსა და, აგრეთვე, რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებელში მუშაობდა 8000-მდე მეცნიერ-მუშაკი, მათ შორის 400-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი, 3000-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და 4500-ზე მეტი სხვა მეცნიერი მუშაკი.**

ქართული ხელოვნების განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებდა რესპუბლიკაში არსებული 20-ზე მეტი სახალხო თეატრი და 2100-ზე მეტი თვითშემოქმედებითი კოლექტივი, რომლებიც 46 000-მდე კაცს აერთიანებდა. **ქართული ხელოვნების 64 წარმომადგენელს მიენიჭა სტალინური პრემია, ერთს — ლენინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება. ქართული ხელოვნების 16 მუშაკი ატარებდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ხოლო 400-მდე — რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებული არტისტის წოდებას.**

მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობას მოწმობს საბჭოთა საქართველოში (როგორც ქალაქად, ისე სოფლად) დიდი საბინაო მშენებლობები. მხოლოდ 1950-იან წლებში სახელმწიფოსა და კოოპერატიული ორგანოების მიერ აშენებული იქნა 1,9მლნ კვ მ ფართობის საცხოვრებელი ბინები. მხოლოდ თბილისში ყოველწლიურად ექსპლუატაციაში შედიოდა 110 000-120 000 კვ მ სახცოვრებელი ფართობი, ანუ 3 000-ზე მეტი კეთილმოწყობილი ბინა.

რევოლუციამდელ საქართველოში ჯანმრთელობის დაცვაზე დანახარჯი ერთ კაცზე 38 კაპიკს არ აღემატებოდა და ამიტომ საკვირველი როდია, რომ 1913 წელს საქართველოში იყო მხოლოდ 11 ამბულატორია, 31 საექიმო პუნქტი და 41 საავადმყოფო 2084 საწოლით. მოსახლეობის ჯანმრთელობას ემსახურებოდა მხოლოდ 561 ექიმი და 680 საშუალო სამედიცინო განათლების მქონე კაცი. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით უხვად დაჯილდოებულ საქართველოს კურორტებზე იყო მხოლოდ 5 სანატორიუმი, რომლებშიც მშრომელი ადამიანი ფეხსაც ვერ შედგამდა. **საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოში ძირფესვიანად გარდაიქმნა მშრომელთა სამედიცინო მომსახურეობის საქმე. უკვე 1954 წლის დასაწყისში რესპუბლიკის მოსახლეობას უფასო მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას უწევდა 12 803 ექიმი და სტომატოლოგი, 29 097 საშუალო სამედიცინო განათლების მქონე მუშაკი. იმხანად საქართველოში ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდა 3 ექიმი, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველ 1000 კაცზე, ექიმების რაოდენობის მიხედვით, ჩვენს რესპუბლიკას მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა. 1955 წლის დასაწყისში რესპუბლიკას ჰქონდა 641 საავადმყოფო 26 261 საწოლით, საქართველოს კურორტებზე მოქმედებდა 87 სანატორიუმი, 36 დასასვენებელი სახლი და 13 პანსიონატი, რომლებშიც ყოველწლიურად ათიათასობით მშრომელი მკურნალობდა და ისვენებდა.**

ციფრობრივი მასალა ამოღებულია გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილებიდან, საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობარებიდან, საქართველოს სსრ სტატისტიკური კრებულებიდან, გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული მასალებიდან.

ციფრობრივი მასალით მკითხველს თავი რომ არ მოვაბეზროთ, გადავიდეთ ზოგიერთი შემთხვევის ახსნაზე სტალინის ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც მიგვანიშნებს მის ზრუნვაზე თავისი სამშობლოს — საქართველოს საკეთილდღეოდ:

1946 წელს შავი ზღვისპირა აგარაკზე მყოფმა სტალინმა მოიკითხა სახელგანთქმული გორელი სელექციონერი **ვასილ ბესტავაშვილი**, რომელმაც საბჭოთა კავშირში პოპულარული ატმის ოთხი ჯიში გამოიყვანა. ამასთანავე, სერიოზული კვლევა ჩაატარა მევენახეობაში ჯიშების შეჯვარების საკითხებში.

გამგზავრების წინ ვასილ ბესტავაშვილმა თავისი ხელით მოკრიფა და ყუთებში ჩააწყო სტალინისთვის მისართმევი თავისი გამოყვანილი ხილის არომატული ნაყოფი და სოფლის სხვა ნობათი, რომელსაც ალამაზებდა ხახალზე დაწყობილი თევზი ფიჩხული.

მასპინძელი ხელგაშლილი შეხვდა თანამემამულეს — ატენელ სელექციონერ ვასილ ბესტავაშვილს. სხვა დელიკატესებთან ერთად გორული ხორაგიც ამშვენებდა სუფრას, მათ შორის სტალინის საყვარელი ფიჩხული. სტალინმა ხელში აიღო ერთი ცალი თევზი, დახედა და ისევ ხახალზე დადო.

— ეს ჩემი მეგობრის დაჭერილი და მოხარშული ფიჩხული არ არის, — შესჩივლა ვასილ ბესტავაშვილს სტალინმა.

— როგორ მიხვდით, ის თქვენი მეგობარი დაბრმავდა და ველარ თევზაობს, ეს სხვას დავაჭერინეთ, მოხარშვით კი სხვამ მოხარშა.

— ჩემს მეგობარს თვითონ დავყვებოდი სათევზაოდ, — თქვა სტალინმა, — როდესაც საკმარის თევზს დავიჭერდით, სპილენძის პატარა ქვაბს იმავე მდინარის წყლით გავავსებდით და ავადუღებდით. ადუღებულ წყალში თევზებს ჩაყრიდა, რომლებიც ცხელ წყალში გაფართხალდებოდნენ და რომელ მხარესაც პირველად კუდს მოიქნევდნენ, ის გვერდი გაიხსნებოდა. სწორედ ასეთ მოხარშულ თევზს ქვია ცოცხალი. თქვენი ჩამოტანილი თევზი სანახავად კი კარგია, მაგრამ ცოცხალი აღარ არის.

ამ შინაურული საუბრის შემდეგ სტალინმა ▶

**საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს ტერიტორიაზე გაიყვანეს ნატანებ-მახარაძის, ცხაკაია-სოხუმ-ადლერის, გორი-სტალინირისა და ბროწეულა-გუმბრინის სარკინიგზო ხაზები; დაიგო ფართოლიანდაგიანი ხაზი ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერე. ზესტაფონი-ხაშურის ხაზის ელექტროფიკაციით 1932 წელს დაიწყო მთელ საბჭოთა კავშირში რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია. შემდეგ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროფიცირებული იქნა რკინიგზის თითქმის ყველა მთავარი ხაზი, შედეგად გაიზარდა მისი გამტარუნარიანობა.**

გრიგოლ ოniანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სთხოვა სელექციონერს, თავის საქმიანობაზე ესაუბრა. ვასილმაც ვრცლად ილაპარაკა მის მიერ შესრულებული სასელექციო მუშაობის შესახებ და ცალ-ცალკე დაუხასიათა თავის ხელით ჩამოტანილი ქმნილებები, შეფერილობით დაწყებული და არომატით დამთავრებული. სტალინი კმაყოფილი დარჩა მოსმენილით, ვასილი შეაქო და ერთი სათხოვარიც გადასცა.

**— ამას მთავრობის დავალებად ნუ მიიღებთ, ამას მე გთხოვთ, როგორც მეგობარსა და მეზობელს, — ამ ლამაზ, შეფერილ და არომატულ ატამს რა ჯობია, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ ყურადღებას მიაქცევთ ვენახის ატამს, ალბათ, იცით, რომელ ატამზე გესაუბრებით. მოსახლეობამ ეს ატამი აითვალწუნა და ულმობლად ანადგურებს. ატამი თავის შეხედულებითა და სიმსხოთი შეიძლება არ იყოს გლეხისთვის მოსაწონი, მაგრამ მისი არომატი არა მხოლოდ ატმის გემოში გამოიხატება, ვენახის პლანტაციებში მისი ყვავილობა და მწიფობა არომატს ვენახის მტევანსაც გადასცემს, გორული ღვინო, თუ მის პლანტაციებში შერეულია ზომიერად ვენახის ატამი, ქმნის იმ უცხო ბუკეტს, რომელიც სხვა ღვინოებს არ გააჩნია. თუ სურვილი გაგიჩნდებათ, იქნებ ამ ჯიშსაც მიხედოთ.**

ვასილ ბესტავაშვილი დაჰპირდა ბელადს, რომ დავალებას აუცილებლად შეასრულებდა.

1947 წელს სტალინის დავალებით საქართველოს მინისტრთა საბჭომ სოფელ ხიდისთავში ვასილ ბესტავაშვილს გამოუყო ოთხი ჰექტარი პირველხარისხოვანი სახნავ-სარწყავი მიწის ნაკვეთი და იქვე აუშენა კეთილმოწყობილი ლაბორატორია სამეცნიერო კვლევებისთვის, თავისი დაფინანსებით. ხოლო ვასილ ბესტავაშვილი, ბელადის ბრძანებით, დააჯილდოვეს 100 000 მანეთით.

ასე ფასდებოდა სტალინის მმართველობის პერიოდში მეცნიერი და მეცნიერის მიერ მიღებული შედეგი.

ომისშემდგომ საქართველოს მარშალი **კლიმენტ ვოროშილოვი** ეწვია, სწორედ მარშლის სტუმრობის პერიოდში ძლიერმა წვიმებმა კალაპოტიდან ამოაგდო მდინარე მტკვარი და ნახევარი თბილისი წყალში ტივტივებდა. ვოროშილოვმა დახმარება აღუთქვა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და უთხრა, სასწრაფოდ შეედგინათ ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და მოსკოვში ჩაეტანათ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ მოამზადა დავალება და გარკვეული დროის შემდეგ პოლიტბიუროს სხდომაზე გამოიძახეს დაფინანსების დასამტკიცებლად. ვოროშილოვს საკმარისი სამუშაო ჰქონდა სტალინთან ჩატარებული, მიუხედავად ომისგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებისა, თბილისის გადარჩენა სტიქიისგან აუცილებელ საქმედ მიაჩნდა. პოლიტბიუროს სხდომის დაწყებამდე საქართველოს დელეგაცია დერეფანში ვოროშილოვს შემთხვევით შეხვდა. მასპინძელი ღიმილით შეეგება თბილისელ სტუმრებს და წარმატებები უსურვა პოლიტბიუროს სხდომაზე. ბოლოს დაინტერესდა და



პროექტი მოიკითხა. ხელში გადაატრიალა და გარეკანზე დიდი ასოებით ამოიკითხა „პროექტი თბილისში მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მოწყობის შესახებ". ვოროშილოვი თვალებს არ უჯერებდა, რომ ქართველებს პოლიტბიუროზე მტკვრის სანაპიროების მოწყობის პროექტი შეჰქონდათ.

— ძვირფასო ქართველებო, ეს პროექტი სტალინს რომ წარუდგინოთ, თავზე დაგახევთ, მაგრამ არც მე დამაყრის კარგ დღეს. სასწრაფოდ მოდით ჩემთან და სამდივნოს უთხარით, სწრაფად შეცვალონ ყდა და სათაური და დააწერონ „მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნააპირსამაგრი ჯებირების მშენებლობის შესახებ".

სტალინმა პოლიტბიუროზე იხუმრა: — ქართველების ბედზე თქეში წვიმა მაშინ წამოვიდა, როდესაც თბილისს კლიმი ესტუმრა და ყოველგვარი ტრანსპორტის გარეშე მტკვარმა კინაღამ თბილისის სტუმარი ბაქოში ჩაიყვანა.



**ე.წ ელიავას ბაზრობა და საქართველოში ყველა შავი ბაზარი სტალინის ქონებით ვაჭრობს. ქარხანა, რომელიც სტალინმა ააშენა, ვილაცამ კაპიკებში იყიდა და მილიონად გაყიდა; ვილაცამ წყალქვეშა გემი ჯართში ჩააბარა და ფული იშოვა; ვილაცამ ქართლში დიდი ბაღი გაჩეხა; კოლხეთში ჩაი და ციტრუსი აღარ არის, გურიაში, «სადაც კიოდა მგელი და ტურა, ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურა», ახლა ჩაი აღარ არის და იმ ეკალ-ბარდებში კვლავ მგელი და ტურა კივის; კაკო ყაჩაღი, რომელიც ყვარლის ტყეებიდან გამოვიდა და ნუკრიანში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, ახლა კვლავ კუდიგორის გზას დასდგომია. სტალინის მეტროპოლიტენში კი სტალინის ქონებით ჯიბეგასქელებული ლიბერალები ჩაჯდომას აღარ კადრულობენ და საკუთარი ლაინერებითა და ლიმუზინებით დაქრიან სტალინის მიერ გაჭრილ გვირაბებში და მთებს შორის გაჭრილ გზატკეცილებზე**

— გაუმაგრონ ნაპირები მთის მდინარეს, მგონი, საჭირო იქნება, — თქვა სტალინმა და ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. **ასე გაჩნდა თბილისში ი.ბ. სტალინის სახელობის სანაპირო, რომელიც დღეს რატომღაც ალიევის სახელს ატარებს.**

**კანდიდ ჩარკვიანი** იგონებს: „სტალინი ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ ჩვენს ღვინოებსა და კონიაკს ბადალი არ ჰყავს მსოფლიოშიო და იმოწმებდა ცნობილ ფრანგ პროგრესულ მოაზროვნეს — **პიერ კოტს**, რომელსაც მასთან სტუმრობისას მოსწონებია კონიაკი „ენისელი".

— ახლა საფრანგეთში კონკურენციამ ხარისხზე ზრუნვა ბევრს გადაავიწყა. იქ ერთი ბოთლი „ენისელისაგან" ზოგიერთი ფირმა ორ ბოთლ კონიაკს გააკეთებდაო, — უთქვამს პიერ კოტს. ასევე შეუქია მას ქართული სამარკო ღვინოები. სტალინს კოტის აზრი ანგარიშგასაწევად მიაჩნდა: მისი მამა მევენახე და მეღვინე ყოფილა და ბაზარზე თურმე მზა ღვინოები და კონიაკი გაჰქონდა. სტალინის მაგიდაზე მხოლოდ ქართული სამარკო ღვინოები მოჰქონდათ, კონიაკიც ქართული იყო. თვითონ სტალინი თითქმის ყოველთვის „თელიანს" სვამდა, მაგრამ ცოტ-ცოტას, საარყე ჭიქით. იშვიათად მინახავს, რომ მას ღვინო ამ სასმელისთვის საყოველთაოდ განკუთვნილი ჭიქით დაელიოს".

1949 წლის შემოდგომაზე კანდიდ ჩარკვიანი და **ჩუბინაშვილი** სტალინს სტუმრობდნენ. მასპინძელს მოკრძალებით სთხოვეს, დახმარება აღმოეჩინა ნამოხვანის ჰესისა და ვარციხის სადგურების აგებაში. სტალინმა ყურადღებით მოუსმინა სტუმრებს და უთხრა: — თქვენ მუდამ კაშხლებისა და ჰესების მშენებლობას მთხოვთ, რატომ არ ფიქრობთ თბოელექტროსადგურებზე? იცით, რამხელა ზიანს აყენებს ბუნებას კაშხლების მშენებლობა? თანაც ძალზე დიდ რისკებთან არის დაკავშირებული კაშხლის მდგრადობა, ბუნებრივი თუ ხელოვნური საფრთხეების გათვალისწინებით. კაშხლის აგება ქალაქის თავზე ნამოხვანში რა საფრთხეს შეუქმნის, არა მხოლოდ ქალაქ ქუთაისს, არამედ მთელ დაბა იმერეთს, წარმოგიდგენიათ? სიტყვაც აღარ დაგვიძრავს ამ საკითხზე", — იგონებს ჩარკვიანი.

მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი — საბჭოეთის სამი უდიდესი ქალაქი, თუ რამ სიახლე და საკითხი იყო გადასაწყვეტი, ამ ქალაქებში უნდა განხორციელებულიყო, მეოთხე ქალაქად კი თბილისი განიხილებოდა. **მაშინაც კი, როდესაც თბილისში თითო-ოროლა მანქანა მოძრაობდა, ქართველები მეტროპოლიტენის მშენებლობას ვითხოვდით, რადგან თბილისი ყველაზე „ლამაზი" ქალაქი იყო მსოფლიოში, რადგან სტალინი ქართველი იყო და ჩვენ რატომ არ უნდა გვქონოდა პირველად ის, რაც მოსკოვს ან ლენინგრადს შეიძლება ჰქონდეს?! სწორედ ამან განაპირობა ხალხის გონებაში ჩაჭედვა აზრისა — რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?**

ეს მაშინ, როდესაც **დღესაც კი სტალინის მიერ საქართველოში შემოტანილი რკინით, ფერადი ლითონითა და საქარხნო მოწყობილობებით ვცხოვრობთ. დღეს საქართველოში მხოლოდ სახლები შენდება. საიდან, თუ ხალხს ფული და ცხოვრება არ აქვს? მთელი ე.წ. ელიავას ბაზრობა და საქართველოში ყველა შავი ბაზარი სტალინის ქონებით ვაჭრობს. ქარხანა რომელიც სტალინმა ააშენა, ვილაცამ კაპიკებში იყიდა და მილიონად გაყიდა, ვილაცამ წყალქვეშა გემი ჯართში ჩააბარა და ფული იშოვა; ვილაცამ ქართლში დიდი ბაღი გაჩეხა; კოლხეთში ჩაი და ციტრუსი აღარ არის, გურიაში, „სადაც კიოდა მგელი და ტურა, ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურა", ახლა ჩაი აღარ არის და იმ ეკალ-ბარდებში კვლავ მგელი და ტურა კივის; კაკო ყაჩაღი, რომელიც ყვარლის ტყეებიდან გამოვიდა და ნუკრიანში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, ახლა კვლავ კუდიგორის გზას დასდგომია; სტალინის მეტროპოლიტენში კი სტალინის ქონებით ჯიბეგასქელებული ლიბერალები ჩაჯდომას აღარ კადრულობენ და საკუთარი ლაინერებითა და ლიმუზინებით დაქრიან სტალინის მიერ გაჭრილ გვირაბებში და მთებს შორის გაჭრილ გზატკეცილებზე.**

გმირთა მოედანზე თბილისის სილამაზეს — თერთმეტსართულიან სახლს, რომელშიც საქართველოს საამაყო ადამიანები ცხოვრობდნენ, წინ, შუა მოედანზე, „ფალოსი" აღუმართეს მოწოდებით: ესეც თქვენ, ვისაც სტალინი გიყვართ.

ვაკის პარკის ტერიტორიაზე, რომელიც ბაგების კოლმეურნეობას ეკუთვნოდა, ქალაქის ხელისუფლებამ პარკის გაშენება ვერ შეძლო, სანამ სტალინმა არ მისცა თანხმობა. პარკმა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს და მიწა ორმაგ დაქვემდებარებაში უნდა იყოსო. წყნეთის განაშენიანების სამუშაოები და ძვირად ღირებული ჯიშებით მისი უზრუნველყოფა საქართველოს მთელ რაიონებზე და ცალკეულ საწარმოებზე გადანაწილდა, რომლებზეც კონტროლს კრემლიდან თვითონ სტალინი აწარმოებდა. წყნეთის გამწვანების საქმეში აქტიური წვლილის შეტანისთვის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა **გრიგოლ ფოფხაძემ** სტალინისგან პირადი მადლობა დაიმსახურა. ალბათ, ეს ჰქონდა ბელადს მხედველობაში, როდესაც ახალშექმნილ თბილისის ოლქის საოლქო კომიტეტის მდივნად სწორედ სტალინის წინადადებით გრიგოლ ფოფხაძე გადმოიყვანეს.

1951 წელს ლიკანში, რომანოვების სასახლეში დასასვენელად ჩამოსული სტალინი უამრავ სტუმარს იღებდა, როგორც მშობლიური საქართველოს კუთხეებიდან, ისე საბჭოთა კავშირის უშორესი რესპუბლიკებიდან. ლიკანში სტალინმა ორჯერ ჩაატარა პოლიტბიუროს სხდომა. სტუმრად იმყოფებოდნენ მასთან **მორის ტორეზი, პალმირო ტოლიატი, ენვერ ხოჯა,** აგრეთვე, უცხო ქვეყნების მწერლები და სახელმწიფო მოღვაწეები, ხელოვნების წარმომადგენლები. ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე სტალინს სთხოვეს ელექტროსადგურის აშენება, რადგან ბორჯომს ელექტროენერგია პერიოდულად მიეწოდებოდა.

სტალინმა თანხმობა მისცა და სასწრაფოდ გასცა განკარგულება პროექტირების შესახებ. ასე გაჩნდა ბორჯომთან ახლოს ჩითახევის უნიკალური ვარდნილჰესი, რომელიც დღესაც არ კარგავს თავის სამრეწველო მნიშვნელობას და მისი ძირითადი კორპუსი კი სტალინური არქიტექტურის ერთ-ერთი ნიმუშია.

სტალინს რელიგიისადმი დამოკიდებულების ორი პერიოდი ჰქონდა — ფარული და ხილული: ფარული, როდესაც **ლენინი** და **ტროცკი** თავგამოდებით ებრძოდნენ ქრისტიანობასა და ღვთისმსახურებას; მეორე პერიოდი იყო მაშინ, როდესაც ის ერთმმართველი და ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი გახდა და მასში სრულად არ მჟღავნდებოდა რელიგიური მრწამსი.

**(გაგრძელება იქნება)**

განხეთქილება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოწინააღმდეგე ძალა საერთაშორისო ფინანსისტების სახით პოლიტიკურ-ეკონომიკური სფეროს მეშვეობით პირდაპირ ერეოდა რელიგიურ ფაქტორში. წნეხში ამყოფებდა ევროპულ ინსტიტუტებს, ხელებს უგრეხდა ქვეყნებს და ყველგან ამწესებდა თავის წარმომადგენლებს. ისინიც, თავის მხრივ, უტევდნენ ათენს, რომელსაც ემუქრებოდნენ დაფინანსების შემცირებით, საკუთრების წართმევით, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიწების ჩამორთმევით და ა.შ. ათენიც იძულებული იყო, ეს ნაბიჯი გადაედგა.**

# როგორ აიძულეს საბერძნეთი, ეღიარებინა უკრაინის ე.წ. მართლმადიდებელი ეკლესია

**ამ საქმეში მთავარი როლი ითამაშა საერთაშორისო ფინანსური წრეების წარმომადგენელმა, შეთავსებით აშშ-ის ელჩმა საბერძნეთში (აგრეთვე, უკრაინული მაიდნის ერთ-ერთმა შემოქმედმა) ჯეფრი პაიეტმა. რომელი მარიონეტი პოლიტიკოსი იტყვის უარს სიამოვნებაზე, აიღოს სესხი, რომელსაც სხვა გაისტუმრებს? 2019 წლის 12 ოქტომბერს ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა სინოდის კულუარებში მიიღეს გადაწყვეტილება, დათანხმებულიყვნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ახალ უფლებას „თავისი ნება-სურვილით მიანიჭოს ავტოკეფალია". ამ კონტექსტში — მიანიჭოს დამოუკიდებლობა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, ბერძენი საეკლესიო იერარქები წნეხში მოაქციეს.**



## პროცესის ბენეფიციარები

ყურადღებას, უწინარესად, იქცევს ის ფაქტი, რომ ელადის ეკლესიის მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარება ვაშინგტონელი ლიბერალი ფინანსისტების ტიპური მეთოდით მოხდა, უფრო კონკრეტულად კი იუგოსლავიის საერთაშორისო გამოცდილებით. საბერძნეთის ეკლესიის სინოდის ოფიციალური კომუნიკეს ჩარჩოებში კონსტანტიპოლისთვის „ზეუფლებამოსილებების" გადაცემა ეკლესიის მიერ აღიარებულია, როგორც „მხოლოდ სიტუაციის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე". **როგორც სერბების დაბომბვის შემთხვევაში, აქაც „იძულებულნი იყვნენ, კანონისთვის გადაებიჯებინათ".**

ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამართლება ძალიან ცინიკურია — ეკლესიური დამოუკიდებლობის აღიარება ხდება კიევისა და მოსკოვისთვის, **„მისი განსაკუთრებული სარგებლობის გამო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და მეგობარი ეკლესიების — რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობების განსამტკიცებლად"**, განსაკუთრებით, ქვემოთ მოყვანილი ლოგიკური ჯაჭვის ფონზე.

მიმდინარე წლის 4 თებერვალს აშშ-ის გენერალური კონსული სალონიკში (სიდიდით მეორე ქალაქი საბერძნეთში) შეხვდა თესალონიკის მიტროპოლიტს. 10 თებერვალს „საბერძნეთის ავტორიტეტულმა საინფორმაციო სააგენტო „რომფეამ" გამოაქვეყნა ყალბი სტატიები, რომლებიც გაავრცელა მსოფლიო პრესამ, თითქოს უკრაინელი „რასკოლნიკები" აღიარა ათონის წმინდა მთის კინოტმა.

13 თებერვალს „რომფეას" ხელმძღვანელობა პატივით მიიღეს ამერიკის საელჩოში. 14 თებერვალს აშშ-ის გენერალური კონსული ქალაქ ქსანტიში შეხვდა ადმინისტრაციული ცენტრის **მიტროპოლიტ პანტელეიმონს.**

26 აგვისტოს აშშ-ის საელჩოს ინიციატივით, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარების საკითხი გაიტანეს ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა განსახილველად. აშშ-ის საელჩოს კი ხელმძღვანელობს უკრაინაში სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ორგანიზატორი **ჯეფრი პაიეტი.** გადაწყვეტილების მიღება გადაიდო. შემდეგ, ამჟამინდელ სხდომამდე ორი თვით ადრე, მოულოდნელად გარდაიცვალა უკრაინელი „რასკოლნიკების" ერთ-ერთი გავლენიანი მოწინააღმდეგე, მიტროპოლიტი **იეროფე.**

12 ოქტომბერს ახალი კენჭისყრით ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის გადაწყვეტილება დადებითი აღმოჩნდა. შედეგად, 19 ოქტომბერს ათონისა და სრულიად ელადის არქიეპისკოპოსი იერონიმ II ჩავიდა სალონიკში, სადაც ჯეფრი პაიეტის თანდასწრებით ღვთისმსახურება აღავლინა პატრიარქ ბართოლომეოსთან ერთად. წრე შეიკრა.

**თუ იერონიმ II ღვთისმსახურების მიმდინარეობისას დიპტიქში მოიხსენიებს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლ ეპიფანეს (უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური), მაშინ ეს, საეკლესიო კანონების მიხედვით, უკრაინის ახალი ეკლესიის აღიარებას ნიშნავს.**

**ამრიგად, ელადის ეკლესიის მღვდელმთავართა შეკრების გადაწყვეტილებაში ლაპარაკია არა დამოუკიდებელ ნაბიჯებზე, არამედ ხელოვნურ გაყოფასა და იმის დაკანონებაზე, რასაც აშშ ახორციელებდა კონსტანტინოპოლის მეშვეობით — ეს არის უკრაინელი თვითმარქვია — „რასკოლნიკების" მღვდელმთავრებად და უკრაინული მართლმადიდებლობის „ავტოკეფალიის" ფინანსისტი-ლიბერალების რუსულის ანტიპოდად ლეგიტიმიზაცია. ეს არის გეოპოლიტიკური გეგმების რეალიზაცია მაკონსოლიდირებელი ტრადიციული ფასეულობებისა და იდენტიფიკაციის გავლენის შესასუსტებლად და რუსეთისა და მის გარემოცვაში განხეთქილების შესატანად.**

ამ ფონზე პასუხი კითხვაზე — **„ვის აძლევს ხელს ახალი ერესის გაფორმება და შუღლის ჩამოგდება კიევსა და მოსკოვს შორის? — ნათელია. პირველი, რასაც დაარტყეს ფინანსისტმა-ლიბერალებმა, იყო რუსული ენა, რომლის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შედეგად დაიწყო უკრაინული ენის რეფორმა. მეორე იყო დიდ სამამულო ომში საერთო გამარჯვება, რომელიც ნაციზმის რეაბილიტაციის ლაფში ამოსვარეს უკრაინელმა ნეონაცისტებმა.**

ბერძენთა გადაწყვეტილებაში ლაპარაკია ბოლო ეტაპზე, რუსული მენტალიტეტის საბაზო საფუძველზე — მართლმადიდებლურ ფასეულობებზე.

## რატომ მაინცდამაინც ახლა?

მოწინააღმდეგე ძალა საერთაშორისო ფინანსისტების სახით პოლიტიკურ-ეკონომიკური სფეროს მეშვეობით პირდაპირ ერეოდა რელიგიურ ფაქტორში. წნეხში ამყოფებდა ევროპულ ინსტიტუტებს, ხელებს უგრეხდა ქვეყნებს და ყველგან ამწესებდა თავის წარმომადგენლებს. ისინიც, თავის მხრივ, უტევდნენ ათენს, რომელსაც ემუქრებოდნენ დაფინანსების შემცირებით, საკუთრების წართმევით, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიწების ჩამორთმევით და ა.შ. ათენიც იძულებული იყო, ეს ნაბიჯი გადაედგა.

> **ელადის ეკლესიის მღვდელმთავართა შეკრების გადაწყვეტილებაში ლაპარაკია არა დამოუკიდებელ ნაბიჯებზე, არამედ ხელოვნურ გაყოფაზე და იმის დაკანონებაზე, რასაც აშშ ახორციელებდა კონსტანტინოპოლის მეშვეობით — ეს არის უკრაინელი თვითმარქვია — «რასკოლნიკების» მღვდელმთავრებად და უკრაინული მართლმადიდებლობის «ავტოკეფალიის» ფინანსისტი-ლიბერალების რუსულის ანტიპოდად ლეგიტიმიზაცია; ეს არის გეოპოლიტიკური გეგმების რეალიზაცია მაკონსოლიდირებელი ტრადიციული ფასეულობებისა და იდენტიფიკაციის გავლენის შესასუსტებლად, რუსეთსა და მის გარემოცვაში განხეთქილების შესატანად**



ასეთი ჩარევა განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, იმიტომ, რომ სახელდობრ **აშშ-მა 1998 წლის ოქტომბერში მიიღო ე.წ. კანონი რელიგიური თავისუფლების შესახებ. ეს არის დოკუმენტი, რომლის საჯარო მიზნია „მსოფლიოს ეკლესიების დაცვა მათ საქმეებში სახელმწიფო ინსტიტუტების ჩარევისგან". მის ჩარჩოებში „დამოუკიდებელი" კომისიაც კი შეიქმნა მსოფლიოს ქვეყნებში რწმენის თავისუფლების შესახებ (USCIRE). ამ სისტემას დანიშნულებისამებრ რომ ემუშავა, ვაშინგტონს საკუთარი თავისთვის უნდა დაეწესებინა სანქციები.**

**სინამდვილეში კი ამ ინსტიტუტებს კონგრესის რეკომენდაციების მეშვეობით შირმად იყენებდნენ.** USCIRE-ს დამრღვევთა სიაში შეჰყავდა (ან გამოჰყავდა) აშშ-ის მიზნებისთვის საჭირო ქვეყნები, მათ მთავრობებს უწესებდნენ ეკონომიკურ შეზღუდვებს, რაც „რეჟიმებს" აიძულებდა, რელიგიურ კურსშიც შეეტანათ ვაშინგტონისთვის საჭირო კორექტივები.

## მთავარი მიზნები

ამჟამინდელ მოვლენებში აშშ-ის ფინანსისტების მმართველობაში მყოფთა საკვანძო როლის გასაცნობიერებლად საკმარისია ერთი ისტორიული პარალელის გავლება. ვაშინგტონის მიერ ინიცირებული ახლო აღმოსავლეთის ხელოვნურად გაყოფა, რომელიც დაიწყო 2000-იან წლებში, აშშ ფსონს დებდა არა სამხედრო თემატიკაზე (თუმცა მას შეცდომით წარმოაჩენდნენ, როგორც მთავარ ფაქტორს), არამედ რელიგიურ-პოლიტიკურ ექსტრემიზმზე. **ამერიკულმა სპეცსამსახურებმა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაწვრთნეს საჭირო რელიგიური სპეციალისტები, „გაათეთრეს" რადიკალური სექტები, შექმნეს დაფინანსების სქემები და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს სამხედრო-პოლიტიკური განხეთქილების რეალიზება. საინფორმაციო პროპაგანდის ინსტრუმენტების მეშვეობით ავრცელებდნენ დამანგრეველ იდეებს, ახლო აღმოსავლეთის „არასტაბილურობის რკალის" საფუძველი ფსევდოისლამიზმზე შენდებოდა.**

მოცემულ შემთხვევაში თეთრი სახლი იმავეს აკეთებს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, „არასტაბილურობის ჯვრის" რეალიზაცია ხდება მართლმადიდებელი სექტებისა და განხეთქილების შემომტანთა („რასკოლნიკების") მეშვეობით.

**ჯერ კიდევ 1992 წელს დასავლელი სპონსორების კარნახით უკრაინის ხელმძღვანელობამ (კრავჩუკი) განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს ფილარეტის ინიციატივას „უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის" შექმნას, რომელიც ავტოკეფალიის სტატუსის მიღების შემდეგ მოსკოვის „იურისდიქციის" გარეთ აღმოჩნდებოდა.**

**21 წლის შემდეგ (მაიდნის წინ) უკრაინული მართლმადიდებლობა ორ-ნახევარ კონფესიად გაიყო — კანონიკურ მოსკოვის საპატრიარქოდ, არაღიარებულ** ▶

განხეთქილება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვაშინგტონი საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიაზე ქვეყნის ხელისუფლების მეშვეობით ზემოქმედებდა. საბერძნეთში ეკლესია სახელმწიფო სტრუქტურაა, შესაბამისად, სახელმწიფო განსაზღვრავს, რა თანხა მისცეს ეკლესიას და ვინ დანიშნოს მიტროპოლიტების კათედრებზე.

◀ **კიევის საპატრიარქოდ და უკრაინის თვითგამოცხადებულ მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ მცირე ეკლესიად. 2018 წელს ბოლო ორი კატეგორია ძალით გააერთიანეს და არაღიარებული კიევის საპატრიარქოსა და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ნაზავს უწოდეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, ამის შემდეგ კიევს გადასცეს ტომოსი უკრაინის ახალგამომცხვარ ფსევდოეკლესიაზე კონსტანტინოპოლის კონტროლის დაწესების შესახებ. ამის შემდეგ აქცენტი გადავიდა ბერძნებზე.**

პოლიტიკური ანგაჟირებულობის თვალსაზრისით, აგრეთვე, დასავლურ სისტემაში ჩართულობის გამო, ელადის მართლმადიდებელი ეკლესია გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე კონსტანტინოპოლის. ჯერ კიდევ 2004 წელს, „ახალ ტერიტორიებზე“ მღვდელმთავრების დანიშვნის საკითხზე კამათისას, საბერძნეთმა „კონსტანტინოპოლელი მეგობრების“ ზემოქმედებით ეს უფლება ბართოლომეოსს დაუთმო. გარდა ამისა, საბერძნეთი ევროკავშირის ერთ-ერთი პრობლემური ეკონომიკაა. და ეს ფაქტი საკვანძოა.

**ვაშინგტონი საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიაზე ქვეყნის ხელისუფლების მეშვეობით ზემოქმედებდა. საბერძნეთში ეკლესია სახელმწიფო სტრუქტურაა, შესაბამისად, სახელმწიფო განსაზღვრავს, რა თანხა მისცეს ეკლესიას და ვინ დანიშნოს მიტროპოლიტების კათედრებზე.**

ამერიკის ტრანსნაციონალურმა ელიტებმა — ბანკებმა, ფონდებმა და ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა, რომლებმაც 2008 წელს მსოფლიო კრიზისი მოაწყვეს გაკოტრებულთა აქციების შესასყიდად, ჯერ კიდევ იმხანად აამოქმედეს ვაშინგტონის ტოტალური კონტროლი ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოზე. ამ გეგმის რეალიზაცია დაიწყო ევროს ზონაში არასტაბილურობის გამოწვევით.

ბანკებმა არაერთნაირად დაიწყეს ევროპის ქვეყნების „დახმარება“ კრიზისის დასაძლევად. **ბანკების საერთაშორისო კონსორციუმმა საბერძნეთს მაქსიმალურად მიმზიდველი კრედიტები გამოუყო. და, რადგან არც ერთი მარიონეტი პოლიტიკოსი უარს არ იტყვის სიამოვნებაზე, აიღოს ვალი, რომელსაც სხვა გაისტუმრებს, საქმე დაიძრა. 2008-2009 წლებში მსოფლიო კრიზისის ფონზე ათენის გარშემო დაგებული ხაფანგი დაიხურა, სახელმწიფო ვალმა მოიმატა 80 მლრდ ევროთი, რაც მშპ-ს 30%-ია.**

იმ ფაქტმა, რომ საბერძნეთისთვის ფულის გამოყოფა კრიზისამდე დაიწყო, ხელისუფლებისთვის ბიუჯეტის შემცირება შეუძლებლად აქცია იმპიჩმენტის მიღების საფრთხის გამო, ამიტომ საბერძნეთის ხელისუფლებამ სულ უფრო დაიწყო ვალების მარყუჟში თავის გაყოფა. ძალიან მალე ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 13,6% შეადგინა, ორი წლის შემდეგ კი 11-მილიონიანი მოსახლეობის მქონე საბერძნეთის ვალმა 350 მლრდ-ს გადააჭარბა.

სწორედ ეს ვითარება არის ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის კაპიტულაციის მიზეზი. **სახელმწიფო დეპარტამენტის ემისრები, რომლებიც საკვანძო გადაწყვეტილებების წინ რეგულარულად სტუმრობენ საბერძნეთს, ათონის მთას და კონსტანტინოპოლს, მხოლოდ ინსტრუმენტები არიან პოლიტიკოსებსა და იერარქებზე ზემოქმედებისთვის, მთავარი — ეს არის ვალების მარყუჟი.**

საბერძნეთში ეკლესია გამოყოფილი არ არის სახელმწიფოსგან. ეპარქიებში მღვდელმთავრებს სახელმწიფო ნიშნავს. ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის არჩეული მეთაურიც 5 დღის განმავლობაში უნდა აღიაროს საბერძნეთის პრეზიდენტმა.

**იმის გათვალისწინებით, რომ 2010 წლიდან საბერძნეთის ეკონომიკა ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, შეიძლება საკითხი მკაფიოდ დაისვას: „თქვენს ვალს არავინ გამოისყიდის, სანამ არ გასცემს აქტივებს“, შემდეგ კი ყველაფერი ხდება კონცეფციის მიხედვით — „გააკეთეთ ის, რასაც გეტყვით“. მოქმედების ეს ხაზი მკაფიოდ ჩანს.**

მარტივად რომ ვთქვათ, საბერძნეთმა გაკოტრება თავიდან აიცილა მხოლოდ ფინანსური დილერის (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების) ახალი „დოზების“ წყალობით და ეს მოხდა ბართოლომეოსის უზენაესობის აღიარების სანაცვლოდ.

**Regnum.ru-ზე**
**გამოქვეყნებული რუსლან ხუბიევის მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



**21 წლის შემდეგ (მაიდნის წინ) უკრაინული მართლმადიდებლობა ორ-ნახევარ კონფესიად გაიყო — კანონიკურ მოსკოვის საპატრიარქოდ, არაღიარებულ კიევის საპატრიარქოდ და უკრაინის თვითგამოცხადებულ მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ მცირე ეკლესიად. 2018 წელს ბოლო ორი კატეგორია ძალით გააერთიანეს და არაღიარებული კიევის საპატრიარქოსა და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ნაზავს უწოდეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია. ამის შემდეგ კიევს გადასცეს ტომოსი უკრაინის ახალგამომცხვარ ფსევდოეკლესიაზე კონსტანტინოპოლის კონტროლის დაწესების შესახებ. ამის შემდეგ აქცენტი გადავიდა ბერძნებზე**



**P.S.** ელადის ეკლესიამ დიპტიქში (მოსახსენიებელთა ჩამონათვალი) შეიტანა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის — ეპიფანეს სახელი. ამრიგად, ბერძნულმა ეკლესიამ საბოლოოდ აღიარა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია გადაწყვეტს ევქარისტულ ურთიერთობას (აღიარებას) იმ იერარქებთან, რომლებიც აღიარებენ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას.

„რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი უფლებამოსილებას ანიჭებს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს, შეწყვიტოს ათენისა და სრულიად ელადის არქიეპისკოპოსის მოხსენიება დიპტიქში, თუკი ელადის ეკლესიის წინამძღოლი ღვთისმსახურებისას მოიხსენიებს უკრაინელ განხეთქილების შემომტანთა („რასკოლნიკების“) დაჯგუფების მეთაურს ან მისი მოქმედება მიმართული იქნება უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილების შეტანისკენ, — განაცხადა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა ვლადიმერ ლეგოიდამ. კიფირის მიტროპოლიტ სერაფიმეს განცხადებით, არც ერთი ადგილობრივი ეკლესია არ აღიარებს უკრაინის ე.წ. მართლმადიდებელ ეკლესიას და უკრაინაში ერთადერთ კანონიკურ ეკლესიად აღიარებულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც ხელმძღვანელობს კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი ონოფრე.



# სულ უფრო მეტი ქვეყანა ქმნის პლატფორმას ოქროთი ვაჭრობისთვის

## შესაძლოა, შეიქმნას ახალი კრიპტოვალუტა, რომელიც ოქროზე იქნება ორიენტირებული

**სულ უფრო მეტ ქვეყანას სურს, ივაჭროს ოქროთი. პირველი, ვინც ამ მიმართულებით გადადგა ნაბიჯი, იყო ჩინეთი, რომელმაც შანხაის ოქროს ბირჟაზე ვაჭრობა გამართა. ჩინეთს სხვა ქვეყნებმაც მიბაძეს.**

რუსეთმა, რომელიც ბოლო წლებში ძვირფასი ლითონების ერთ-ერთი დიდი შემსყიდველია, მოსკოვის ბირჟაზე ფიუჩერსებით ვაჭრობა დაიწყო ოქროზე. მოგვიანებით რუსეთმა და ჩინეთმა განაცხადეს, რომ ხსნიან ბრიქსის (გაერთიანება, რომელშიც შედიან: ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთი აფრიკა) ოქროს ბირჟას, რათა დაეხმარონ ალიანსის სხვა წევრებს მეტი ძვირფასი ლითონის შეძენაში.

ამას მოჰყვა ინდოეთის განცხადება, რომ ქვეყანაში შეიქმნება ოქროს სპოტური (გარიგებების) ბირჟა, შემდეგ კი გაერთიანებულმა არაბულმა საამიროებმა განაცხადა, რომ ისიც შექმნის პლატფორმას ფიზიკური ოქროთი ვაჭრობისთვის.

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ფასწარმოქმნა შეიცვლება, მისი ცენტრი კი იქნება შანხაის ბირჟა, რომელიც შეცვლის ნიუ-იორკის სასაქონლო და ლონდონის ბირჟებს.

ჩინეთი, რუსეთი და სხვა ქვეყნები დაიღალნენ იმით, რომ მთავარ ძვირფას ლითონზე მსოფლიო ფასს განსაზღვრავდა რამდენიმე ფიზიკური პირი ლონდონში.

**გაერთიანებული არაბული საამიროების გადაწყვეტილება პლატფორმის ამოქმედების შესახებ ნაწილია ფართო პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია იუველირული ნაკეთობებისა და ოქროთი ვაჭრობაში ქვეყნის, როგორც გლობალური ცენტრის, პოზიციების გამყარებაზე.**

საინტერესოა, როგორ იმუშავებს ამდენი პლატფორმა ერთმანეთთან, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ორიენტირებულია თავის ვალუტაზე. შესაძლოა, შეიქმნას კრიპტოვალუტა, რომელიც ორიენტირებული იქნება ოქროზე.

**ნებისმიერ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ცვლილებები კარგს არაფერს უქადის ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟას, ლონდონის ბირჟასა და დასავლურ ბანკებს.**

შეიძლება ისიც ითქვას, რომ ყველა ნაბიჯი, მიმართული ძვირფასი ლითონების ბაზრის შესაცვლელად, აგრეთვე, ზოგიერთი ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ ბოლო ხანს ოქროს აქტიური შესყიდვა აშკარა მისწრაფებაა იმისკენ, რომ თავი დააღწიონ დოლარის სისტემას.

ბოლო პერიოდში ცენტრალური ბანკების სარეზერვო სისტემებში ოქროს მარაგმა მნიშვნელოვნად მოიმატა, ამერიკული ტრეჟერისებისა (სავალო ვალდებულებები) კი მცირდება.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## უკრაინაში დააპატიმრეს პედოფილი მწვრთნელი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იმალებოდა

**კიევში პოლიციამ დააკავა მინიფეხბურთის მწვრთნელი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ემალებოდა სამართალდამცავ ორგანოებს არასრულწლოვანებზე სექსუალური ძალადობის საქმის გამო. ამას იუწყება უკრაინის დედაქალაქის პოლიციის პრესსამსახური.**

ამ ხნის განმავლობაში ეს პედოფილი კიევსა და ოლქში სხვადასხვა მისამართზე ცხოვრობდა, სხვადასხვა გამოგონილი გვარ-სახელით.

„2015 წლის დეკემბრის ბოლოს იგი (მწვრთნელი) თავის არასრულწლოვან აღსაზრდელებთან ერთად გაემგზავრა ლვოვში შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. დაზარალებული ბიჭის მონათხრობით, მწვრთნელი ძალადობდა მასზე სასტუმროს ნომერში“, — განაცხადეს პრესსამსახურში.

იუწყებიან, აგრეთვე, რომ ძალადობის აქტის მოწმე არის კიდევ ერთი ყმაწვილი, რომელიც იმ მომენტში იმავე ოთახში იმყოფებოდა. დაკავებულს დაპატიმრების ნაცვლად მიუსაჯეს გირაოს გადახდა 150 ათასი გრივნის ოდენობით.



## კორეაში იპოვეს მანიაკი, რომელმაც 30 წლის წინათ 10 ქალი მოკლა

**მაგრამ ვერ სჯიან.**

**„ხვასონის სერიული მკვლელი“ 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე ატერორებდა ადამიანებს, მაგრამ მისი ვინაობის დადგენა მხოლოდ ახლახან შეძლეს. იმის გამო, რომ ხანგრძლივობის ყველა ვადა გასულია, მას ვერ სჯიან, — იუწყება Chosun Ibo.**

მანიაკის „ანგარიშზე“ 10 ქალის სიცოცხლეა. მსხვერპლთა ასაკი 14-დან 71 წლამდეა. სამართალდამცველთა განცხადებით, ის, ვისაც ასე დიდხანს ეძებდნენ, დიდი ხანია ციხეში ზის.

გაირკვა, რომ ბოროტმოქმედმა ერთი ვადა უკვე მოიხადა. 1994 წელს იგი მსჯავრდადებული იყო ცოლის დის გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის. დადგენილია, რომ „ხვასონის მკვლელი“ თავის ყველა მსხვერპლს აუპატიურებდა და მათივე კოლგოტებით ახრჩობდა.

გახმაურებული საქმეები წლების განმავლობაში მოსვენებას უკარგავდა სამართალდამცველ ორგანოებსა და მოკლულთა ჭირისუფლებს. პოლიციამ ისიც კი განაცხადა, რომ ვინც ბოროტმოქმედის დაკავებაში დაეხმარებოდა, საკმაოდ დიდი თანხით დაასაჩუქრებდა, მაგრამ არც ამან უშველა.

ამასობაში, გამოძიების პერიპეტიების მიხედვით, გადაიღეს ფილმი, რომელიც სამხრეთ კორეის კინოისტორიაში ყველაზე შემოსავლიანი გახდა. ფილმის სახელწოდება იყო „მკვლელობის გამოძიება“, ეკრანზე გამოვიდა 2003 წელს.

როგორც ჩანს, ახალ ეჭვმიტანილს ვერ დასჯიან: სამხრეთ კორეაში მკვლელობის ხანგრძლივობის ვადა 15 წელიწადს შეადგენდა. ეს სასჯელი 2007 წლამდე ჩადენილ დანაშაულს შეეხებოდა, 2015 წელს გაუქმდა. სერიული მკვლელის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხანგრძლივობის ვადა 2006 წელს ამოიწურა.

ყოფილ პატიმარს, რომელიც სერიული მკვლელობის ბრალდებით 35 წლის განმავლობაში ციხეში იხდიდა სასჯელს, საკომპენსაციოდ მილიონ აშშ დოლარს გადაუხდიან.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ერთნაირსქესიანთა სიყვარულის ანბანი



**პირველი წიგნი, რომელსაც ანბანზე ადრე ბევრი ამერიკელი ბავშვი ხელში იღებს, ერთნაირსქესიანთა თავისებური ანბანია. გათვალისწინებულია იგი ორი წლისა და მეტი ასაკის ბავშვებისთვის. წიგნის სიუჟეტის მიხედვით, მამა ეყრება დედას იმიტომ, რომ შეუყვარდება შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი. მამას შეუყვარდება(!).**

ეს სახელმძღვანელო ასწავლის პაწიებს, როგორ ჩაიცვას ბიჭმა გოგოს ტანსაცმელი და გოგომ — ბიჭისა, თუ ამის სურვილი აქვს. ოჯახი კი დაეხმარება, ფსიქოლოგიურად კი არა, მედიკამენტებით. 6 წლის ბიჭუნას — ჯოზის მშობლები ჰორმონული პრეპარატებით „მკურნალობენ“.

ყმაწვილი კოდი ტაბმანი ჯერჯერობით წამლებს არ ხმარობს, მხოლოდ კაბებითა და პარიკებით იფარგლება, მაგრამ გამოსაშვებ საღამოზე ყოველგვარი ირონიის გარეშე იგი მეჯლისის დედოფლად აღიარეს.

„ჩვენ ბავშვებს ნებას არ ვრთავთ, ატარონ მანქანა, დალიონ ალკოჰოლი, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში — ჯერ კიდევ პატარები არიან, მაგრამ სქესის შეცვლის საკითხი თვითონ უნდა გადაწყვიტონ“, — განაცხადა წყნარი ოკეანის იურიდიული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა **კევინ სნაიდერმა.**

ლგბტ-თემის უფლებებს კალიფორნიაში კანონები იცავს. მათგან ერთ-ერთი — AB1266 ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვარს და ნებას რთავს ბიჭებს, შევიდნენ გოგოების საპირფარეშოებსა და გასახდელებში, გოგონებს — ბიჭებისაში: საკმარისია, ბავშვმა განაცხადოს, რომ საწინააღმდეგო სქესის ადამიანად გრძნობს თავს. ტრანსსექსუალების აქტივის კრებაზე ამ კანონს მხურვალედ დაუჭირეს მხარი.

„კალიფორნიის შტატში გვსურს, დარწმუნებულები ვიყოთ, რომ სკოლებს გათვითცნობიერებული აქვთ თავიანთი ვალდებულებანი ტრანსსექსუალური ახალგაზრდობის წინაშე. მიმაჩნია, რომ ეს დაგვეხმარება, შევინარჩუნოთ ყველა მოსწავლის პირადი სივრცე“, — განაცხადა ტრანსსექსუალების სამართლებრივი ცენტრის ხელმძღვანელმა **მეისონ დევისმა.**



ნორმალური ორიენტაციის მოსწავლეები კი ამტკიცებენ, რომ სწორედ ასეთი დამოკიდებულება მათ პირად სივრცეში შეჭრაა. ასეთია უმრავლესობის აზრი.

„ეს გამოიწვევს სექსუალური ძალადობის დაცინვის შემთხვევების ზრდას, რაც ისედაც საკმაო რაოდენობით არის ჩვენ სკოლებში“, — აღნიშნა ერთმა მოსწავლე გოგონამ.

ოჯახებმა შეაგროვეს 620 ათასი ხელმოწერა, რათა კანონი ტუალეტებში შესვლის უფლების შესახებ რეფერენდუმზე გაეტანათ.

ქალაქ საკრამენტოდან სანფრანცისკოში ჩასასვლელად საათ-ნახევარია საჭირო. ადგილობრივი კაპიტოლიუმი — ვაშინგტონის კაპიტოლიუმის რეპლიკა — ის ღირსშესანიშნაობაა, რომელიც ტურისტებს იზიდავს, მაგრამ საკრამენტო დღეს კიდევ იმით არის ცნობილი, რომ იგი, კალიფორნიის სიდიდით მეექვსე ქალაქი, ლგბტ ღირებულებებისთვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში დგას. ამიტომ, რეფერენდუმზე შტატში მცხოვრებთა უმრავლესობამ ზემოთ აღნიშნულ კანონს მხარი რომც არ დაუჭიროს, ლგბტ-საზოგადოება თავისას მაინც გაიტანს სასამართლოს მეშვეობით.

„ამ ადამიანების ერთი მცირე ჯგუფი ყველა ჩვენს კანონს თავის შეხედულებისამებრ ცვლის. ეს ჩვენ გვთრგუნავს. მშობლებს უფლება წართმეული გვაქვს. ჩვენი ბავშვები სახელმწიფო სკოლებში არ წავლენ. გვინდა, რომ ჩვენმა ბავშვებმა შინ ისწავლონ, რადგან აქ შეგვიძლია მათი გაკონტროლება“, — აღშფოთებულია **ნადია ოტერსტედი.**

ამერიკაში ლგბტ ან კარგია, ან — არაფერი.

ივნისში ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებათა ეროვნული ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ბრაიან ბრაუნი** მოსკოვში ჩავიდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებთან გამოცდილების გასაზიარებლად. როცა სამშობლოში დაბრუნდა, ლგბტ-თემმა ბრალი დასდო, რომ მან დააზარალა ამერიკის ინტერესები და დაარღვია 1799 წლის ლოგანის აქტი, რომელიც კრძალავს კერძო დიპლომატიას უცხოეთის სახელმწიფოსთან. აღშფოთებულებმა მიმართეს გენერალურ პროკურორს და სახელმწიფო დეპარტამენტს.

„ბავშვების უბიწოების დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს მოვალეობა უნდა იყოს. ამერიკაში ადამიანების უმეტესობას უწინდებურად სჯერა, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირია, მაგრამ სპეციალური ტაქტიკის გამოყენებით — სასამართლო სარჩელის წარდგენით, დაშინებით ლგბტ აქტივისტები ცდილობენ, უმრავლესობას პირში ბურთი ჩასტენონ, აიძულონ დადუმდეს“, — ხაზის გაუსვა ბრაუნმა.

სანფრანცისკოში ჰომოსექსუალთა აშშ-ში პირველი კვარტლის თავზე აღმართულია მამათმავალთა უზარმაზარი დროშა. ბარები, რესტორნები, მაღაზიები ყოველდღიური მოხმარების საქონლით, მაგრამ სპეციფიკური აქცენტებით, სექსუალურ მიდრეკილებას არ მალავენ, პირიქით — თავს იწონებენ. მამაკაცები ქალის ჩვეულებრივ კაბებს ექსტრავაგანტურ გამჭვირვალე სამოსს ამჯობინებენ.

დაძალებით არაფერი ხდება, მაგრამ ყოველწლიურ გეი-აღლუმებში სახელმწიფო ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა. განაწესის მიხედვით, ლგბტ კოლონისთვის უნდა გამოჰყონ რამდენიმე ადამიანი, კოლექტივის შემადგენლობა ასი პროცენტით ტრადიციული შეხედულებების რომც იყოს.

შრომით მოწყობაში, რა თქმა უნდა, დადგენილია კვოტები, მათ შორის, აფროამერიკელების მიმართაც, მაგრამ შავკანიანთა უფლებები არის ის უფლებები, რომელთა მიმართაც ჰომოსექსუალების მოთხოვნებს საერთო არაფერი აქვთ. იურისტი კევინ სნაიდერი აღნიშნავს, რომ ეს პრინციპი საგანგებო და შეგნებული ჩანაცვლებაა.

„განსხვავებულია დისკრიმინაცია რასობრივი ნიშნითა და სექსუალური ორიენტაციით. ორიენტაცია არჩევანია: ირჩევთ, ვისთან ერთად ჩაწვეთ ლოგინში, მაგრამ შენ არ შეგიძლია, აირჩიო კანის ფერი ან ეროვნება. ეს სრულიად განსხვავებული რამ არის“, — განგვიმარტავს სნაიდერი.

„ლგბტ-ს, რა თქმა უნდა, უზარმაზარი პოლიტიკური და ფინანსური რესურსი გააჩნია. დაიწყეს სანფრანცისკოდან, შემდეგ გადაერთნენ შტატსა და ქვეყანაზე, ამჟამად ცდილობენ, მთელი მსოფლიო ხელთ იგდონ. იმ ქვეყნებს კი, რომლებიც ტრადიციულ ღირებულებებს იცავენ, ობსტრუქციას უწყობენ“, — თქვა ოჯახის დაცვის მოძრაობის „გადავარჩინოთ კალიფორნიას“ ლიდერმა ლენდი თომასონმა.

დღეისთვის აშშ-ის 50 შტატიდან 14-ში უკვე ოფიციალურად არეგისტრირებენ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას. მამათმავლები მეტს მოითხოვენ — იბრძვიან იმისთვის, რომ ეკლესიამ ჯვრისწერის ნება დართოს.

**ქალბატონმა კალიულაიდმა წელს ორჯერ მოგვიწოდა, არავითარი მოლაპარაკებები და ურთიერთობა არ გვქონოდა რუსეთთან, რათა მისი „აგრესიული ზრახვებისთვის“ საკადრისი პასუხი გაგვეცა(?!). ჩვენმა ხელისუფლებამ კი ეს მოწოდება აღიქვა, როგორც „მოწინავე ქვეყნების მხარდაჭერა“.**

უცხოეთი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ასეთი მიდგომა ჩვენც არ გვაწყენდა, მაგრამ ევროპას რა ვუთხრათ?!

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოხელეებს დაავალა, იზრუნონ ახალგაზრდობის სულიერ და ზნეობრივ აღზრდაზე. მასწავლებლებისა და აღმზრდელების წახალისების გარდა, ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, ჩამოაყალიბოს ახალგაზრდობისათვის საინტერესო თემების ინტერნეტში გავრცელების „საკოორდინაციო ცენტრი“.**

პუტინმა, აგრეთვე, დაავალა, გამოიკვლიონ გლობალური ქსელის რუსეთის სეგმენტში მომავალი თაობის სამომხმარებლო უპირატესობანი, ქცევის თავისებურებანი. დოკუმენტში მითითებულია, რომ ამ გადაწყვეტილების მიზანია სახელმწიფო ორგანოების ინფორმირება, თუ როგორ მოქმედებს საინფორმაციო სივრცე ახალგაზრდობის შეხედულებათა ფორმირებაზე.

# ლიბერალების ნამდვილი სახე პოლონეთის მაგალითზე

**ისინი აღაშფოთა არასრულწლოვანთათვის სქესობრივი განათლების აკრძალვამ. პოლონელმა პარლამენტარებმა ხმა მისცეს კანონპროექტს, რომელიც მიმართულია პედოფილიასთან ბრძოლისა და არასრულწლოვანებთან სექსუალური ურთიერთობის პროპაგანდის წინააღმდეგ.**



კანონის ნორმებს შორის ერთ-ერთი კრძალავს სექსუალური განათლების გაკვეთილების ჩატარებას სკოლებში, რადგან, როგორც კანონის ინიციატორები მიიჩნევენ, ასეთი გაკვეთილები „მოსწავლეებს სექსუალური აქტიურობისკენ უბიძგებს“.

მასწავლებლები, რომლებიც სექსუალური განათლების გაკვეთილებს მაინც ჩაატარებენ, დაისჯებიან ხუთწლიანი პატიმრობით.

აიკრძალება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც.

**ამ გაბედულმა ნაბიჯმა აღაშფოთა პოლონეთის საზოგადოების, ასევე, სრულიად ევროპის ლიბერალური ნაწილი. ვარშავაში, პარლამენტის შენობის წინ გაიმართა საპროტესტო მანიფესტაცია. საპროტესტო გამოსვლებს გეგმავენ პოლონეთის სხვა ქალაქებშიც.**

წლევანდელ ოქტომბერში გამართულ არჩევნებში კონსერვატიულმა პარტიამ „სამართალი და სამართლიანობა“ რეკორდული მაჩვენებლებით მოიგო და მოიპოვა უმრავლესობა სეიმში — ქვეყნის ქვედა პარლამენტი. ეს შედეგი კათოლიკური ეკლესიის მრევლის ხმებითაც იქნა მოპოვებული.

პოლონეთში ეკლესია ინარჩუნებს თავის გავლენას საზოგადოებრივ შეგნებაზე. მას კვლავ მხარს უჭერს სოციუმის სხვადასხვა ფენა.

**მოდი, ამაში მივბაძოთ ევროპას, რაღა მაინცდამაინც ყველა უკუღმართობაში უნდა შევეჯიბროთ?!**



# მაკრონი იმედოვნებს, რომ «ნორმანდიული ოთხეული» უახლოეს პერიოდში შეიკრიბება

**ეს განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გერმანიის კანცლერთან ანგელა მერკელთან მოლაპარაკებისას. საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერების შეხვედრა 17 ოქტომბერს გაიმართა.**

მასმედია იუწყება, რომ უკრაინაში შექმნილი მდგომარეობა მათი საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. მინსკის შეთანხმებების რეალიზაციის საქმეში ორივე მხარეს პროგრესის იმედი აქვს.

ამის შემდეგ, 19 ოქტომბერს უკვე მერკელი ესაუბრა პუტინს ტელეფონით „ნორმანდიული ოთხეულის“ შეხვედრის გამართვაზე უახლოეს მომავალში.

რუსეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ შეხვედრის გამართვას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუკი ის კონკრეტული შეთანხმებების მიღწევით დასრულდება, მაგრამ მანამდე უკვე არსებული შეთანხმებების შესრულება უნდა დაიწყოს.

# ევროპელი «კეთილისმყოფელების» ორპირობა და ჩვენი ხელისუფლების სიბეცე

**ესტონეთის პრეზიდენტმა კერსტი კალიულაიდმა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მიიწვია ფინეთ-უგორის ხალხთა კონგრესზე, რომელიც ქალაქ ტარტუში გაიმართება. ეს ხელს შეუწყობს რუსეთთან ურთიერთობის განვითარებას, — განაცხადა ესტონელმა პოლიტოლოგმა ედუარდ ტონიმ „სპუტნიკ ესტონიასთან“ საუბარში.**



მან აღნიშნა, რომ პუტინი მიიწვიეს ჯერ კიდევ აპრილში, როცა ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელები ერთმანეთს მოსკოვში შეხვდნენ, ამიტომ, როცა ღონისძიებაზე კიდევ ორი ქვეყნის პრეზიდენტების მიწვევის დრო დადგა, „ლოგიკური იყო სიაში პუტინის ჩაწერა“. ეს მხოლოდ ფორმალობა არ იყო, რადგან კალიულაიდის ვიზიტმა მოსკოვში დაგვანახვა, რომ ესტონეთი განსხვავდება ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნებისა და პოლონეთისგან, რომელთა ხელმძღვანელები გამორიცხავენ რუსეთის პრეზიდენტთან უშუალო კონტაქტს.

„ესტონეთს მაინც სურს, რუსეთთან იქონიოს უფრო განვითარებული ეკონომიკური, კულტურული და სპორტული ურთიერთობა, და ეს შესანიშნავია. უნდა გვახსოვდეს ეკონომიკური სარგებელი. მაგალითად, იყო რუსეთის მეზობლად და მასთან არ ივაჭრო, ბიზნესს არ მისდიო, სისულელე იქნება. მნიშვნელოვანია ტურიზმიც, რათა მეზობელი ქვეყნების მოსახლეობა არ გაუცხოვდეს და ყოველთვის ესმოდეს ერთმანეთის“, — ხაზი გაუსვა პოლიტოლოგმა.

ტონმა თქვა, აგრეთვე, რომ ესტონეთის პრეზიდენტი მხარს უჭერს გერმანიასა და საფრანგეთს, რომლებიც „ქადაგებენ ფართო ურთიერთობას რუსეთთან და სურთ, უარი თქვან სანქციებზე“.

**მკითხველს შევახსენებთ, რომ ქალბატონმა კალიულაიდმა წელს ორჯერ მოგვიწოდა, არავითარი მოლაპარაკებები და ურთიერთობა არ გვქონოდა რუსეთთან, რათა მისი „აგრესიული ზრახვებისთვის“ საკადრისი პასუხი გაგვეცა(?!). ჩვენმა ხელისუფლებამ კი ეს მოწოდება აღიქვა, როგორც „მოწინავე ქვეყნების მხარდაჭერა“.**



# გრცხვენოდეთ!

რეპლიკა

**ქალბატონ მაია ცქიტიშვილის უწყება საგურამოში მოასფალტებული გზის კეთილმოწყობის სამუშაოებს აწარმოებს. ძალიან კარგია, მაგრამ რატომღაც მუშახელი და ტექნიკა მხოლოდ ავდარში გამოჩნდება, დარში არავინ მუშაობს.**

ეს სამუშაოები, წელიწადზე მეტია, გრძელდება, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა, ორ თვეში დასრულებულიყო.

თუ ასე უპასუხისმგებლოდ მუშაობს სამინისტრო სხვა ობიექტებზეც, კარგად გვქონია საქმე. გაჭიანურებული მშენებლობა ყოველთვის იწვევს გაძვირებას, უარესდება ხარისხი. ნუთუ ქალბატონმა ცქიტიშვილმა ეს არ იცის?! ასე უდიერად უნდა მოექცეს ქვეყნის ბიუჯეტს, რომელსაც ჩვენ, მოსახლეობა, ვავსებთ? გრცხვენოდეთ!

ზის მრგვალ სამთავრობო მაგიდასთან განაბული მშვენიერი ქალბატონი ნაპატიები დედალი ხოხობივით, ჯოკონდას ამოუცნობი ღიმილით. განა არ დადგა გამოუცდელი, არაპროფესიონალი ხელმძღვანელი კადრების შეცვლის დრო?

დადგა, როგორ არა, მაგრამ ვინ არის განმკითხავი?

**ომარ მარგველაშვილი**

მწვანე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს ის ძალ-ღონე ჰავისა და მიწისა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის მოცემის მრავალგვარიანობას, და რამოდენადაც ეს მრავალგვარიანობა დიდია, იმდენად მდიდარია ქვეყანა. ამ საბუთით ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადგან ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს სიმდიდრეს იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება“.**

# არავინ არაფერს გვიკეთებს ისე, თუ თვითონ დიდი სარგებელი არ ნახა

## «წუთი-სოფლის სუფრა ჩვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს»

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

ერთგან ილია ამბობს: „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმეო“, მამულისათვის ბრძოლა მისთვის სასამართლოში შეტანილი საკუთარი საჩივარია, მამულის სიძლიერე კი — მის ვენახს შემორტყმული ტყრუშული ღობეო; რაც შეეხება მამულიშვილობას — ეს მხოლოდ მხვნელისა და მთესველის სახელიღააო.

დღეს რას იტყოდა ერის მამა, როცა არც მხვნელი გვყავს და არც მთესველი, როცა უზარმაზარ სახნავსათეს ფართობებზე აქა-იქ თუა კაცის ხელი შევლებული?

ან ძლიერთა ამა ქვეყნისა, რომელთაც სახეზე დიდი ასოებით აწერიათ „გავძეხი“, მამულის ხსენებაზე, უპირველესად, რა გაუელვებთ გონებაში?

სანუგეშო ვერაფერი?

სწორედ ეს არის ჩვენი უბედურება.

და კიდევ ის, რომ „სულ სხვის იმედითა ვცხოვრობთ, სულ სხვისგან მოველით შველას და ჩვენ თითონ-კი ხელს არა ვძრავთ, რომ თავს ვუშველოთ“.

სამადლოდ გაწვდილი ხელის შემყურეს კი, შესაძლია, გამოხრული ძვალიც არ ერგოს.

ილიას ქვეყნის პირველ ქვაკუთხედად გლეხობა, მუშა ხალხი მიაჩნია, „ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვადაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა“. ეს ადამიანები არიან ჩვენი მუხის — საქართველოს ფესვები, „დეე კენწეროები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცვდეს, ყვავილები, ყვავილები შემოაჭკნეს, — არა უშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოელიოს ფესვებს, — ხელახლა შეიმოსება ფოთლით და ყვავილით და უხვად გამოიღებს ნაყოფს“.

ხე არ კვდება, თუ ფესვები მაგარი და ღონიერი აქვსო.

ამ ლოგიკით დღევანდელ საქართველოს ფესვებს, კარგა ხანია, ძალა გამოცლილი აქვს, რადგან ერთ დროს მიწათმოქმედი ჩვენი ქვეყნის სოფლებს მოსახლეობა ტოვებს — ადამიანები გაურბიან სიდუხჭირეს, გაჭირვებას, ხელმოკლეობას...

თუმცა არის სოფლის განვითარების პროგრამები, რაღაც ხელშეწყობის პროექტები... როგორც ჩანს, სოფლის მეურნეობა ჩვენში ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას და მის განვითარებას ბევრი მიზეზი აბრკოლებს — ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიკური და ხელისუფლების მცდელობები არ არის საკმარისი გლეხის გასაღონიერებლად.

2017 წლის 16 მარტს საქართველოს მთავრობამ სოფლის განვითარების სტრატეგია წარადგინა, რომელიც 2017-2020 წლებში სოფლის განვითარების საკვანძო საკითხებს განსაზღვრავს. როგორც მაშინ გვითხრეს, სოფლის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს საქართველოს სოფლის განვითარების ახალ ხედვას, რომელიც საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას ეყრდნობა და სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, სამოქალაქო ჩართულობას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასო. შედეგად, ევროკავშირის ხელშეწყობით სოფლად სიღარიბე შემცირდება და სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური შესაძლებლობები გაიზრდებაო.

ჰოდა, თუ გლეხები „ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს, ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით და მოაქვს ნაყოფი“, მაშინ მეტი ძალისხმევაა საჭირო სწორი ნაბიჯების მისაგნებად და არა იმის ლოდინი, სამადლოდ ვინმე რას გვიწყალობებს.

თუმცა რა სამადლოდ?! ფაქტია, რომ არავინ არაფერს გვიკეთებს ისე, თუ თვითონ დიდი სარგებელი არ ნახა...

მოვუსმინოთ ისევ ილიას:



*** „არ არის არც ერთი იმისთანა გაჭირება, რომელსაც ცხოვრება კარზედ მოგვაყენებს ხოლმე, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ მაშინვე თვალი არ გაახილოს, იმისათვის კი არა, რომ თვითონ თავის თაოსნობასა და მხნეობაში მოიპოვოს ღონე ხსნისა, არამედ იმისათვის, რომ თავის გარეთ, ხელ-ფეხ-გაუნძრევლად, გაურჯელად — სამადლოდ ხელი ვისმე გამოაწვდევინოს საშველად. თუ ეს სამადლოდ გამოწვდილი ხელი იპოვა, ხომ რა კარგი, თუ არა-და, დაიკრებს ხოლმე გულზედ ხელებს და წუწუნებს, ვაი რა მეშველებაო, არავინ არა მშველისო“** *(„თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“. 1886 წ. 8 აპრილი).*

* „ამისთანა საკუთარი სულმოკლეობა, მარტო სხვის სულგრძელობაზედ დამყარებული, კარგს არას მოასწავებს. პირიქით, რამოდენადაც დიდს ხანს გასტანს და დიდს მანძილს გაივლის, იმოდენად გაათახსირებს, მოადუნებს, მოაკვდენს თვითარსებობის ძალ-ღონესა. წუთი-სოფლის სუფრა ჩვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და **ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისია და მარტო იმისი“** *(„თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“. 1886 წ. 8 აპრილი).*

*** „კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, — აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მათხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი“** („ქალთა სასწავლებელი“. 1889 წ. 6 მარტი).

### «დროა, გონზედ მოვიდეთ და დაუვიწყარად გვახსოვდეს, რომ რასაც კაცი თავის თავს თავის მხნეობით უშველის, იმას სხვა ვერ უშველის»

* „აქ ნაგრძნობია და ჰო-უარაოდ აღიარებული, რომ სხვის ხელში ყურება, სხვისგან მანანას ლოდინი, სხვისი ხვეწნა და მუდარება, სხვაზე ჩივილი — გვჭამს და გვყვლეფავსო, არიქა გვიშველეთ ვიღუპებითო, — ვერაფერი ხიდია ჭირიდამ გამოსვლისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ხელი გულს დაგვიკრებია, არას ვნაღვლობთ, არას ვდარდობთ და მარტო ჩივილ-ყვირილის მეტს არას ვაკეთებთ“ *(„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. 1895 წ. 3 დეკემბერი).*

*** „ჩვენი განუყრელი უბედურება ის არის, რომ სულ სხვის იმედითა ვცხოვრობთ, სულ სხვისგან მოველით შველას და ჩვენ თითონ-კი ხელს არა ვძრავთ, რომ თავს ვუშველოთ“** *(„ფილოქსერა“. 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

* „თუ ადგილის კაცნი ამ გზით მხარდამხარ არ მიჰყვებიან მთავრობას, მარტო მთავრობა აქ ბევრს ვერაფერს გახდება და, ვინ იცის, იქნება მისმა ჯაფამ და ხარჯმაც უბრალოდ ჩაიაროს და ჩვენც ბევრი არა გვეშველოს-რა“ *(„ფილოქსერა“. 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

* „დროა, გონზედ მოვიდეთ და დაუვიწყარად გვახსოვდეს, რომ **რასაც კაცი თავის თავს თავის მხნეობით უშველის, იმას სხვა ვერ უშველის“** *(„ფილოქსერა“. 1889 წ. 19 ოქტომბერი).*

* „სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა, და არა იმას, რაც მასა ჰსურს. **ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით“** *(„საახალწლოდ“, 1898 წ. 31 დეკემბერი).*

* „ამ წლიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთს ყოფნა მწვადსაც სწვავს და შამფურსაცა, თვითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა. იგრძნო, რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღელის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკედ მოარული ღონე — ქონებითი და გონებითი — ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის“ *(„ვისს ნათესსა ვმკით?“. 1879 წ. 31 დეკემბერი).*

* „კვამლი ფრიად სასიამოვნოა, — პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ უბედურებასაც ვერა ვხედავთ“ *(„მგზავრის წერილები“. 1861 წ.).*

*** „მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება — ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ-სიტყვის აზრი ცხოვრების მომნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა — მთელის ხალხისა და მთელს ხალხს — თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღვლითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა — დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველი და ყოველში ყველა არის“** *(„ზოგიერთი რამ“. 1866-1876 წ.).*

* „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელიღაა“ *(„ზოგიერთი რამ“. 1866-1876 წ.).*



# „ჭირი ეს არის, რომ ეგ სოფლური მეურნეობა საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად, ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი მიზეზი აბრკოლებს, ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** „განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ველარ იტვირთა. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლოს ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთს ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი “მამული” დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ“** *(„ზოგიერთი რამ“. 1866-1876 წ.).*

* „დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო“ *(„ზოგიერთი რამ“. 1866-1876 წ.).*

* „თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ველარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა“ *(„ზოგიერთი რამ“. 1866-1876 წ.).*

*** „სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულიდგან“** *(„სფირიდონის და თადეოზის ბაასი“. 1861 წ.).*

* „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა და დაე გვძრახონ — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“ *(„წერილები ილია ჭავჭავაძისა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი“. 1873 წ. 28 ივლისი).*

* „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა, და თუ კარგად მოექცევიან — ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდეც სამუდამოდ“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. იანვარი).*

* „ამისი დედ-მამანი კარგ დედულ-მამულიანნი იყვნენ, უბრალო, მარტივნი ქართველნი, იმისთანა ქართველნი, რომელთაც ჩვენ ვეძახით, არ ვიცით კი რის გამო, ძველ ქართველებს. მთელმა ცხოვრებამ მათმა გაიარა მშვიდად და გაუგებრად ამ სოფელში. არაფერი დიდი მწუხარება მათ არ ენახათ და იმიტომაც ვერ გამოჰსცადეს დიდი სიხარულიცა“ *(„კოლა“. 1858 წ.).*

*** „ჩვენი, ქართველების, ხასიათი მართლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არის. კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გამიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიყვანოს იმ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც შემდგარია ეს ხასიათი,** თითქო ათასფეროვანი ჩუქურთმა არისო. ერთის მხრით ჩვენ მართლა, ხელგაშლილი, გულახდილი, გულწრფელი და სულმაღალი რაინდები ვართ. თუკი რაიმე გრძნობამ გვძლია და გაგვიტაცა, ჩვენ თავმოტაცებულ ცხენსავით შეჩერება არ ვიცით; რაც უნდა საშინელი ბოლო მოსდევდეს ჩვენს გატაცებას და რაც უნდა ცხადად და უტყუარად ვხედავდეთ ამ შედეგს ჩვენის გატაცებისას, ჩვენ მაინც რაღაც გამოუცნობი მორჩილებით ვნებდებით მისს მომხიბლავ ძალას... ამ შემთხვევაში ჩვენი გული სწორედ რომ შინაური ზღვაა, რომელიც ვნებათ-ღელვისა გამო ხშირად სუნთქავს... და, თუმცა ზოგჯერ კიდეც სცდილობს მოიპოვოს როგორმე სანატრელი მყუდროება, მაგრამ მაინც ძალა-უნებურად ნებდება დაუცხრომელ ტალღათა სრბოლას“ *(„თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლაგანათლების საქმეში“. 1886 წ. 8 აპრილი).*

* „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედა-მიწას გული გადაეხსნა, შიგ აუარებელი, უძლეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო“.

*** „თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაბღერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თვითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავძარღვად კარგები ვართ, ჯანღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი, — მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხვათ თქვენ“** *(„სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“. 1883 წ.).*

* „...მაშ ვინღა დაგვრჩა? ის ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მუშა-ხალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის – საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით და მოაქვს ნაყოფი. დეე კენწეროები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცვდეს, ყვავილები, ყვავილები შემოაჭკნეს, — არა უშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოელიოს ფესვებს, — ხელახლა შეიმოსება ფოთლით და ყვავილით და უხვად გამოიღებს ნაყოფს. ხე არ კვდება, თუ ფესვები მაგარი, ღონიერი აქვს“ *(„ილია მანსვეტაშვილის მოგონებებიდან“).*



სოფლის მეურნეობის ტექნიკის შეძენა ფერმერებს თანადაფინანსებით შეუძლიათ

**«სხვის ხელში ყურება, სხვისგან მანანას ლოდინი, სხვისი ხვეწნა და მუდარება, სხვაზე ჩივილი — გვჭამს და გვყვლეფავსო, არიქა გვიშველეთ ვილუპებითო, — ვერაფერი ხიდია ჭირიდამ გამოსვლისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ხელი გულს დაგვიკრებია, არას ვნაღვლობთ, არას ვდარდობთ და მარტო ჩივილ-ყვირილის მეტს არას ვაკეთებთ»**



* „საიდამაც შორიდამ, სხვა ქვეყნიდამ მოტანილი საქონელი, გადის ვაჭრობის შემწეობით სოფლად“. *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

*** „ჩვენი ეკონომიური ძალღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარს შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე“.** *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

* „პატარა ქალაქები ხომ მარტო ბუდეებად გადაქცეულნი არიან, სადაც თავი მოუყრია ათას წურბელას ვით ქვემოძრომსა, საცა ბევრნაირი ჭია-ღუა ჰფუსფუსებს, რომ გამოსწოვონ და გამოღრღნან სოფელი. სხვა არა ემუნათება-რა სოფელს ჩვენებურ ქალაქებისაგან“ *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

*** „რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერხანად მაინცა“** *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

* „რასაკვირველია, იმისათვის, რომ მადლიანმა ჰავამ და ნოყიერმა მიწამ თავისი ჰქმნას, თავისი სიკეთე საკმაო სავსებით მოგვიტანოს, მარტო ერთი სახსარია: ეგ გაძლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი „სოფლური მეურნეობა“ *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

*** „ჭირი ეს არის, რომ ეგ სოფლური მეურნეობა საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად, ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი მიზეზი აბრკოლებს, ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური“** *(„ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“. 1893 წ. 7 იანვარი).*

* „მთელი ამიერკავკასია ძველადგანვე სცხოვრობს და თავს იკავებს მარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. ერთადერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიურის არსებობისა — საადგილმამულო მრეწველობაა და ამაზეა მთლად აგებული სრული ძალ-ღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუჭირებლად უნაკლულოდ“ *(„სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ“. 1886 წ. 28 თებერვალი).*

* „სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს ის ძალ-ღონე ჰავისა და მიწისა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის მოცემის მრავალგვარიანობას, და რამოდენადაც ეს მრავალგვარიანობა დიდია, იმდენად მდიდარია ქვეყანა. ამ საბუთით ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადგან ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს სიმდიდრეს იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება“ *(„მევენახე გლეხთა მდგომარეობა“. 1887 წ. 23 ივნისი).*

* „ჩვენი ქვეყანა, მაგალითებრ, ღვინოს და კარგის თვისების ღვინოსაც იძლევა სხვათა შორის. ამ მხრით იგი მდიდარია იმ ქვეყნებზედ, საცა ვაზი ჰავისა გამო ვერა ჰხეირობს“ *(„მევენახე გლეხთა მდგომარეობა“. 1887 წ. 23 ივნისი).*

* „— კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

— არაა გონჯაი: ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.

— ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.

— აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?!

— რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონჯაი, პატარა გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორორი შაბადის ყანა არ ექმნების. ვიწროდ ვარნ“ *(„მგ ზავრის წერილები“. 1861 წ.).*

* „ჩვენ სოფელს ქვემოდამ ერთი თხუთმეტიოდე ვერსტი რომ გაგევლოთ, კაი სანადირო ადგილები იყო. რა იქ!.. ყველგან, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც, გლეხისა არ იყოს, „ქრისტე-ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბღერტყია“, ყველგან კაი ადგილებია. რაც გინდა არის დაიწყეთ მოხდენილ ირმიდამ და გაათავეთ დარბაისელ გარეულ ღორითა, ან გულისხმიერ დათვითა. ფრინველს ხომ თვლა არ უნდა“ *(„გლახის ნაამბობი“. 1859, 1862-1873 წწ.).*

**დღეს რას იტყოდა ერის მამა, როცა არც მხვნელი გვყავს და არც მთესველი, როცა უზარმაზარ სახნავ-სათეს ფართობებზე აქა-იქ თუა კაცის ხელი შევლებული? ან ძლიერთა ამა ქვეყნისათ, რომელთაც სახეზე დიდი ასოებით აწერიათ «გავძეხი», მამულის ხსენებაზე, უპირველესად, რა გაუელვებთ გონებაში? სანუგეშო ვერაფერი? სწორედ ეს არის ჩვენი უბედურება**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველა სიბრძნის სათავე მოთმინებაა. იგი იმედოვნების ხელოვნებაა და ის კეთილმოქმედებაცაა, რომელიც სიყვარულით იწყება და გვეხმარება ყველა უკეთურობისა და უბედურების დიდსულოვნად გადატანაში“.**

**მეოთხედი საუკუნეა, საადვოკატო საქმიანობაში ვარ და ასეთი გახშირებული განქორწინებები არ მახსოვს; არც ის მახსოვს, ოჯახურ ძალადობაზე ამდენი სისხლის სამართლის საქმეები განეხილოთ სასამართლოში.**

# მოთმინებითა შენითა...

ამ ყველაფერს ერთი ფესვი აქვს — მოუთმენლობა, ხოლო მთესველი ამ მოუთმენლობისა არის დღეს გაბატონებული ქრისტესთან მებრძოლი ლიბერალური პოლიტიკა. სწორედ ლიბერალურ პოლიტიკას სურს, ღმერთს დაუპირისპიროს ადამიანი; ქმარს დაუპირისპიროს ცოლი და მშობელს — შვილი.

სწორედ ლიბერალურმა პოლიტიკამ დაგვაკარგვინა ქართველებს ერთი უძვირფასესი ქრისტიანული სათნოება — მოთმინება და ამით დაგვაკარგვინა სამოთხის კარის გასაღები, რა თქმა უნდა, თუ დროზე არ მოვეგებით გონს.

ერთ-ერთ ქადაგებაში საქართველოს პატრიარქი აღნიშნავდა: „მოთმინება ერთგული რაინდივით იცავს მშვიდობას, სიხარულს, სიყვარულს და თავადაც უხვად საზრდოობს ამ მადლთაგანო“.

ჰოდა, როცა ჩვენს ოჯახებში არ იქნება მოთმინება, აღარც მშვიდობა იქნება, აღარც სიხარული და აღარც სიყვარული.

თუ სახელმწიფოს უჯრედია ოჯახი, ბუნებრივია, ძლიერი სახელმწიფოს საწინდარიც ძლიერ ოჯახთა სიმრავლეშია, ხოლო ოჯახის სიძლიერე შეუძლებელია მოთმინების, სათნოების გარეშე.

პლატონს რომ დავესესხოთ: „ყველა სიბრძნის სათავე მოთმინებაა“. იგი იმედოვნების ხელოვნებაა და ის კეთილმოქმედებაცაა, რომელიც სიყვარულით იწყება და გვეხმარება ყველა უკეთურობისა და უბედურების დიდსულოვნად გადატანაში“.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოთმინება ძალა და სათნოება მაშინაა, როცა ის აქტიურია, გაცნობიერებულია და სიკეთის მსახურებაშია.

ზოგადად, მოთმინება არც სიკეთეა და არც სიბრიყვე, მთავარია ფასეულება, რომელსაც ის ემსახურება. მაგალითად, ადამიანი თუ კარიერის გამო, შიშის გამო ან ანგარების გამო ითმენს მოუთმენელს, ეს სულმოკლეობა და სილაჩრეა, მაგრამ ოჯახის გამო არ უნდა მოითმინო?

ლიბერალებმა თავისუფლების დოქტრინით ინდივიდი დაუპირისპირეს სოციალურ ფასეულობებს, მათი მსოფლმხედველობით ოჯახი თავისთავად არ არის იმ დონის ფასეულობა, რომ მისი გადარჩენა-განმტკიცებისთვის ოჯახის წევრმა დაითმინოს თუნდაც მცირე უსიამოვნება, მაგალითად, სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაშიც ცოლს შეუძლია დარეკოს სამართალდამცავ ორგანოში და ქმარს უსათუოდ დაიჭერენ ფსიქოლოგიური ძალადობის მოტივით.

ამით ლიბერალები ორ კურდღელს იჭერენ: ჯერ ერთი, ოჯახი ინგრევა და მეორეც, კაცი თანდათან გადადის მეორეხარისხოვან მდგომარეობაში. ამის გაგრძელებაა მამაკაცთა უმუშევრობის მატება და მათი ფსიქოლოგიურ-მორალური შევიწროება საზღვარგარეთ გადახვეწილი ქალბატონების ხარჯზე ყოფნით.

**რა შეიძლება ვურჩიო განსაცდელში მყოფ თანამოძმეებს?**

მოდი, ეფრემ ასურის სიტყვებს მოვიშველიებ: „მოთმინების მქონენი თავისუფლდებიან მრავალი მწუხარებისაგან... ვინც იპოვა გზა ხანგრძლივი მოთმინებისა და უბოროტებისა, მან იპოვა ცხოვრების გზა. ღარიბი და უბადრუკია ის, რომელმაც ვერ შეიძინა მოთმინება, ის ქარისაგან ირყევა, როგორც ლერწამი, ვერ იტანს წყენას, ავლენს სულმოკლეობას მწუხარებაში...“

წმინდა ტიხონი იმასაც ამბობს, რომ: „მოთმინებით მსუბუქდება, ხოლო მოუთმენლობით მრავლდება ტანჯვა-წამება“.

**ლიბერალებმა თავისუფლების დოქტრინით ინდივიდი დაუპირისპირეს სოციალურ ფასეულობებს, მათი მსოფლმხედველობით ოჯახი თავისთავად არ არის იმ დონის ფასეულობა, რომ მისი გადარჩენა-განმტკიცებისთვის ოჯახის წევრმა დაითმინოს თუნდაც მცირე უსიამოვნება, მაგალითად, სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაშიც ცოლს შეუძლია დარეკოს სამართალდამცავ ორგანოში და ქმარს უსათუოდ დაიჭერენ ფსიქოლოგიური ძალადობის მოტივით**



**«მოთმინებით მსუბუქდება, ხოლო მოუთმენლობით მრავლდება ტანჯვა-წამება», მაგრამ ნამდვილი ქრისტიანული მოთმინება გულისხმობს არა პასიურად შეგუებას სირთულეებთან, არამედ მშვიდად, გაცნობიერებულად მოთმენას, იმედოვნებას და მოქმედებას. ურწმუნოსგან განსხვავებით ქრისტიანმა იცის, რისთვის ითმენს, მისი მთავარი მიზანი ხომ განღმრთობაა. ურწმუნოს სირთულეები აბოროტებს, მორწმუნე კი სულის საკურნებლად მიიჩნევს განსაცდელს; ურწმუნო გასაჭირთან ერთად ცოდვებსაც ითმენს, მორწმუნე კი ვერ ითმენს და ვერ ეგუება ცოდვით ტკბობას**

მაგრამ ნამდვილი ქრისტიანული მოთმინება გულისხმობს არა პასიურად შეგუებას არსებულ სირთულეებთან, არამედ მშვიდად, გაცნობიერებულად მოთმენას, იმედოვნებასა და მოქმედებას.

**ურწმუნოსგან განსხვავებით, ქრისტიანმა იცის, რისთვის ითმენს, მისი მთავარი მიზანი ხომ განღმრთობაა. ურწმუნოს სირთულეები აბოროტებს, მორწმუნე კი სულის საკურნებლად მიიჩნევს განსაცდელს;**

**ურწმუნო გასაჭირთან ერთად ცოდვებსაც ითმენს, მორწმუნე კი ვერ ითმენს და ვერ ეგუება ცოდვით ტკბობას;**

**როცა სიკეთეს ვაკეთებთ და ვითმენთ, ამით ღმერთს ვემსახურებით.**




„იმიტომ, რომ ადამიანმა გაწყენინა, ამის გამო ხომ არ უნდა აწყენინო ღმერთს? წყენაზე წყენით უპასუხო, ეს ნიშნავს ღმერთის დავიწყებას და უარყოფას“ — ესეც ეფრემ ასურის სიტყვებია, ხოლო იოანე ოქროპირი შეგვახსენებს: „გადაიტანო შეურაცხოფა — ღმერთის თვისებაა, ხოლო დემონურია თვისება მოუთმენლობისა და შურისძიებისა“.

ბოლოს რამდენიმე რჩევას მივცემ იმ მეგობრებს, რომლებსაც მოუთმენლობის სინდრომი სჭირთ და ეს აწუხებთ:

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევცვალოთ დამოკიდებულება სიძნელეებისადმი და ნებისმიერ პრობლემას შევხედოთ, როგორც სასიკეთო გამოწვევას, გამოცდას, სულის ზრდის საშუალებას...

ღმერთს სურს, რომ სირთულეების გადალახვით გაწვრთნას, გააძლიეროს ჩვენი ხასიათი და ამით მოგვამზადოს ბედნიერებისა და განღმრთობისთვის;

2. უნდა გამოვიმუშაოთ სიხარულისა და მადლიერების უნარი. ჩვენ უამრავ სიკეთეს ვერ ვამჩნევთ და მიგვაჩნია უმნიშვნელოდ, ეს კი უმადურობაა ღვთისა და იმ ადამიანების მიმართ, რომლებისგანაც ასე უხვად ვიღებთ ამ სიკეთეებს, ზრუნვას, სითბოს, სიყვარულს...

სიხარულისა და მადლიერების უნარის გამომუშავებით გაგვიადვილდება მოთმინება, ხოლო მათ გარეშე სირთულე გაგვაბოროტებს და გაგვაუბედურებს.

3. მოთმინებისას გამოიჩინე გონიერება და სიბრძნე; გააცნობიერე და გაარჩიე, რა არის ღვთისა და რა — ბოროტისა, სად გაჩუმდე და სად იმოქმედო...

გააანალიზე სიტუაცია. ამ დროს გონება ერთვება და ემოცია განზე გადის.

4. დაუსვი საკუთარ თავს კითხვები და ეცადე, უპასუხო ხმამაღლა ან წერილობით:

— ჩემი მოუთმენლობა ხელს მიშლის თუ აუმჯობესებს ჩემს ყოფას?

— ხომ არ ვქმნი „ბუზისგან სპილოს“? და რა სარგებელია ამაში?

— რა აზრი აქვს ასეთ ქცევას და რისთვის ვაკეთებ ამას?

— იქნებ არასწორად გავიგე ეს სიტუაცია? სხვაგვარად როგორ შეიძლება შევხედო ამ სიტუაციას?

— კიდევ როგორ შეიძლება განვმარტო ეს მოვლენა ან ამ ადამიანის ზრახვები?

— მაქვს თუ არა უნარი, გავაკონტროლო სიტუაცია და რა შემიძლია შევცვალო?

— რას გავაკეთებ მომავალში?

(გასათვალისწინებელია, რომ მოთმინება პასიურობას არ გულისხმობს, მაგრამ ყოველთვის დაუყოვნებელი მოქმედებაც არ არის საჭირო. შეიძლება საჭირო იყოს მოცდა, რაღაცის გადაწყვეტა, დაკვირვება და ა.შ., მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მოთმინება გულისხმობს პროაქტიურობას, მათ შორის — ლოცვასაც).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთმინება შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი.

დადებითი მოთმინება გაცნობიერებულია. ამ დროს არის მოლოდინი იმედის დაკარგვის გარეშე, არის შეუპოვარი და მლოცვარე მიზანსწრაფვა.

უარყოფითია მოთმინება, როდესაც სახეზეა პასიურობა, უიმედობა, გაბოროტება, დამცირება...

სიბრძნე მოთმინებისა მდგომარეობს ბალანსში სიმამაცესა და მოთმინებას შორის მაღალ ფასეულობებსა და განღმრთობაზე ორიენტაციით, რადგან მოთმინება რწმენის გარეშე წარმოუდგენელია, ხოლო მოთმინების ყველაზე ნათელი მაგალითი თავად მაცხოვარია, რომელმაც დაითმინა ჯვარცმა ჩვენთვის და კვლავაც ითმენს ჩვენს ცოდვებს გამოსწორების მოლოდინით.

ამ წერილს დავასრულებ ცნობილი ამერიკელი თეოლოგისა და პუბლიცისტის — **კარლ პაულ რეინხოლდ ნიბურის** სიტყვებით: „ღმერთო, მომეც გონება და სულის სიმშვიდე, რათა მივიღო, რისი შეცვლაც არ შემიძლია, მომეც სიმამაცე, რათა შევცვალო, რისი შეცვლაც შემიძლია და მომეც სიბრძნე, რათა გავარჩიო პირველი მეორისგან“.

**ბესიკ კაიშაური**

**იქნებ მაშინ ვიყავით ევროპელები, ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად აჯაგრულმა ჯვაროსნებმა მართლმადიდებელი ქრისტიანობის ბურჯი კონსტანტინოპოლი რომ გაანადგურეს ხუთჯვრიანი დროშების ფრიალით; ჩვენც, ალბათ, იქ ვბრუნდებით, რადგან ამ დროშებს ვაფრიალებთ. რა ვუყოთ, სიმართლის სიცრუით ჩანაცვლებაც ხომ სატანისტური ოინბაზობაა.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გამჟღავნებული ვერაგობა

**ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასია სიცოცხლე, რომელიც ერთხელ ეძლევა, უფლისმიერი ზნეკეთილობით შემკული, სატანა დაბადებიდან რომ მისდევს და ცდილობს, მოუწამლოს სიყვარული სიძულვილით, სიკეთე — ბოროტებით, ერთგულება — ღალატით, მადლიერება — უმადურობით, რასაც არცთუ იშვიათად ახერხებს.**



ვის შეეძლო, ეფიქრა, რომ ქართველთა ამაყი ყოფა ნატოს წევრობისა და ევროპელად გადაქცევის სამარცხვინო მათხოვრობამდე დაკნინდებოდა?!

თურმე ჩვენ ევროპულ ოჯახში ვბრუნდებით. **როდის ვიყავით ევროპული ოჯახის წევრები: იქნებ მაშინ, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-სთან დახმარების სათხოვნელად მისული სულხან-საბა ორბელიანი რომ გამოაპანღურეს; ან ინდულგენციებით თაღლითობისა და საშინელი ინკვიზიციის სამარცხვინო განუკითხაობის მძვინვარებისას? არც მაშინ ვყოფილვართ ევროპელები, როცა ავანტიურისტები, თაღლითები და ყველა ჯურის ნაძირალები რომ შეესივნენ ამერიკას და ინდიელები გაჟუჟეს.** მანამდე კაცობრიობას ადამიანთა წამებით მოსპობის რა სახის მხეცობა არ ახსოვს, მაგრამ ინდიელი ბავშვების თავიდან ახეული სკალპისთვის ფულის გადახდით, საზარლად დახვეწილი გენოციდით მხოლოდ ამერიკელებს შეუძლიათ იამაყონ, ისევე, როგორც იაპონიის ორი ქალაქის მოსახლეობის ატომურ ცეცხლზე შეწვით და ამის შემსრულებლების გმირად გამოცხადებით. **ამერიკელებს თბილისი ატომური დაბომბვის სიაში ჰქონდათ შეტანილი და, სტალინს საბჭოთა კავშირშიც რომ არ შეექმნა ამგვარი ბომბი, ამერიკელებს განზრახულის შესასრულებლად ხელი არ აუკანკალდებოდათ.**

ზოგიერთი პოლიტიკოსად შეთხიპნილი ღამურა ქართველის ლიქნით გაპოხილი ნაბოდვარით, თურმე ქართული კულტურა ძალიან ახლოსაა ამერიკულთან. ამერიკელთა ისტორია 250 წელსაც არ ითვლის. მანამდე ქართული კულტურა ელოდა ევროპული ავანტიურისტების ამერიკულად მოზელას, რათა მას დამსგავსებოდა თუ ახლა გადაკეთდა, რაც მის სასაცილო სტრატეგიულ პარტნიორობას იბრალებენ სატანის ბოდვას აყოლილები?

**იქნებ მაშინ ვიყავით ევროპელები, ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად აჯაგრულმა ჯვაროსნებმა მართლმადიდებელი ქრისტიანობის ბურჯი კონსტანტინოპოლი რომ გაანადგურეს ხუთჯვრიანი დროშების ფრიალით; ჩვენც, ალბათ, იქ ვბრუნდებით, რადგან ამ დროშებს ვაფრიალებთ. რა ვუყოთ, სიმართლის სიცრუით ჩანაცვლებაც ხომ სატანისტური ოინბაზობაა.**

ასევე სატანისტური ოინბაზობაა ადამიანის მადლიერების გრძნობიდან განძარცვა და უმადურობითა და სიძულვილით გაბოროტება. მაშ, რა უნდა ეწოდოს ერის თვითგვემამდე მიყვანილ გაუცხოვებას რუსეთის მიმართ?!

**ქართველი ხალხი უმადური არ არის. მას რუსებთან ძმობისა და მეგობრობის რწმენა ამ საშინელ განუკითხაობაშიც მომავლის იმედით უნთია. სწორედ რუსეთია ასე რომ აფრთხობს ქართველი ხალხის მოსასპობ-გადასაჯიშებლად ევროატლანტიკური „პარტნიორების“ მიერ დასეულ გათავხედებულ სატანისტებს.**

**როცა ქართველ ფეოდალთა მიერ ერთმანეთთან ძიძგილაობაში სამთავროებად და სამეფოებად დაქუცმაცებული და უცხოელი მტაცებლების მიერ დატაცებულ-დაგლეჯილი საქართველო სულს ღაფავდა, მისი გაერთიანებისა და შველის პატარა იმედიც არ კიაფობდა, ვინ მოვიდა საშველად?! ვინ გამოსტაცა მტაცებლებს ახალციხე, ახალქალაქი, ვინ დაუბრუნა საქართველოს აჭარა ბათუმიანად? და დღეს ვინ ცდილობს მის კვლავ მიტაცებას?!**

მუხთალი უმეცრებისთვის ამის ცოდნა სულაც არ არის საჭირო, ან ცოდნა რაში სჭირდებათ, როცა იმის მტკიცება და ყვირილი ევალებათ, როგორი სიცრუითაც გამოაძღებენ სატანის ბოდვის სამზარეულოში. საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსეთში ყველაზე მეგობრულად და ძმურად ერთმორწმუნე ქართველები ჰყავდათ მიღებული, ის სითბო და სიყვარული დღემდე ვერ მოუსპიათ სატანის ბოდვას აყოლილებს.

**გაქრობის გზაზე მდგარი ქართველი ერი რუსეთის მფარველობით გაერთიანდა, გამრავლდა, გამძლავრდა და ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში ჩადგა. ქართველი ხალხის უბედურების გზაზე შეყენება უძღებ უმეცართა უმადურობის სამსალით მოწამლული ტვინით ბოდვის შედეგია.**

ამხელა ქვეყანაში ოჯახის წევრად ვითვლებოდით და ევროპელებივით დეპორტაციით არ გვემუქრებოდნენ. დოტაციებით ისე გვანებივრებდნენ, რომ რუსები საქართველოდან თავიანთ ოჯახებში ამანათებით აგზავნიდნენ იმ პროდუქტებს, რუსეთში რომ იწარმოებოდა და ჩვენთან ბევრი იყო.

სატანის ზეიმი საქართველოში „ძირს იმპერიის“ ღრიალ-

**როდის ვიყავით ევროპული ოჯახის წევრები: იქნებ მაშინ, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-სთან დახმარების სათხოვნელად მისული სულხან-საბა ორბელიანი რომ გამოაპანღურეს; ან ინდულგენციებით თაღლითობისა და საშინელი ინკვიზიციის სამარცხვინო განუკითხაობის მძვინვარებისას? არც მაშინ ვყოფილვართ ევროპელები, როცა ავანტიურისტები, თაღლითები და ყველა ჯურის ნაძირალები რომ შეესივნენ ამერიკას და ინდიელები გაჟუჟეს**

ით დაიწყო, რკინიგზაზე რომ ჩამოსხდნენ და სახალხო მეურნეობისათვის ესოდენი საჭირო ტვირთით დატვირთული მატარებლები არ გამოუშვეს ამ დონ კიხოტებმა. ეს იყო რუსეთის დანგრევის მცდელობად მონათლული საქართველოსთვის მაცოცხლებელი ძარღვის გადაჭრა.

**რომელი სასიკეთოდ მოაზროვნე ტვინი იფიქრებდა საქართველოს უბედურების, შევარდნაძის მეორედ მობრუნებას, კომუნისტების პერიოდში რუსეთის ბაზრებში ქართველებს რომ დასდევდა სპეკულიანტობის დაბრალებით სახელის გასატეხად? მოსკოვში ბებერ პოლიტბიუროს წევრებთან ლიქნით თავს იწონებდა: ქართველები საკავშირო მინისტრებს ქრთამავენ და ზედმეტ ფონდებს იღებენო; საქართველოში ხომ მიწერების, თვალთმაქცობის, ყალბი პომპეზურობისა და ადამიანების უბედურების ქარბუქი დაატრიალა.**

ამ მეორედ მოსვლით დაიწყო სახალხო მეურნეობის საშინელი განადგურება, აფხაზეთის ავანტიურა და სამეგრელოს საზარელი აწიოკება, საქართველოს კუთხეების ერთმანეთთან დაპირისპირების მცდელობა და ყველა ჯურის ავაზაკთა შეუბრალებელი პარპაში. შემდეგ კი საქართველოს ამ მაოხარმა გზირმა ბოდვით გადაგვარებული ვერაგი სატანისტების ხროვა დატოვა „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, რომელიც ისედაც გაწამებულ ქართველ ხალხს საზარელ უბედურებად ექცა. ამ სატანისტების გნიასი კი დღემდე არ ცხრება.

ვის ან რას უნდა ემსახურებოდეს მაკეინის ფონდი. ჯონ მაკეინი ვიეტნამის მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავდა და მომწამლავ ნივთიერებებს ასხამდა თვითმფრინავიდან, ძირს ჩამოგდებული ვიეტნამელებმა კინწისკვრით წაიყვანეს და შეშინებულს პისტოლეტი კი არა, თავის სორო ჰქონდა საძებარი; სააკაშვილმა კი მაკეინს ვიეტნამში დაკარგული პისტოლეტი აჩუქა, მისი გმირობის მოწონების ნიშნად.

ვის შეიძლებოდა, ამ ფონდის სახელით საქართველოში სატანისტთა კონფერენციის მსგავსი შეკრება მოეწვია, თუ არა ჯანმრთელი ქართული ორგანიზმიდან ვერგამორწყულ ფურუნკულს — **გიგა ბოკერიას.** ამ შეკრებაზე მიწვეული იყვნენ ყოფილი მაღალჩინოსანი უცხოელები. ჩათვალეს, რომ ქართველი ხალხი ისე დააძაბუნეს, დადგა დრო, დიდი ხნით შენიღბული ვერაგობის გამჟღავნებისა, ნატოში საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე შესვლის შესახებ; ეგეც თქვენი ნატო!

ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი **ანდერს ფონ რასმუსენი** ამ მუხთლობის იმედით ირწმუნებოდა, ნატოში შეხვალთო? ნაციონალები და მათი მსგავსი სატანის ყველა მსახური, ნატოში კი არა, იმის იქითაც არიან, ნატოელებზე გაცილებით დიდი სამხედრო კონტიგენტით მათ საქმიანობაში მონაწილეობით. ნატოსა და დასავლელებს საქართველო დანაწევრებული და ჭეშმარიტი მამულიშვილური მადლისაგან გაძარცვული ქართველები სჭირდებათ, რათა რუსეთის წინააღმდეგ ღვარძლის ნთხევაში პრობლემები არ ჰქონდეთ.

ამიტომაა, ასე გულუხვად დაფინანსებული, ხვავრიელად მომრავლებული მეხუთე კოლონა სავსე ნაციონალებით, მათი მსგავსი პარტიებითა და არასამთავროებად წოდებული მოლაყბენით; უძღები მედროვე მაღალჩინოსნები ნატოსა და ევროპაში ინტეგრაციაზე ქაქანით ქართველ ხალხს მოუსავლეთისკენ ექაჩებიან.

რომელ ნატოში შეძრომა უნდათ სატანის როკვას აყოლილებს, რომელმაც სერბეთს ბომბების სეტყვა დააყარა, მისი დაშლა-დაქუცმაცება კი დემოკრატიად და ხალხებზე ზრუნვად მონათლა? კატალონიის დამოუკიდებლობის გამოცხადების მოხრჩობას ვერ ხედავენ? ან თავიანთ ინტერესებზე მორგებული ჰააგის ტრიბუნალი რომ შექმნეს სერბ პატრიოტებზე საკუთარი ცოდვების გადასაბრალებლად? სასაცილო, ყალბი ბრალდებებით ერაყის დამაქცევარ **ბუშს** ვერ ხედავენ? **ეს ის ნატოა, მის მიერ ჩადენილი ყოველგვარი ძალადობა და უკანონობა დემოკრატიად და ხალხებზე ზრუნვად რომ საღდება. ამიტომაც ისტორიას ისეთივე სამარცხვინო ლაქად შემორჩება, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანობის მაოხარი ჯვაროსნები.** დემოკრატიის საფრთხობელა ევროატლანტიკური რვაფეხაც თავის ყველა ძალადობაზე დამყარებულ პროვოკაციას დემოკრატიისათვის თავდადებად ასაღებს, რაც ჭეშმარიტების ქურაში დანაშაულად და სირცხვილად ბოლავს.

რა გათავხედებული და თვითდაჯერებულები უნდა იყვნენ ევროამერიკული დემოკრატიის მსახური ყოფილი მაღალჩინოსნები, რომ თავიანთი ლაქიების, „ევროპულ საქართველოდ“ გადაღებილი ნაციონალების მიერ მოწვეულ რაღაც კონფერენციად წოდებულ თავყრილობაზე გვთავაზობდნენ საქართველოს დანაწევრებით ნატოში შესვლას. ჰგონიათ, რომ დაუდგათ დრო ადრე დაგეგმილი სიმუხთლის გამჟღავნებისა, რომ მათ მიერ ხელ-ფეხშეკრული ხელისუფლება ისე დაძაბუნდა, უპრობლემოდ შეცვლიან სატანის მსახური და ქვეყნის მოღალატე ნაცებით, რადგან ქართველებს აღარ შერჩათ ღირსეული მამულიშვილები.

ვინმე **დევიდ კრამერს**, როგორც ყველა მის მსგავს ამერიკელს, თავი სამყაროს ბატონ-პატრონად რომ მოაქვს, ბოკერიას სატანური ბოდვისთვის ღირსეული პასუხის გასაცემად მისულმა **ირმა ინაშვილმა** თავხედური საქციელისთვის ამაყად მოსთხოვა ბოდიშის მოხდა. ქართულ ენაზე ნათქვამი ეს მწარე წამალი ნათარგმნის მოსმენით გადააყლაპა და ამ შეყრილობის მონაწილეებს დაუმტკიცა, რომ ქართული გენი სამშობლოს ინტერესების შეუპოვრად დამცველი ერის საამაყო მამულიშვილთაგან არ დაცლილა. სრულიად საქართველომ იხილა და მოისმინა დარბაზში, სადაც სატანისტები ბზუოდნენ და კრაზანებივით შემოსეოდნენ, ირმას ხმა, რომელიც ქართველი ერის შვებად და გამოსაფხიზლებლად რეკდა. ასეთ მამულიშვილებზე დადგება საქართველო.

ველარ გაიგეს, რომ **ევროატლანტიკური „პარტნიორები“ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციების მოსაწყობად იყენებენ და ამისათვის დაჩეხილ-დანაწევრებული და დამონებული საქართველო სჭირდებათ.**

რუსეთთან მოლაპარაკებაზე საუბარი დაიწყეს იმ პირობებით, რომ გვერდით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები გვეყოლებაო; აქედანვე ჩანს ამ ეგრეთ წოდებული მოლაპარაკების შედეგი, თანაც, როცა საქართველოში ზღვარგადასული ანტირუსული პროპაგანდა მძვინვარებს.

საქართველოს აღიარების და ბედნიერი ცხოვრებისკენ მიმავალი გზა რუსეთზე გადის, რასაც ასეთი გააფთრებით ეწინააღმდეგებიან სატანისტი ვაიქართველები.

საქართველო არ დაცლილა ჭეშმარიტი მამულიშვილებისგან და სამშობლოს აღორძინების გზაზე დაყენების იმედი სწორედ მათთვის ჩვეული შეუპოვრობით ბრძოლის მოლოდინშია.

**გივი სომხიშვილი**
მწერალი

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დორა მაარი კატით“ ესპანელი გენიოსის — პაბლო პიკასოს ფუნჯს ეკუთვნის. დახატა 1941 წელს. პიკასომ ამ ტილოზე გამოსახა თავისი ხორვატი საყვარელი დორა მაარი, რომლის მხარზეც ჩამომჯდარია კატა. აღსანიშნავია, რომ ეს ტილო 2006 წელს 95 მლნ დოლარად შეიძინა ქართველმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა.

# 10 ყველაზე ძვირად ღირებული ნახატი

პლანეტაზე ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც სხვებისთვის არცთუ გასაგებად იქცევიან, მაგალითად, ათეულობით მილიონ დოლარს ხარჯავენ იმისთვის, რომ თავიანთი სახლი, ბინა თუ ოფისი ნახატებით დაამშვენონ. ამ ნახატებიდან ზოგი დიდძალი ფული ღირს. გთავაზობთ ჩამონათვალს 10 ყველაზე ძვირად ღირებული ნახატისა, რომლებშიც ზღაპრული თანხებია გადახდილი. ამ ჩამონათვალში შესული არ არის ნახატები, რომლებიც გამოფენილია ცნობილ მუზეუმებში და შეუფასებელია. აქ ჩამოთვლილია მხოლოდ ის ტილოები, რომლებიც გაიყიდა აუქციონზე ან კერძო პირებს შორის მოლაპარაკებით.



## კლოდ მონეს „წყლის შროშანები “ — 84,7 მლნ დოლარი

იმპრესიონიზმის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ფრანგმა მხატვარმა **კლოდ მონემ „წყლის შროშანები “** 1914-1917 წლებში დახატა. ფრანგი მხატვრის ეს შედევრი 2018 წლის მაისში 84,7 მლნ დოლარად შეიძინეს **დევიდ** და **პეგი როკფელერებმა.**



## პაბლო პიკასოს „დორა მაარი კატით“ — 95 მლნ დოლარი

„დორა მაარი კატით“ ესპანელი გენიოსის — **პაბლო პიკასოს** ფუნჯს ეკუთვნის. დახატა 1941 წელს. პიკასომ ამ ტილოზე გამოსახა თავისი ხორვატი საყვარელი დორა მაარი, რომლის მხარზეც ჩამომჯდარია კატა. აღსანიშნავია, რომ ეს ტილო 2006 წელს 95 მლნ დოლარად შეიძინა ქართველმა მილიარდერმა **ბიძინა ივანიშვილმა.**



## პაბლო პიკასოს „ბიჭი ჩიბუხით“ — 104,1 მლნ დოლარი

24 წლის პაბლო პიკასოს ნამუშევარი „ბიჭი ჩიბუხით“ ახალ მფლობელს, **უიტნების** ოჯახის ფონდს, 104,1 მლნ დოლარი დაუჯდა. ეს ნახატი 2004 წელს „სოთბის“ აუქციონზე გაიყიდა.



## პაბლო პიკასოს „შიშველი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი“ — 106,5 მლნ დოლარი

პაბლო პიკასოს მიერ 1932 წელს შექმნილი ტილო, რომელზეც გამოსახულია მხატვრის ახალი სიყვარული **მარია-ტერეზა ვალტერი**, 2010 წელს „კრისტის“ აუქციონზე გაიყიდა 106,5 მლნ დოლარად. მყიდველის ვინაობა უცნობია.

## ედვარდ მუნკის „ყვირილი“ — 119,9 მლნ დოლარი



ნორვეგიელმა მხატვარმა თავისი ყველაზე ცნობილი ტილო „ყვირილი“ 1910 წელს შექმნა. ნახატი 2012 წელს „სოთბის“ აუქციონზე 119,9 მლნ დოლარად შეიძინა ნორვეგიელმა მილიონერმა **პეტერ ოლსენმა.**



## ფრენსის ბეკონის „სამი მონახაზი ლუსიენ ფროიდის პორტრეტისთვის“, ტრიპტიქი — 142,4 მლნ დოლარი

ცნობილმა ინგლისელმა მხატვარმა **ფრენსის ბეკონმა** ეს ტრიპტიქი 1969 წელს შექმნა. ნახატი 2013 წელს „კრისტის“ აუქციონზე 142,4 მლნ დოლარად გაიყიდა. მფლობელი უცნობია.



## ჯექსონ პოლაკის „№5, 1948“ — 142,7 მლნ დოლარი

ამერიკელი მხატვრის — **ჯექსონ პოლაკის** ქმნილება „№5, 1948“ ვიზრომუყაოზეა (მერქნის ბოჭკოვან ფილაზე) დახატული 1948 წელს. პოლაკის ქმნილება 2006 წელს 142,7 მლნ დოლარად იყიდა მექსიკელმა კოლექციონერმა **დევიდ მარტინესმა.**



## ამედეო მოდილიანის „მწოლიარე შიშველი“ — 157,2 მლნ დოლარი

იტალიელმა მხატვარმა **ამედეო მოდილიანმა** „მწოლიარე შიშველი“ 1917-1918 წლებში დახატა. ტილო 2015 წელს „კრისტის“ აუქციონზე 170,2 მლნ დოლარად შეიძინა ჩინელმა მილიონერმა **ლუ იციანმა.**



## პაბლო პიკასოს „ალჟირელი ქალები“ — 179,3 მლნ დოლარი

„ალჟირელი ქალები“ ერთ-ერთია იმ 15 ნახატიდან, რომელთა შექმნისკენაც პიკასოს უბიძგა ფრანგი მხატვრის, **ეჟენ დელაკრუას,** ტილომ „ალჟირელი ქალები თავიანთ მოსასვენებელ ოთახში“. პიკასომ ეს ნახატი 1955 წელს დახატა, 2015 წელს კი 179,3 მლნ დოლარად შეიძინა ყატარელმა მილიონერმა **ჰამადა ბენ ჯასიმა ბენ ჯაბერა ალ ტანიმ.**



## ლეონარდო და ვინჩის „სამყაროს მხსნელი“ — 450 მლნ დოლარი

**ლეონარდო და ვინჩის** „სამყაროს მხსნელი“ დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა დაკარგულად. ის შეუკვეთა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XII-მ. ეს ტილო, რომელიც 1499 წელს დახატა და ვინჩიმ, „კრისტის“ აუქციონზე გაიყიდა 450 მლნ დოლარად. ნახატი შეიძინა მუზეუმმა აბუ დაბის ლუვრმა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**შესანიშნავი აღნაგობის, მოქნილი, ბრწყინვალე ნახტომისა და კოორდინაციის მქონე ჩემბერლენს „ქულების მომპოვებელი მანქანა“ შეარქვეს. ის ძალდაუტანებლად მოიხელთებდა ხოლმე ბურთს, მიუხედავად იმისა, რამდენი მეტოქე იყო მის გარშემო, და კალათში განსაცვიფრებელი სიზუსტით ისროდა. ის თავის ფიზიკურ მონაცემებს (სიმაღლე — 2016 სმ, წონა — 125 კგ) მაქსიმალური სარგებლით იყენებდა. მისი თანამედროვეები ამტკიცებენ, რომ უილტ ჩემბერლენზე უკეთესი კალათბურთელი არ უნახავთ.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უილტ ჩემბერლენი — NBA-ს კაშკაშა ვარსკვლავი

**უილტ ჩემბერლენს უნიკალური რეკორდების რაოდენობით ვერც ერთი კალათბურთელი ვერ შეეჯიბრება ამ ცეცხლოვანი, ენერგიული და სანახაობრივი თამაშის ისტორიის განმავლობაში. თავისი ერთ-ერთი რეკორდი უილტ ჩემბერლენმა 1962 წლის 2 მარტს დაამყარა „ნიუ იორკ ნიქსისა“ და „ფილადელფია უორიორზის“ შეხვედრაში, როცა თავის გუნდს — „ფილადელფია უორიორზს“ 100 ქულა(!) მოუტანა. აი მისი სხვა რეკორდებიც: ჩემბერლენი ერთადერთი კალათბურთელია, რომელმაც 1 სეზონში 4000-ზე მეტი ქულა მოაგროვა. მან 118-ჯერ შეძლო, ერთ თამაშში მოეგროვებინა 30 ქულაზე მეტი. ის რეკორდსმენია არა მხოლოდ სნაიპერული სროლებით, არამედ შედეგიანი გადაცემებითაც — 1967-1968 წლების სეზონში ჩემბერლენმა 702 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ამ ყველაფერთან ერთად ჩემბერლენი პირველი იყო, ვინც ბურთი კალათში ჩატენა.**



NBA — კალათბურთის ნაციონალური ასოციაცია პროფესიონალურ სპორტულ სტრუქტურებს შორის დღეს ძალიან პოპულარულია, მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა. ამერიკელის ეს გამოგონება (კალათბურთი 1891 წელს გამოიგონა ჯეიმს ნეისმიტმა — მასაჩუსეტსის შტატის სპრინგფილდის კოლეჯის ფიზკულტურის მასწავლებელმა) XX საუკუნის შუა წლებშიც კი ჩამორჩებოდა ბეისბოლსა და ამერიკულ ფეხბურთს.

ყველაფერი შეიცვალა 1946 წელს, როცა სპორტში ჩართული ბიზნესმენები, მათ შორის, სტადიონებისა და დიდი დარბაზების მფლობელები, შეიკრიბნენ ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასტუმროში, რათა ემსჯელათ პროფესიული საკალათბურთო კლუბების შექმნის იდეაზე. ამ კლუბების თამაშებს ბევრი მაყურებელი უნდა მიეზიდა. ასე შეიქმნა აშშ-ის ნაციონალური ასოციაცია NBA, რომელშიც გაერთიანდა 11 ქალაქის კლუბები. მოგვიანებით ამ ასოციაციას შეუერთდა ნახევრად პროფესიული საკალათბურთო ლიგა. ამ გაერთიანებაში ჩადებულმა უზარმაზარმა თანხამ თავისი საქმე გააკეთა. გაჩნდნენ ვარსკვლავები, რომლებმაც უამრავი მაყურებელი მოიზიდეს.

დღეს NBA-ს მატჩებს ბევრი მაყურებელი ესწრება, იმდენი, რამდენსაც დახურულ დარბაზში გამართული ვერც ერთი შეჯიბრება ვერ იზიდავს. 1988 წელს ბოსტონში გამართულ მატჩზე — „დეტროიტ პისტონსსა“ და „ბოსტონ სელტიკსს“ შორის 61 983 ბილეთი გაიყიდა, ტელეტრანსლაციებს კი არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში უყურებს მილიონობით გულშემატკივარი. კალათბურთის ვარსკვლავები ჰოლივუდელ მსახიობებზე ნაკლებად პოპულარული როდი არიან, მათ არც ჰონორარები აქვთ მსახიობებზე ნაკლები. ზოგიერთი კალათბურთელი კი უკვე ლეგენდაა. მათ შორის არის **უილტონ ნორმან (უილტ) ჩემბერლენი. შესანიშნავი აღნაგობის, მოქნილი, ბრწყინვალე ნახტომისა და კოორდინაციის მქონე ჩემბერლენს „ქულების მომპოვებელი მანქანა“ შეარქვეს. ძალდაუტანებლად მოიხელთებდა ხოლმე ბურთს, მიუხედავად იმისა, რამდენი მეტოქე იყო მის გარშემო, და კალათში განსაცვიფრებელი სიზუსტით ისროდა. ის თავის ფიზიკურ მონაცემებს (სიმაღლე — 2016 სმ, წონა — 125 კგ) მაქსიმალური სარგებლით იყენებდა. მისი თანამედროვეები ამტკიცებენ, რომ უილტ ჩემბერლენზე უკეთესი კალათბურთელი არ უნახავთ.**

1936 წლის 21 აგვისტოს ფილადელფიაში დაბადებულმა უილტ ჩემბერლენმა კალათბურთის თამაში გვიან დაიწყო, როცა მეშვიდე კლასში გადავიდა. მან სამ თვეში 10 სმ-ით მოიმატა სიმაღლეში და სკოლის გუნდში მიიწვიეს. უილტმა სკოლის გუნდთან ერთად სამჯერ მოიგო აშშ-ის ჩემპიონატი. იმხანად მისი სიმაღლე უკვე აღწევდა 2 მ-ს, რაც საშუალებას აძლევდა, იოლად მოეგო ორთაბრძოლები ფარქვეშ.

როდესაც ჩემბერლენი სკოლას ამთავრებდა (1955 წელს), დაახლოებით 200 სასწავლებიდან მიიღო მიწვევა (თითოეულ მათგანში იყო საკალათბურთო გუნდი), მაგრამ კანზასის უნივერსიტეტი აირჩია. ასაკობრივი ცენზის გამო მომავალი ვარსკვლავი იძულებული იყო, პირველკურსელებთან ერთად ეთამაშა.

პირველივე მატჩში უილტის გუნდი ხვდებოდა უფროსკურსელებს, რომლებიც აშშ-ის საუნივერსიტეტო პირველობის ფავორიტებად ითვლებოდნენ. ჩემბერლენმა ყველა განაცვიფრა, — 50 ქულა მოაგროვა და, პრაქტიკულად, მარტომ მოუტანა გამარჯვება თავის გუნდს. ორი წლის შემდეგ ჩემბერლენის სიმაღლე უკვე 215 სმ იყო და სტუდენტურ კალათბურთში ბადალი არ ჰყავდა, მაგრამ უილტს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია — გადაწყვიტა, მხოლოდ კალათბურთით ერჩინა თავი. მან 1959 წელს კონტრაქტი გააფორმა NBA-ს გუნდ „ფილადელფია უორიორზთან“. ჩემბერლენის თამაში პირველივე სეზონში სენსაციური იყო — მან 2707 ქულა დააგროვა (საშუალოდ 37,6 ქულა თამაშში) და 1959-60 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ასე დაიწყო მისი შესანიშნავი კარიერა. **1960-61 წლების სეზონში ჩემბერლენის მონაგარმა უკვე 3033 ქულა შეადგინა, შემდეგ სეზონში კი — 4029. ყოველ სეზონში უილტს თავისი გუნდისთვის საშუალოდ 50,4 ქულა მოჰქონდა.**

1961 წლის 2 მარტს კი უილტ ჩემბერლენმა „ნიუ-ნიორკ ნიქსის“ წინააღმდეგ მატჩში ფანტასტიკური რეკორდი დაამყარა, როცა ზუსტად 100 ქულა მოაგროვა. მან 36-ჯერ ისროლა შეგედიანად და თავის ანგარიშზე 72 ქულა ჩაიწერა, კიდევ 28 ქულა (32 სროლიდან 28 ჩააგდო) საჯარიმო სროლებით მოაგროვა, სულ 100 ქულა. მას შემდეგ ამ ფენომენურ შედეგს არავინ მიახლოებია და, ალბათ, ვერც მიუახლოვდება. იმ სეზონში მხოლოდ ფინალურ სერიაში „ბოსტონ სელტიკსთან“ დამარცხებამ (2:4) შეაჩერა უილტონ ჩემბერლენის გუნდის წარმატებების სერია, მაგრამ „ბოსტონ სელტიქსი“ იმხანად უძლიერესი გუნდი იყო, რომელშიც ბრწყინავდა მეორე უძლიერესი კალათბურთელი **ბილ რასელი.** კალათბურთის ისტორიკოსები შემდეგ ათწლეულს ჩემბერლენისა და რასელის დაპირისპირების ეპოქას უწოდებენ. ისინი 8-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ფლეი-ოფში და მხოლოდ ერთხელ იზეიმა გამარჯვება ჩემბერლენის გუნდმა, მიუხედავად იმისა, რომ პირადი მაჩვენებლებით ის აღემატებოდა რასელს.



მუჰამედ ალი და უილტ ჩემბერლენი

თვითონ ბილ რასელი თავის მუდმივ მოწინააღმდეგეზე ამბობდა: **„უილტი საუკეთესო ცენტრია, ვის წინააღმდეგაც მითამაშია. ის სუპერადამიანის ნიჭითა და უნარით არის დაჯილდოებული. მის წინააღმდეგ თამაშისას ვცდილობდი, ჩემი საუკეთესო კალათბურთი მეთამაშა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის დავმარცხდებოდით“.**

ის, რომ „ფილადელფია უორიორზი“ ვერ ახერხებდა NBA-ს ჩემპიონობას, თრგუნავდა უილტ ჩემბერლენს. 1962 წელს მან დატოვა გუნდი და გადავიდა „სან ფრანცისკოში“, სადაც 2 წლის განმავლობაში რეკორდსმენი იყო შედეგიანობის მიხედვით. შემდეგ უილტი დაბრუნდა ფილადელფიაში, ოღონდ სხვა კლუბში — „ფილადელფია-76“-ში. სწორედ ამ გუნდთან ერთად მოიპოვა მან NBA-ს ჩემპიონის ტიტული 1966-1967 წლებში, მაგრამ შემდეგ სეზონში ამ წარმატების განმეორება ვერ შეძლო. ჩემბერლენმა კვლავ გამოიცვალა გუნდი და გადავიდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში“, სადაც თავისი კარიერის ბოლო 5 წელიწადი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მან 5-ჯერ გაიყვანა „ლეიკერსი“ ფლეიოფში და მხოლოდ ერთხელ შეხლო ჩემპიონობის მოპოვება 1971-1972 წლების სეზონში.

უილტონ ჩემბერლენი 36 წლის იყო, კარიერა რომ დაასრულა. აღსანიშნავია, რომ მან 1200 მატჩი ჩაატარა და არც ერთხელ არ გაუძევებიათ მოედნიდან 6 პერსონალური ჯარიმის გამო.

1996 წელს უილტონ ჩემბერლენი NBA-ს 50 საუკეთესო კალათბურთელის სიაში შეიყვანეს, ის 1999 წელს გარდაიცვალა გულის შეტევით.







**1961 წლის 2 მარტს უილტ ჩემბერლენმა «ნიუ-ნიორკ ნიქსის» წინააღმდეგ მატჩში ფანტასტიკური რეკორდი დაამყარა, როცა ზუსტად 100 ქულა მოაგროვა**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# «ჰარი-ჰარალე, დედაო» «ოსკარის» ნომინანტების სიაში



კადრი ფილმიდან „ჰარი-ჰარალე, დედაო“

**რეჟისორ ლევან გაბრიაძის მულტიპლიკაციური ფილმი „ჰარი-ჰარალე, დედაო“ შეტანილია აშშ-ის კინემატოგრაფიის ხელოვნებათა და მეცნიერების აკადემიის პრემიის — „ოსკარის“ ნომინანტების გაფართოებულ სიაში, კატეგორიაში „საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი“.**

ამ კატეგორიაში წარდგენილია 32 სრულმეტრაჟიანი მულტფილმი. მათგან რომელი მოხვდება „ოსკარის“ ნომინანტთა შორის, გამოცხადდება 2020 წლის 13 იანვარს. პრემიის გადაცემის ცერემონი? გაისად, 9 თებერვალს გაიმართება.

„ჰარი-ჰარალე, დედაო“ **ლევან გაბრიაძემ** 2018 წელს გადაიღო მამამისის, საქვეყნოდ სახელგანთქმული მხატვრის, მწერლის, სცენარისტისა და რეჟისორის — რეზო გაბრიაძის შესახებ. პროდიუსირებდა თემურ ბექმამბეტოვის სტუდია Bazelews.

ვრცელი წერილი ამ ფილმის შესახებ „საქართველო და მსოფლიომ“ გაზეთის 37-ე ნომერში გამოაქვეყნა („ჰარი-ჰარალე, დედაო“ — დოკუმენტური ფილმი რეზო გაბრიაძეზე). ინფორმაციული საბაბი იყო ბელარუსის დედაქალაქ მინსკში 1-4 ოქტომბერს გამართული დოკუმენტური კინოს მე-4 ფესტივალზე პირველად დაწესებული პრიზით „ღრმა შინაარსისა და ორიგინალური ფორმისთვის“ მისი დაჯილდოება.

ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელემაუწყებლობის უმაღლესი სკოლის დეკანმა, პროფესორმა **ვიტალი ტრეტიაკოვმა** მაშინ ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ ჟიურის წევრების ერთსულოვანი აზრით, „ლევან გაბრიაძის ფილმმა მიზანში მოახვედრა, ათიანის შუაგულ წერტილში... რეჟისორმა ისეთი ოსტატობითა და ორიგინალურად გადმოგვცა ერთი ბიჭის ცხოვრების ისტორია, რომელიც ქვეყნის ისტორიის ანარეკლია, რომ ამ ნამუშევარს სხვა პრეტენდენტი გვერდით ვერ დაუდგებოდა“.

ხოლო ფესტივალის დირექტორმა **ვალერი შეხოვცევმა** გვითხრა:

„ლევან გაბრიაძის ნამუშევრის დემონსტრაციისას დარბაზში მყოფნი თვალზე ცრემლმომდგარნი უყურებდნენ ამ ფილმს, რაც უიშვიათესი მოვლენაა, განსაკუთრებით, დოკუმენტური სურათების ჩვენებისას“.

მოკლედ, გაბრიაძეების ნიჭიერების კიდევ ერთი აღიარება იყო.

ვუსურვოთ, რომ იგივე განმეორდეს ლოს-ანჯელესში „ოსკარის“ საზეიმოდ გადაცემისას.

**არმაზ სანებლიძე**

# ნარმანიამ წყლისა და დენის ტარიფის მომატება დააანონსა

## ამას ევროპელთა მოთხოვნებით ხსნის



**რად გვინდა ისეთი ევროპა, რომელიც სულ ტარიფების გაძვირებას მოითხოვს და ხელფასების გაზრდაზე კი კრინტსაც არ ძრავს?**

„ამ ეტაპისთვის შემიძლია გითხრათ, რომ ჯერ ელექტროენერგიის ნაწილში ტარიფების ზრდა მოსალოდნელი არაა, თუმცა, თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, ჰესები არ აშენდება და იმპორტი გაგვეზრდება, შესაძლებელია, მომდევნო ტარიფის გაანგარიშების მომენტში, 2020 წლის ბოლოს (ე. ი. ორ თვეში!) ამის საჭიროება დადგეს. რაც შეეხება წყლის ტარიფს, ეს ევროპის მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნაა და ხდება დაახლოება ევროპულ სისტემასთან. დღეს ჩვენთან სამომხმარებლო ტარიფი უფრო დაბალია, კომერციული — მაღალი. ამ საკითხზე ცალკე მუშაობა მოგვიწევს და ეს მოდელი დიდხანს, ალბათ, ვერ შენარჩუნდება“, — განაცხადა **ნარმანიამ.**

„ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციები ხშირად მოსახლეობის პროტესტის გამო დაგვაკლდა“, — განუცხადა ჟურნალისტებს ვიცეპრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **მაია ცქიტიშვილმა** და ყველაფერი მოსახლეობას დააბრალა.

მერედა, ქალბატონო მაია, პროექტები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით რომ შეგედგინათ, ვინ დაგიშალათ?!

# ჩინეთიდან ევროპაში პირველი მატარებელი ბაქო-თბილისი-ყარსის გავლით ჩავა

**22 ოქტომბერს თბილისში მუშაობა დაიწყო „აბრეშუმის გზის ფორუმმა“, რომელიც საქართველოს პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას პატრონაჟით ტარდება და რომელსაც 60-ზე მეტი ქვეყნის 2000 წარმომადგენელი ესწრება.**

ფორუმის პარალელურად ჩინეთიდან ევროპაში მიდის პირველი მატარებელი მარშრუტით ბაქო-თბილისი-ყარსი.

მატარებელს ჩინეთის ქალაქ სიანიდან სარკინიგზო მაგისტრალის — ბაქო-თბილისი-ყარსის გავლით პრაღაში მიაქვს საყოფაცხოვრებო ტექნიკით დატვირთული 42 კონტეინერი. ყარსის მონაკვეთის გავლით ჩინეთიდან ტრანსკასპიური საერთაშორისო მარშრუტით წამოსული მატარებელი პირველია, რომელიც ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტის გავლით (შემდეგ კი თურქეთის მარმარილოს ზღვის გვირაბით) ჩავა ევროპაში.

**ახალი სარკინიგზო მარშრუტის შუალედური სადგური იქნება სტამბოლი, ამ მოვლენასთან დაკავშირებით 5 ნოემბერს იქ გაიმართება საზეიმო შეხვედრა.**




# ოპოზიციისა და ზურაბიშვილის მავნებლობა და მთავრობის უნიათობა: რესპუბლიკა სერბეთი რუს ტურისტებს ელოდება — დაისვენეთ იქ, სადაც უყვარხართ!

**ბოსნია-ჰერცეგოვინაში შემავალი რესპუბლიკა სერბეთი მოლაპარაკებას იწყებს რუსეთთან პირდაპირი ავიარეისების ორგანიზებასა და რუსი ტურისტების მოზიდვაზე.** საკულტო რეჟისორის — **ემირ კუსტურიცას** სამშობლოში არის შესანიშნავი ბუნება, სამთო-სათხილამურო კურორტები, სამკურნალო წყაროები, არქიტექტურის ძეგლები, გემრიელი ღვინო და კერძები, ცნობილი რაკია და, რაც მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობის გულწრფელი სიყვარული მოძმე რუსეთისადმი.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# ბოლივიის საპრეზიდენტო არჩევნებში ანტიამერიკელი ევო მორალესი ლიდერობს

## აშშ-ს ლათინური ამერიკა ხელიდან ეცლება

**ბოლივიის საპრეზიდენტო არჩევნებში ლათინურ ამერიკაში აშშ-ის პოლიტიკის მოწინააღმდეგე ევო მორალესი ლიდერობს, თუმცა ამ ეტაპზე პირველ ტურში გამარჯვებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა არ აქვს.**

ბიულეტენების 95 პროცენტის დათვლის შემდეგ გავრცელებული მონაცემების მიხედვით, **მორალესმა** ამომრჩეველთა ხმების 45 პროცენტი მიიღო, მისმა მთავარმა ოპონენტმა, ექსპრეზიდენტმა **კარლოს მესამ** კი — 38,16 პროცენტი.

ბოლივიის კონსტიტუციის მიხედვით, პირველ ტურში გამარჯვებისთვის კანდიდატმა ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტზე მეტი უნდა მიიღოს. ბოლივიაში არჩევნების მეორე ტური, სავარაუდოდ, 15 დეკემბერს ჩატარდება. ევო მორალესი 2006 წლიდან მართავს ბოლივიას. თუ ის კიდევ ერთი ვადით გაიმარჯვებს, თანამდებობაზე 2025 წლამდე დარჩება.

ნანა ქიბროწაშვილი

ფირმა «იადიგარ დაუდის» დირექტორი

გთავაზობთ მკურნალობას 40-წლიანი გამოცდილებით და გარანტირებული შედეგით. ვკურნავ:

1. ფუტკრის პროდუქტებით კუჭ-ნაწლავის წყლულებსა და ეროზიებს (სისხლმდენიც), ფაღარათს, ნაღვლის ბუშტს, ელენთას, ჰეპატიტს (არა ვირუსულს), შებერილობას, ბუასილს, ჰაიმორიტს, შარდის შეუკავებლობას, ჭიებს, პროსტატიტს, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, პენისის ანთებას; კონტაქტის შიშს, სქესობრივ სისუსტეს, ცისტიტს, პიელონეფრიტს, პირიდან სუნს, კლიმაქსს, ბრონქიტს, წითელ ქარს, სოკოვანს, მარილების წანაზარდებს, საერთო სისუსტეს;
2. სხვადასხვა მეთოდით პაციენტის გარეშეც: ალკოჰოლიზმს, აზარტულ თამაშებს, პესიმიზმს, აგრესიას, აკვიატებებს, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, ადამიანი თავისუფლდება ნეგატიური ზემოქმედებისგან.

გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

მისამართი: წერეთლის 57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №777. ტელ. 599-49-84-23 — ნანა, მიღება წინასწარი ჩაწერით

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894